

600/2
1951/2

საქართველოს
საბჭოთაო კავშირი

მეცნიერება და ტექნიკა



მეცნიერება-პოპულარიზაცია
ქვეყნად

2

1951

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მეხნიერება ჰ ბეჟნიკა

საქართველოს სსრ მეხნიერებათა აკადემიის ყოველთვიური
მეხნიერულ-პოპულარული ჟურნალი

1951 თებერვალი №2

რედაქციის მისამართი:

ლესელიძის ქ. № 22, ტელ. 3-46-49

XXX



1921 25 1951

თებერვალი



ამხანაგ ი. ბ. სტალინის საუბარი „პრავდის“ კორესპონდენტთან

ამას წინათ „პრავდის“ კორესპონდენტმა მიმართა ამხანაგ სტალინს მთელი რიგი საგარეო-პოლიტიკური ხასიათის კითხვებით. ქვემოთ იბეჭდება ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი.

კითხვა. როგორ აფასებთ თქვენ ინგლისის პრემიერის ეტლის უკანასკნელ განცხადებას თემთა პალატაში იმის შესახებ, რომ ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირი არ განიარაღებულა, ე. ი. არ მოუხდენია თავისი ჯარების დემობილიზაცია, რომ მას შემდეგ საბჭოთა კავშირი სულ უფრო აღიღებს თავისი შეიარაღებულ ძალებს?

პასუხი. პრემიერ ეტლის ეს განცხადება მე მიმაჩნია საბჭოთა კავშირისათვის ცილის დაწამებად. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა ომის შემდეგ მოახდინა თავისი ჯარების დემობილიზაცია. როგორც ცნობილია, დემობილიზაცია განხორციელდა სამ რივად: პირველი და მეორე რივი—1945 წლის განმავლობაში, ხოლო მესამე რივი—1946 წლის მაისიდან სექტემბრამდე. გარდა ამისა, 1946—1947 წლებში განხორციელდა საბჭოთა არმიის პირადი შემადგენლობის უფროს ასაკთა დემობილიზაცია, ხოლო 1948 წლის დამდეგს დემობილიზებულ იქნა ყველა დარჩენილი უფროსი ასაკი.

ასეთია ყველასათვის ცნობილი ფაქტები.

პრემიერი ეტლი რომ ძლიერი უოფლიყო საფინანსო ან ეკონომიურ მეცნიერებაში, იგი ადვილად მიხვდებოდა, რომ არც ერთ სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოსაც, არ შეუძლია მთელი გაქანებით განავითაროს სამოქალაქო მრეწველობა, დაიწყოს ისეთი დიდი მშენებლობანი, როგორიცაა, მაგალითად, ჰიდროსადგურები ვოლგაზე, დნეპრზე, ამუ-დარიაზე, რომლებიც ათეულ მილიარდობით საბუჯეტო ხარჯებს მოითხოვენ, განაგრძოს მასობრივი მოსმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკა, რაც აგრეთვე მოითხოვს ათეულ მილიარდობით საბუჯეტო ხარჯებს; ასეულის მილიარდები დაბანდოს გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, და ამასთანავე, ამავე დროს, გაამრავლოს თავისი შეიარაღებული ძალები, გააფართოოს სამხედრო მრეწველობა. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი უგუნური პოლიტიკა სახელმწიფოს გაკოტრებას გამოიწვევდა. პრემიერ ეტლის საკუთარი გამოცდილებით, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებით, უნდა სცოდნოდა, რომ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამრავლება და გამაღებელი შეიარაღება იწვევს სამხედრო მრეწველობის გაფართოებას, სამოქალაქო მრეწველობის შემცირებას, დიდ სამოქალაქო მშენებლობათა შეჩერებას, გადასახადების გადიდებას, მასობრივი მოსმარების საქონლის ფასების გადიდებას. გასაგებია, რომ თუ საბჭოთა კავშირი კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, აფართოებს სამოქალაქო მრეწველობას, კი არ კვეცავს, არამედ, პირიქით, აჩაღებს ახალი გრანდიოზული ჰიდროსადგურებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობას, კი არ წყვეტს, არამედ, პირიქით, განაგრძობს ფასების შემცირების პოლიტიკას,—მას არ შეუძლია ამავე დროს გააფართოოს სამხედრო მრეწველობა და გაამრავლოს თავისი შეიარაღებული ძალები, ისე, რომ გაკოტრების საფრთხის წინაშე არ დადგეს.

და თუ პრემიერი ეტლის, ყველა ამ ფაქტისა და მეცნიერული მოსაზრების მიუხედავად, მაინც შესძლებოდა მაინცა აკარად დასწამოს ცილი საბჭოთა კავშირსა და მის სამშვიდობო პოლიტიკას, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ იგი ფიქრობს საბჭოთა კავშირისათვის ცილის დაწამებით გაამართლოს ინგლისის გამაღებული შეიარაღება, რასაც ახლა ლიბერლისტული მთავრობა ახორციელებს.

პრემიერ ეტლის ესაპირობა სიცრუე საბჭოთა კავშირის შესახებ, მას ესაპირობა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა დანახოს როგორც აგრესიული პოლიტიკა, ხოლო ინგლისის მთავრობის აგრესიული პოლიტიკა როგორც სამშვიდობო პოლიტიკა,—იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანოს ინგლისელი ხალხი, თავს მოახვიოს მას ეს სიცრუე სსრ კავშირის შესახებ და ამრიგად მოკუყუების გზით ჩაითრიოს იგი ახალ მსოფლიო ომში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები აწყობენ.

პრემიერი ეტლი თავს ახაღებს მშვიდობის მომხრედ. მაგრამ თუ იგი მართლა მშვიდობის მომხრეა, რატომ უარყო საბჭოთა კავშირის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანი-



ლი წინადადება საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩინეთსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დაუყოვნებლივ დადების შესახებ?!

თუ იგი მართლა მშვიდობის მომხრეა, რატომ უარყო საბჭოთა კავშირის წინადადებანი შეიარაღების შეშუპების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ, ატომური იარაღის დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ?

თუ იგი მართლა მშვიდობის მომხრეა, რატომ დევნის მშვიდობის დაცვის მომხრეებს, რატომ აკრძალა მშვიდობის დამცველთა კონგრესი ინგლისში? განა მშვიდობის დაცვის კამპანიას შეუძლია საფრთხე შეუქმნას ინგლისის უშიშროებას?

ცხადია, რომ პრემიერი ეთლი ემხრობა არა მშვიდობის შენარჩუნებას, არამედ ახალი მსოფლიო აგრესიული ომის გაჩაღებას.

კითხვა. რას ფიქრობთ კორეაში ინტერვენციის შესახებ, რით შეიძლება დამთავრდეს იგი? პასუხი. თუ ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბოლოოდ უარყვეს ჩინეთის სახალხო მთავრობის სამშვიდობო წინადადებანი, ომი კორეაში შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ინტერვენციების დამარცხებით.

კითხვა. რატომ? განა ამერიკელი და ინგლისელი გენერლები და ოფიცრები ჩინელ და კორეელ გენერლებსა და ოფიცრებს ჩამოუვარდებიან?

პასუხი. არა, არ ჩამოუვარდებიან. ამერიკელი და ინგლისელი გენერლები და ოფიცრები სრულიად არ ჩამოუვარდებიან არც ერთი სხვა ქვეყნის გენერლებსა და ოფიცრებს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარისკაცებს, ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ ომში მათ, როგორც ცნობილია, საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი. ახა რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ კორეისა და ჩინეთის წინააღმდეგ ომი ჯარისკაცებს უსამართლო ომად მიაჩნიათ, მაშინ, როცა ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ ომი მათ საცხებით სამართლიან ომად მიაჩნდათ. საქმე იმაშია, რომ ეს ომი მეტად არაპოპულარულია ამერიკელ და ინგლისელ ჯარისკაცთა შორის.

მართლაც, ძნელია დაარწმუნო ჯარისკაცები, რომ ჩინეთი, რომელიც არ ემუქრება არც ინგლისს, არც ამერიკას და რომელსაც ამერიკელებმა წაართვეს კუნძული ტაივანი, აგრესორია, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც კუნძული ტაივანი მიიტაცეს და თავიანთი ჯარები შედ ჩინეთის საზღვრებთან მიიყვანეს,—თავდამცველი მხარეა. ძნელია დაარწმუნო ჯარისკაცები, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი უშიშროება კორეის ტერიტორიაზე და ჩინეთის საზღვრებთან, ხოლო ჩინეთსა და კორეას უფლება არა აქვთ თავიანთი უშიშროება დაიცვან საკუთარ ტერიტორიაზე ან თავისი სახელმწიფოს საზღვრებთან. ამიტომ ეს ომი პოპულარული არ არის ინგლისელ და ამერიკელ ჯარისკაცთა შორის. გასაგებია, რომ ყველაზე გამოსვლილი გენერლები და ოფიცრები შეიძლება დამარცხდნენ, თუ ჯარისკაცებს მათთვის თავსმოხვეული ომი უადრესად უსამართლო ომად მიაჩნიათ და თუ ისინი ამის გამო თავიანთ მოვალეობას ფრონტზე ასრულებენ ფორმალურად, ისე, რომ არა სწამთ თავიანთი მისიის სამართლიანობა, აღფრთოვანებული არ არიან.

კითხვა. როგორ აფასებთ თქვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აგრესორად აცხადებს?

პასუხი. მე იგი მიმაჩნია სამარცხვინო გადაწყვეტილებად.

მართლაც, სინდისის უკანასკნელი ნახაზი უნდა დაკარგო, რომ ამტიცო, ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც მიიტაცეს ჩინეთის ტერიტორია, კუნძული ტაივანი, და შეიპყრნენ კორეაში ჩინეთის საზღვრებისაკენ,—თავდამცველი მხარეა, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც თავის საზღვრებს იცავს და ცდილობს დაიბრუნოს ამერიკელთა მიერ მიტაცებული კუნძული ტაივანი,—აგრესორია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა როგორც მშვიდობის დაცვის ბურჟი, იქცევა ომის იარაღად, ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების საშუალებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესიული ბირთვია აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წევრი ათი ქვეყანა (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, კანადა, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, ისლანდია) და ლათინური ამერიკის ოცი ქვეყანა (არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, ჩილი, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, დომინგოს რესპუბლიკა, ეკვადორი, სალვადორი, გვატემალა, ჰაიტი, ჰონდურასი, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ვენესუელა). სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლები წყვეტენ ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ომისა და მშვიდობის ბედს. სწორედ ამათ გაიყვანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამარცხვინო გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აგრესიულობის შესახებ.



თუ როგორი წესებია ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამის დამახასიათებელია ის, რომ, მაგალითად, პატარა ღომინგოს რესპუბლიკას ამერიკაში, რომლის მოსახლეობაც ორ მილიონ სულს ძლივს შეადგენს, ახლა ისეთივე წონა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც ინდოეთს, და გაცილებით მეტი წონა, ვიდრე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც მოკლებულია ხმის უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამრიგად, იქცევა რა აგრესიული ომის იარაღად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამასთან ერთად აღარ არის თანასწორუფლებიანი ერების მსოფლიო ორგანიზაცია. არსებითად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახლა წარმოადგენს არა იმდენად მსოფლიო ორგანიზაციას, რამდენადაც ორგანიზაციას ამერიკელებისათვის, რომელიც ამერიკელი აგრესორების საკურორტოსათვის მოქმედებს. არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ისწრაფვიან ახალი ომის გაჩაღებისაკენ, არამედ ამ გზას ადგას აგრეთვე ლათინური ამერიკის ოცი ქვეყანა, რომელთა მეშაბულეებსა და ვაჭრებს სწყურიათ ახალი ომი სადმე ევროპასა თუ აზიაში, რათა მეომარ მხარეებს საკონკრეტო მიზნადონ ზემოაღდ ფასად და ამ სისხლიანი საქმით მილიონები შეიძინონ. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის ოცი ქვეყნის 20 წარმომადგენელი ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დარაჯებული და მორჩილი არმიაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღგება ერთა ღირსის სამარცხვინო გზას. ამით იგი ასამარებს თავის მორალურ ავტორიტეტს და ამჟღავნებს თავის დაშლას.

კითხვა. მიგანიათ თუ არა ახალი მსოფლიო ომი გარდუვალოდ?

პასუხი. არა. ყოველ შემთხვევაში ამჟამად იგი არ შეიძლება გარდუვალოდ ჩაითვალოს.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, ისე როგორც საფრანგეთში, არიან აგრესიული ძალები, რომელთაც სწყურიათ ახალი ომი. ომი მათ ესაჭიროებათ შემოგების მისაღებად, სხვა ქვეყნების გასაძარცვავად. ესენი არიან მილიარდერები და მილიონერები, რომელნიც ომს ისე უცქერიათ როგორც შემოსავლიან საქმეს, რაც კოლოსალურ მოგებას იძლევა.

მათ, ამ აგრესიულ ძალებს, უჭირავთ ხელში რეაქციული მთავრობები და გეზს აძლევენ მათ. მაგრამ მათ ამასთან ერთად ეშინიათ თავიანთი ხალხებისა, რომლებსაც არა სურთ ახალი ომი და ემხრობიან მშვიდობის შენარჩუნებას. ამიტომ ისინი ცდილობენ რეაქციული მთავრობები გამოიყენონ იმისათვის, რომ სიცრუის ქსელში გახვიონ თავიანთი ხალხები, მოატყუონ ისინი და ახალი ომი დახატონ, როგორც თავდაცვითი ომი, ხოლო მშვიდობისმოყვარე ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკა, როგორც აგრესიული პოლიტიკა. ისინი ცდილობენ მოატყუონ თავიანთი ხალხები იმისათვის, რომ თავს მოახვიონ მათ თავიანთი აგრესიული გეგმები და ახალ ომში ჩაითრიონ.

სწორედ ამიტომ მათ ეშინიათ მშვიდობის დაცვის კამპანიისა, ეშინიათ, რომ ამ კამპანიას შეუძლია გამოაშკარავოს რეაქციული მთავრობების აგრესიული ჯრანგანი.

სწორედ ამიტომ მათ ჩაშალეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგანი მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, შეიარაღების შემცირების შესახებ, ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, რაკი შიშობენ, რომ ამ წინააღმდეგადა მიღება ძირს გამოუთხრის რეაქციული მთავრობების აგრესიულ ღონისძიებებს და ზედმეტს გახდის გამალებულ შეიარაღებას.

რით გათვადება აგრესიული და მშვიდობისმოყვარე ძალები ეს ბრძოლა?

მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას. ომი შეიძლება გარდუვალი გახდეს, თუ ომის გამჩაღებლები მოახერხებენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ.

ამიტომ ფართო კამპანიის მშვიდობის დასაცავად, როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მაქინაციების გამოაშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი კვლავაც ურყევად განახორციელებს ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის დაცვის პოლიტიკას.





დ. პ. ბერი ა

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური ინტელიგენციის მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას. საბჭოთა ზეღისუფლებამდე, საქართველოს სუსტი სამრეწველო განვითარების გამო, ეს კადრები მცირერიცხოვანი იყო. ამჟამად საქართველოს მოეპოვება საბჭოთა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში აღზრდილი ყველა სპეციალობის ინჟინერთა, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა ტექნიკური დისციპლინების მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები. მაგრამ მეტალურგიის, ქვანახშირის, ქიმიის მრეწველობისათვის, რომელიც საქართველოში ვითარდება, მანქანათმშენებლობისათვის, აგრეთვე გეოლოგიურ-სამიებო სამუშაოთა საწარმოებლად საქართველოს წიაღის სიმდიდრეთა გამოვლინების მიზნით, რათა უფრო სრულად იქნას გამოყენებული ეს სიმდიდრენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, საჭიროა უფრო მეტი რაოდენობით გვყავდეს ინჟინრები, გეოლოგები და სხვა სპეციალისტები.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვიდან თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1950 წლის 9 მარტს.

მეცნიერების აყვავება საქართველოში

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

საქართველოს მაღალ და მრავალმხრივ კულტურას აქვს თავისი სახელოვანი ისტორია, მჭიდროდ დაკავშირებული ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ბრძოლასთან გარეშე მტრების წინააღმდეგ, თავისი დამოუკიდებლობისათვის. X-XVIII საუკუნეების ასტრონომიული ტრაქტატები და მათემატიკური ხელნაწერები, ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) შესანიშნავი გეოგრაფიული შრომები და კულტურის სხვა ძეგლები მოწმობენ ამ დროისათვის მეცნიერების განვითარების მაღალ დონეს საქართველოში.

XIX ს. დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელი შემოსევების საფრთხე მოიხპო და ქართულმა ნაციონალურმა კულტურამ, ეზიარა რა დიდი რუსი ხალხის კულტურას, განიცადა მისი პროგრესული გავლენა. მაგრამ ცარიზმის კრწონიერი პოლიტიკა საგრძნობლად აბრკოლებდა ქართული ნაციონალური კულტურის განვითარებას. სწავლება მშობლიურ ენაზე საქართველოში თითქმის შეუძლებელი იყო. საქართველოში არსებობდა დასუფილი სასწავლებლების მცირე რიცხვი, უმაღლეს სასწავლებლებზე კი ოცნებაც არ შეიძლებოდა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა შექმნა ქართველი ხალხის ისტორიაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქართველოში დაიწყო ნაციონალური, ეკონომიური და სულიერი აყვავების ეპოქა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე დაიწყო სისტემატური და გეგმაზეწონილი მუშაობა ნაციონალური მეცნიერული კადრების მოსამზადებლად. მათი აღზრდის პირველ ცენტრს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ამჟამად დიდი სტალინის სახელს ატარებს. ოცდაათიან წლებში

უნივერსიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ მთავრობამ მისგან გამოყო რიგი ფაკულტეტები, რომელთა ბაზაზე დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლები შეიქმნა. ამჟამად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გვაქვს 20-დე უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც ყოველწლხურად ათასობით სპეციალისტს უშვებენ მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მარტო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა 30.000-ზე მეტი სპეციალისტი მოამზადეს.

მეცნიერების განვითარების პროცესში და ნაციონალური სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში საქართველოში ახალ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია — რესპუბლიკის ხელმძღვანელი სამეცნიერო დაწესებულება — 1941 წელს დაარსდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და წინათ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემავალ რიგ ინსტიტუტების ბაზაზე.

თავდაპირველად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში თიუვებოდა 16 ნამდვილი წევრი. მის სისტემაში შედიოდა 14 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, გაერთიანებული ორ განყოფილებაში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებები). მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას დიდი სამამულო ომის მძიმე პირობებში მოუხდა თავისი მუშაობის გაშლა, პარტიისა და მთავრობის დახმარებით იგი სწრაფად იზრდებოდა და მტკიცდებოდა. ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას აქვს ხუთი განყოფილება, რომელთა შემადგენლობაში შედის 34 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულება. გარდა ამისა, მუშაობს კომპლექსური ხასიათის 8 სამეცნიერო დაწესებულება, რომლებიც უშუალოდ აკადემიის პრეზიდიუმს ექვემდებარებიან.



კ. ნ. ჩარკვიანი

ჩვენი რესპუბლიკა უკვე გახდა მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, დიდი ელექტროსად-
გურების რესპუბლიკა. ჩვენმა მეცნიერებმა გადაწყვეტი რილი უნდა შეასრულონ საწარმოებში
ტექნიკისა და ტექნოლოგიის განუწყვეტლივ გაუმჯობესების საქმეში. ამას ისინი მიაღწევენ, თუ
ბოლშევიკურად მომთხოვნელნი იქნებიან თავიანთი თავისადმი, თუ გამბედაობას გამოიჩენენ
ახალი პრობლემების დაყენებასა და გადაწყვეტაში, თუ მკიდროდ დაუკავშირდებიან წარმოებას,
რადგან, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, — „მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეც-
ნიერება, რომ იგი არ ცნობს ფეტიშებს, არ ეშინია ხელი აღმართოს დრომოჭმულის, ძველის წინა-
აღმდეგ და გულისხმიერად უგდებს ყურს გამოცდილების, პრაქტიკის ხმას“.

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენებიდან თბილისის XX საქალაქო
პარტიულ კონფერენციაზე 1951 წლის 10 იანვარს.



1951 წლის თებერვლისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ითვლებოდა 70-დენამდელი წევრი და წევრ-კორესპონდენტი. მნიშვნელოვან გაიზარდა სხვა მეცნიერ-მუშაკთა რიცხვი. ასე, მაგალითად, თუ ორგანიზაციის მომენტში აკადემიას 337 მეცნიერი თანამშრომელი ჰყავდა, 1950 წელს მათი რიცხვი უკვე 800-ს აღწევდა, მათგან 530-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. აკადემია ყოველთვიურად უშვებს ქართულ და რუსულ ენაზე „მოამბეს“ და ქართულ ენაზე — სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს „მეცნიერება და ტექნიკა“.

აკადემიაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გარდა, საქართველოში არის მნიშვნელოვანი რაოდენობა საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც აგრეთვე ინტენსიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ შეძლო გაეშალა ფართო საქმიანობა, რომლის შედეგები განუწყვეტლივ უწყობენ ხელს საქართველოს მეტერნობისა და კულტურის განვითარებას და ამავე დროს მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენენ საბჭოთა მეცნიერების საერთო სავანძურში.

* *

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მათემატიკოსებმა. ამჟამად ქართული მათემატიკური სკოლა — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერული სკოლაა. ამ სკოლის ძირითადი შრომები, გამოკვლევები და მიღწევები შეეხება დრეკადობის თეორიასა და მათემატიკური ფიზიკის სხვა დარგებს. ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს აგრეთვე მათემატიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგებშიც, როგორიცაა ფუნქციათა თეორია, რიცხვთა თეორია, გეომეტრია და მიახლოებითი ანალიზი.

საქართველოს მათემატიკოსებმა დაამუშავეს მათემატიკური ფიზიკის ამოცანების შესწავლისა და გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური მეთოდები, ამ მეთოდების საშუალებით კი — თეორიულად და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი დარგი დრეკადობის თეორიისა — ე. წ. ბრტყელი ამოცანა.

საყურადღებო აღმოჩენები აქვს ინსტიტუტის ელიფსური ტიპის განტოლებათა თეორიაში. ამ აღმოჩენებმა, რომლებიც სტალინური პრემიითაა აღნიშნული, ფართო გამოყენება ჰპოვა დრეკადი გარსების თეორიის საკითხების გადაჭრაში, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

ფართოდ გაშალა თავისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტმა.

საინტერესო შედეგებია მიღებული აქ ექსპერიმენტული ფიზიკის დარგში. შესწავლილია კრისტალთა ზრდის პროცესი, რენტგენოგრაფიულად შესწავლილია კრისტალთა მექანიკური თვისებები და დეფორმაციები, დამუშავებულია დისპერგიების ახალი მეთოდი. მნიშვნელოვანი გამოკვლევებია ჩატარებული აგრეთვე დაბალ ტემპერატურათა დარგში.

საბჭოთა ასტრონომიული მეცნიერების საერთო ფონდში სერიოზული წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის ასტრონომებმა. კურორტ აბასთუმნის რაიონში 1932 წ. შექმნილი პატარა ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბაზაზე ახლა მოწყობილია თანამედროვე ობსერვატორია. ამჟამად აბასთუმნის ობსერვატორიას სამეცნიერო-კვლევითი და დაკვირვებითი საქმიანობით ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია საბჭოთა ასტრონომიულ დაწესებულებებს შორის. ქართველმა ასტრონომებმა დამთავრეს დიდი მუშაობა 15 ათასზე მეტი სუსტი ვარსკვლავის ფერების მაჩვენებლებისა და გარეგალქტიკურ ნისლოვანებათა ვრცელ კატალოგების, აგრეთვე სპეციალური კლასის ვარსკვლავთა ფერის ფოტოელექტრული მანძისათვლებლის შესადგენად. ობსერვატორიის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს ასტროფიზიკური დაკვირვებების ახალი ფოტოელექტრული მეთოდის დამუშავება და დანერგვა პირველად საბჭოთა კავშირის ასტრონომების პრაქტიკაში. აბასთუმნის ობსერვატორიის ფოტოელექტრულ განსაზღვრათა სიზუსტე ბევრად აღემატება ამერიკული ობსერვატორიების ანალოგიური დაკვირვებების სიზუსტეს.

არაჩვეულებრივად გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გეოფიზიკის დარგშიც. გაიზარდა მეტეოროლოგიური და სხვა სადაკვირვებო სადგურების ქსელი, გაფართოვდა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის სამუშაოთა თემატიკა; თბილისის უნივერსიტეტთან შეიქმნა გეოფიზიკის კათედრა, რომელიც გეოფიზიკური კადრების მომზადების ცენტრად იქცა.

საქართველოს გეოფიზიკოსებმა შეადგინეს რესპუბლიკის რაიონების კლიმატური დახასიათება, შესწავლილია ატმოსფეროს ზედაფენების ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტები, მთიანი რაიონების თოვლის სიფარის ფიზიკური ელემენტები, დამთავრებულია ამიერკავკასიის გენერალური მაგნიტური გაღაღება, გამოკვლეულია მაგნიტური ანომალიები, აგრეთვე ზოგიერთი მდენი-ული საბადო. ქართველმა მეცნიერებმა შეადგინეს

რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუკა, რასაც ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს ანტისეისმური მშენებლობისათვის, გამოავლინეს სეისმური მოვლენების სრული ქრონოლოგია და ა. შ. დედამიწის დენებზე სისტემატური დაკვირვებებისათვის დღემდე შექმნილია გეოფიზიკური სადგური.

საქართველოში ქიმიური მეცნიერების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული გამოჩენილი ქართველი სწავლულის პ. გ. მელიქიშვილის სახელთან, იგი ცნობილია თავისი გამოკვლევებით ორგანული და არაორგანული ქიმიის დარგში.

ქიმიის დარგში მეცნიერული მუშაობის გაშლაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ჩვენი აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტს, რომელიც დაარსებულია პ. მელიქიშვილის მოწადის, გამოჩენილი საბჭოთა ქიმიკოსის აკადემიკოს ლ. პისარეცკის უშუალო მონაწილეობით.

ქართველ ქიმიკოსებს შესრულებული აქვთ დიდი მოცულობის მუშაობა, რომელიც შეეხება სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალური წყლების ანალიზის თეორიასა და პრაქტიკას, აგრეთვე რიგი ქიმიური პროდუქტების, კერძოდ, მანგანუმისა და ბარიუმის ნაერთების წარმოების ტექნოლოგიის დამუშავებას. დიდ ინტერესს წარმოადგენენ გამოკვლევები კუნთოვანი და ნერვული ქსოვილის ბიოქიმიისა და ალკოჰოლური დუღილის ქიმიის დარგში, გამოკვლევები საწაღლეულო ნედლეულის შესასწავლად და ახალი პრეპარატების მისაღებად.

ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგების საქმიანობა უმთავრესად პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასთან იყო დაკავშირებული და ეყრდნობოდა სისტემატურ გეოლოგიურ გადაღებას. ამჟამად უკვე დამთავრებულია საქართველოს ნაკრები გეოლოგიური რუკის შედგენა.

რიგი მინერალოგები და პეტროგრაფები მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის მაგმური ქანების შესწავლაზე, ატარებენ დანალექი ქანების პეტროგრაფიულ გამოკვლევებს.

წარმატებით მიმდინარეობს ჩვენში სასარგებლო წიაღისეულის ძიება და დაზვერვა. უკანასკნელ წლებში აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტმა რიგი მონოგრაფიებით შეაჯამა თავისი მუშაობა. მათ შორის აღვნიშნავთ მონოგრაფიას „მოიკენამდელი ვულკანიზმი საქართველოში“, რომელსაც სტალინური პრემია მიეკუთვნა.

ყურადღების ღირსია ლ. შ. დავითაშვილის მრავალრიცხოვანი თეორიული შრომები. მისი ვრცელი მონოგრაფია „გეოლუტური პალეონთოლოგიის ისტორია დარვინიდან ჩვენს დრომდე“ სტალინური პრემიით იქნა დაჯილდოებული.

მნიშვნელოვანია საქართველოს მეცნიერთა მიღწევები ტექნიკის მეცნიერებათა დარგშიც.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მძლავრი ენერგეტიკული სისტემა, რომელიც შეიცავს ჰიდრავლიკურ და სითბურ ელექტროსადგურებს, და განხორციელებულია სახალხო მეურნეობის ფართო ელექტროფიკაცია.

ენერგეტიკოსების წინაშე მდგომ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს რესპუბლიკის ენერგეტიკული რესურსების შესწავლა და მათი რაციონალური გამოყენების საკითხების დამუშავება. ამ პრობლემების გადაჭრის პროცესში დამუშავებულ იქნა ჰიდროელსადგურების დაბრუნების თეორიის რიგი საკითხები.

ინსტიტუტი მუშაობს აგრეთვე სათბობის ენერგეტიკული სახეების გამოყენების საკითხებზე. კერძოდ, დამუშავებულია ახალციხის მურა ნახშირის წვის მეცნიერულ-ექსპერიმენტული საფუძვლები. შესწავლილია ტორფის საბადოები და მარაგი, გამოვლინებულია მათი დაბრუნებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გამოყენების შესაძლებლობა.

ენერგეტიკულ ინსტიტუტში და რესპუბლიკის სხვა სპეციალურ სამეცნიერო დაწესებულებებში დამუშავებულია აგრეთვე ჰიდროტექნიკისა და ელექტროტექნიკის მრავალი სხვა აქტუალური საკითხი.

სტალინური ხუთწლიელების მანძილზე სამშენებლო სამუშაოთა უმაღალითოდ ფართოდ გაშლამ საქართველოს მეცნიერთა წინაშე მრავალრიცხოვანი პრობლემები დასვა სამშენებლო მექანიკის, ახალი სამშენებლო მასალების წარმოებისა და დანერგვის დარგში. დამუშავებულია ბეტონის შემადგენლობის შერჩევის ორიგინალური მეთოდი, რომელიც ცემენტის მინიმალური ხარჯით სამშენებლო სამუშაოთა მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. დიდ მიღწევას წარმოადგენს გამოკვლევები მსუბუქი ბეტონისა და რკინა-ბეტონის დანერგვის დარგში. სათანადო მუშაობა ტარდებოდა აკადემიის სამშენებლო ინსტიტუტში და თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში. შექმნილია აგურის გადახურვების ახალი ტიპები, საყრდენი კედლების ფიქსირებული კონსტრუქციები. დამუშავებულია სეისმომდგრავი

დობის საკითხები, რასაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის.

მნიშვნელოვანი ამოცანები დაისვა საქართველოს მეცნიერთა წინაშე სამთო მრეწველობის მძაფრ განვითარებასთან დაკავშირებით. უკვე 1936 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები ამას წინათ გარდაცლილ გ. წულუკიძის საერთო ხელმძღვანელობით სისტემატურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ატარებდნენ ჭიათურის შავი ქვის მადარბეში და გადაჭრეს მოსამზადებელი და წმენდითი სამუშაოების მექანიზაციის, მარგანეცის მოპოვების, გადასატანი ზის ბიგების გამოყენებისა და სხვა საკითხები, რითაც მიღწეულია არსებითი ტექნიკურ-ეკონომიური ეფექტი.

1946 წელს აკადემიის სისტემაში შეიქმნა ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი, რომელმაც მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩაატარა ტყვარჩელისა და ტყბულის შახტების დიპრესიული გადაღების დარგში, მურა ნახშირის ახალციხის საბადოს ბურცვადი ქანების შესასწავლად და მოსამზადებელ გამოსამუშევრების რაციონალური გამაგრების დასამუშავებლად. ამ ინსტიტუტის უღია დამსახურებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რამე მან წამოაყენა საქართველოს ნავთობის შახტური წესით დამუშავების საკითხი.

საინტერესო სამუშაოები იქნა ჩატარებული დაშქესანის რკინის მადნის აღდგენის შესასწავლად. მეტალურგიული მრეწველობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით ინსტიტუტმა შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა რაიონების კვარცი, კვარციტები და ქალკედონები, აბანის ღოღომიტები, ცეცხლამძლე თიხები, მაგნეზიალური ნედლეული, კირქვები და სხვ.

უნდა აღინიშნოს ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელის სტალინური პრემიის ლაურეატის რ. ავალიძის რიგი თეორიული და პრაქტიკული შრომები მალაი სიწმინდის მანგანუმის მისაღებად. მას ეკუთვნის ელექტროლიზური გზით მანგანუმის წარმოების ლოგიკალური ხერხის დამუშავებისა და დანერგვის პრიორიტეტი.

შენადნობებისა და ლითონდამუშავების დარგში ყურადღების ღირსია აგრეთვე ქრომიტა და მანგანუმით ლეგირებული მაღალხარისხიანი თუჯის შემდეგ.

საქართველოს მეცნიერებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ჭრის თეორიის საკითხების დამუშავების მიმართულებით. ამ მხრივ დიდი ყურადღების ღირსია გამოკვლევები ჩქაროსნული ჭრის დროს საჭრისის ოპტიმალური გეომეტრიის დასადგენად.

სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ სოფლის მეურნეობის დარგში ფართო გაქანება მიიღო იმის შემდეგ, რაც 1921 წელს თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტთან აგრონომიული ფაკულტეტი დაარსდა, 1929 წელს კი, უკანასკნელის ბაზაზე, ბერაის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი შეიქმნა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა და მისგან გამოყოფილმა ზოოტექნიკურმა ინსტიტუტმა ხელი შეუწვეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომ გაშლას და მეცნიერ-მუშათა კადრების აღზრდას. შემდეგში შეიქმნა ჩაი-სა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, მემინდვრეობის ინსტიტუტი და რიგი საცდელი სადგურები, რომელთაგან ბევრი მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა.

იმ ფაქტში, რომ სუბტროპიკული კულტურები საქართველოს კოლმეურნეობისათვის ისეთივე ნაცად და მშობლიურ კულტურებად იქცა, როგორიცაა ხორბალი, სიმინდი, ყურძენი, დიდი დამახურება მიუძღვის ჩვენს მეცნიერებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს სუბტროპიკული კულტურების დასანერგავად, გამოიყვანეს ახალი ჯიშები. მაგალითად, ახლა ჩვენ გვაქვს მაღალხარისხიანი და მაღალმოსავლიანი ჩაის ბუჩქები (გამოყვანილი სტალინური პრემიის ლაურეატის ქ. ბახტაძის მიერ). ქართველი მეცნიერები ენერგიულ მონაწილეობას იღებენ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრაში (ნ. კეცხოველი, ვ. მენაბდე, ლ. დეკაბრელები და სხვ.). უკვე ფართოდაა დაწერებული ხორბლის ახალი ჯიშები „ქართული დოლი 35/4“, „დოლის პური 18/46“ და სხვ., რომელთაც მრავალი ჰექტარი უკავია.

მევენახეობის შემდგომი განვითარების მიზნით ჩვენმა მთავრობამ შექმნა სპეციალური საცდელი სადგურები, რომლებიც უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეღვინეობის კათედრებთან, აგრეთვე მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან ერთად დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოს სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი კულტურის განვითარებისათვის.

რესპუბლიკის მეცნიერებმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს ავადმყოფობათა და მავნებელთაგან მცენარეთა დაცვის საქმეში. თვალსაჩინო როლს ასრულებს ამ მხრივ აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი (დირექტორი ლ. ყანჩაველი). ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აგრეთვე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის კათედრა. მნიშვნელოვან მუშაობას ატარებენ მეცნიერი-მეტყველები ვ. გულისაშვილის მეთაურობით.

მეცნიერმა-მეცხოველეებმა გამოიყვანეს ცხვრის შესანიშნავი ჯიში — ქართული მერინოსი და ნაყოფიერად განაგრძობენ მუშაობას ახალი ჯიშის სხვა ცხოველების გამოსაყვანად.

მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული მიღწევები აქვთ ქართველ საბჭოთა მეცნიერებს მედიცინის დარგში. მეცნიერმა მუშაკებმა უკანასკნელ წლებში, კერძოდ, დაწვრილებით შეისწავლეს მალარიის ეპიდემიოლოგია და შეიმუშავეს მასთან ბრძოლის კომპლექსური მეთოდი, რის მეოხებითაც მალარიით დაავადება საქართველოში მკვეთრად შემცირდა.

მეცნიერი მუშაკები უშუალო დახმარებას უწევენ საწარმოებს. მათ დაწვრილებით შეისწავლეს შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ქიათურის მარგანეცის შახტებში, ჩაის ფაბრიკებში და სხვა საწარმოებში, შეიმუშავეს ამ პირობების გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი მეცნიერებმა გამოავლინეს და შეისწავლეს ათასამდე მინერალური წყარო. ზოგიერთი მათგანი უნიკალურადაა მიჩნეული.

დიდი მიღწევებია მოპოვებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. მათი დამუშავების ძირითად ცენტრებს წარმოადგენენ აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტები, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიული წყაროებისა და მასალების მიზანშეწავლილი შეგროვების, აგრეთვე არქეოლოგიურ სამუშაოთა (მცხეთა-არამში და სხვ.) სისტემატურად წარმოების საფუძველზე შედგენილია საქართველოს ისტორიის მარქსისტული სახელმძღვანელო (ი. ჭავჭავაძე, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი), რომელმაც სტალინური პრემია დაიმსახურა.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც ჩვენი მეცნიერები ატარებენ. მათი მუშაობა დაგვირგვინდარი იგი ბრწყინვალე აღმოჩენებით, რომლებმაც ქართულ არქეოლოგიას მსოფლიო სახელი მოუზღვეს. გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში უხვ ნათელს ფენენ ძველი ქართლისა და მისი დედაქალაქის ისტორიის რიგ საკითხებს.

მნიშვნელოვან მოვლენად ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა (რედაქტორი არნ. ჩიქობავა).

ენის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრს წარმოადგენს აკადემიის ენაობის ინსტიტუტი, სადაც გასავალი არ ჰქონდა ნ. მარის ანტიმარქსისტულ, ევლგაზულ-მატერიალისტურ თეორიას. ახლა ენათმეცნიერებაში მარქსიზმის საკითხებზე მეცნიერების კარიფეს ი. სტალინის ისტორიული შრომების შემდეგ, ქართველმა ენათმეცნიერებმა, ისე როგორც რესპუბლიკის ყველა მეცნიერმა, გარდაქმნეს მუშაობა ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე. ისინი ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან თავიანთ საქმიანობაში.

• •

საქართველოს მეცნიერთა წინაშე გრანდიოზული ამოცანები დგას. ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამაში, რომელიც დიდმა სტალინმა დაგვისახა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას საპატიო ადგილი აქვს დათმობილი: კომუნიზმში გადასვლა მოითხოვს არა მარტო მატერიალური, არამედ აგრეთვე სულიერი დოვლათის სიუხვს, მეცნიერების, კულტურის, მშრომელთა ყველა შემოქმედებითი ძალისა და უნარის აყვავებას.

ქართველი მეცნიერები, დიდი საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მშურ ოჯახში, თავიანთი შემოქმედებითი შრომით ხელს უწყობენ კომუნიზმის ტექნიკურ-ეკონომიური ბაზის შექმნას, კულტურის, მეწველობისა და სოფლის მეურნეობის უფრო დიდად განვითარებას. ქართველი ხალხი თავის მეცნიერთაგან მოელის ახალ შრომებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ კომუნიტური საზოგადოების სწრაფად აგებას.

აღფრთვანებულნი ყოველდღიური მზრუნველობით უდიდესი მოაზროვნისა და თეორეტიკოსის — ამხანაგ სტალინისა, რომლის მთელი მოღვაწეობა მოწინავე მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთიანობის მაგალითს წარმოადგენს, საქართველოს მეცნიერები, სსრ კავშირის ყველა მეცნიერთან ერთად, მომავალშიც დაუღალავად იმუშავენ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.



ჩვენი კულტურის დიდი გზა

ნიკო კახიშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

საბჭოთა საქართველო ოცდაათი წლისაა. იგი სრული დავაყვავების პერიოდში შევიდა. დავაყვავდა ჩვენი პირველი შვილები, ჩვენი კულტურის კერანი და მათ შორის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ეს დავაყვავება მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგია, შედეგია დიდი ბელადის, მშობლიური სტალინის ყოველდღიური ზრუნვისა და შრომის. ჩვენი ცხოვრების ყოველი წელი—განვითარების ახალი ეტაპია.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც დღევანდელი ჩვენი ცხოვრების პირველი შვილია.

ჩვენი უნივერსიტეტის განვითარება უშუალოდ დავაყვავებულია ჩვენი ცხოვრების განვითარებასთან. უნივერსიტეტი 1918 წელს დაარსდა. ოქტომბრის რევოლუციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ქართველებს, უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე მიეცული. უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორი იყო განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და მისი რამდენიმე თანამებრძოლი. თუ დაარსების წელს, 1918 წელს, მენშევიკების ბატონობის დროს, ერთი ფაკულტეტი იყო და 36 პროფესორ-მასწავლებელი, სამაგიეროდ ღლეს 12 ფაკულტეტი, 560 პროფესორ-მასწავლებელი და 5000-ზე მეტი სტუდენტი. იზრდებოდა, ვაყვავდებოდა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა და ეს დავაყვავება ზრდიდა უნივერსიტეტსაც. ამავე დროს უნივერსიტეტიც ხელს უწყობდა რესპუბლიკის განვითარებას მალაქლიფიციური კადრების აღზრდით. დღემდე უნივერსიტეტმა რესპუბლიკას მისცა 15230 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი: ფიზიკოსი და მათემატიკოსი—838, ქიმიკოსი—676, გეოგრაფ-გეოლოგი—1010, ბიოლოგი—840, ისტორიკოსი—1483, ფილოლოგი—2294, იურისტი—833, ეკონომისტი—4515 და სხვ. უნივერსიტეტმა გამოსცა 558 სახელწოდების წიგნი, აქედან 352 სახელმძღვანელოა. მისმა მეცნიერ-მუშაკებმა 30 წლის განმავლობაში დაწერეს და გამოაქვეყნეს 10000-ზე მეტი მეცნიერული შრომა და წიგნი.

ჩვენი უნივერსიტეტის მაგალითზე მკვეთრად ჩანს ჩვენი ცხოვრების წინსვლა. ჩვენმა ხალხმა ძლევამოსილად დააგვირგვინა ომის შემდგომი ხუთწლეული. ჩვენი ქვეყნის მრეწველობის პროდუქციამ ომის წინა პერიოდს გადააჭარბა. ეს დიდი გამარჯვება საბჭოთა ხალხისა, რასაკვირველია, მოქმედებს ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობაზეც. აი რამდენიმე მაგალითი:

1945 წ. 1/I უნივერსიტეტის ქონების ღირებულება უდრიდა 13.788.900 მანეთს, 1951 წ. პირველ იანვრისათვის კი — 30.345.000 მანეთს, ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა.


1945 წ. კაბინეტების მოწყობაზე დაიხარჯა 170.300 მანეთი, 1949 წ. — 4.040.900 მანეთი, 1950 წ. — 3.091.300 მანეთი, სულ კი ხუთწლეულის განმავლობაში — 10.075.100 მან.

ამან ხელი შეუწყო მატერიალური ბაზის ზრდასაც. 1945 წ. 1/I გვქონდა მუზეუმი, კაბინეტი და ლაბორატორია—44, 1951 წ. 1/I—107. 1945 წ. ბიბლიოთეკაში გვქონდა 665.630 ტომი. 1951 წ. 1/I გვაქვს — 1.007.000 ტომი.

შენობათა ფართობი 1945 წ. 31000 კვ. მეტრი იყო, ამჟამად — 37.000 კვ. მ, ამ ცოტა ხანში კი კიდევ უფრო გაიზარდება.

მატერიალური ბაზის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო მუშაობის საერთო გაუმჯობესებას.

ჩვენი მუშაობა კი პირველ რიგში სტუდენტ-



ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი შენობა.



უნივერსიტეტის ფოზიკა-ქიმიის კორპუსი.

თა მოსწრებაში და მოსწრების ხარისხში უნდა ჩანდეს. აბსოლუტური მოსწრება კი ასეთ სურათს იძლევა: 1945 წ. იყო—56,2%, 1950 წ.—92,0%, 1951 წ. ზამთრის სესიებზე — 93,8%.

გაიზარდა და ყოველწლიურად იზრდება „ფრიადი“ და „კარგი“ ნიშანი, ამის დამადასტურებელია შემდეგი ცნობები: 1945 წ.—„ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება შეადგენდა 50,7%, 1949 წ.—61,9%, 1950 წ.— 70,0%, 1951 წ. ზამთრის სესიებისა კი — 75%.

რაც მთავარია, გაიზარდა კარგოსანთა და ფრიადოსანთა რაოდენობა. ასე, მაგალითად, 1945 წ. იყო 285 ფრიადოსანი და კარგოსანი (10%), 1949 წელს—1905 (40,5%) და 1950 წ. 1921 ფრიადოსანი და კარგოსანი (47,7%), 1951 წლის ზამთრის სესიების მედეგად კი — 58%. ეს ზრდა რომ რიტმულია და არა ნახტომისებრი, ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ციფრები: ფრიადოსანი და კარგოსანი იყო: 1945 წ.—10,0%, 1946 წ.— 16,2%, 1947 წ.— 23,3%, 1948 წ.— 25,1%, 1949 წ.— 39,8%, 1950 წ.— 47,4%, 1951 წ. (ზამთარი) 58,0%.

ცხადია, ეს უშრომოდ არ მოსულა. პირველ რიგში თვით სტუდენტმა დაიწყო შრომა. ამის დამადასტურებელია ცნობები სტუდენტთა მიერ წიგნების მოხმარების შესახებ: 1945 წ. ბიბლიოთეკიდან სტუდენტთა მიერ გამოთხოვილი იყო 197.327 ტომი, 1946 წ.—370.120 ტომი, 1949 წ.— 634.791 ტომი 1950 წ.— 690.223 ტომი.

სწავლაში წარმატებების მიღწევას ხელი შეუწყო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობამ და მუშაობამ. სწავლაში კომუნისტების ავანგარდული როლი მტკიცეა. ფართოდ გაიშალა დისკუსიები მიზნობრივი ავრობიოლოგიის საკითხებზე. ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მეცნიერთათვის, ჩვენთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო და არის დიდი სკალინის შრომები ენათმეცნიერების შესახებ, რომელთა შესწავლამ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყ-

ვანა სწავლების ხარისხი არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში, არამედ საერთოდ მეცნიერებაში.

ამხანაფ კანდიდ ჩარკვიანის მიერ თბილისის XX პარტიულ კონფერენციაზე სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ მოცემული მითითებების ბოლშევიკურად განხორციელება ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

დიდი ყურადღება ექცეოდა თეორიულ კონფერენციებს, სემინარულ მუშაობას, ლექტორიუმის ლექციების ხარისხს, ყოველდღიურ აგიტაციასა და პროპაგანდას. სამეცნიერო სესიებზე, საჯარო

სხდომებზე, ყოველდღიურ მუშაობაში უდიდესი ყურადღება ექცეოდა პარტიულობის პრინციპის უფრო მეტად განმტკიცებას. პარტიული კომიტეტის ხაზით 1947/50 წ.წ. ჩატარებულია 50-მდე თეორიული კონფერენცია და 78 ლექცია-მოსხენება.

კომკავშირის ხაზით 1948 წლის ოქტომბრიდან დღემდე თეორიული კონფერენცია ჩატარდა 85-ჯერ, ლექცია-მოსხენება—312, თეატრალური დადგმის, ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების საჯარო განხილვა და სხვ. — 36-ჯერ. ჩატარებულია 100-ზე მეტი დიდი ექსკურსია, სპორტული და მხატვრული საღამო-კონცერტი გაიმართა 38-ჯერ.

საშეფო მუშაობის ხაზით მოეწყო 400 ლექცია-მოსხენება, 10 მხატვრული საღამო, შერჩეულია 5000-ზე მეტი წიგნი, რომლებიც გადაეცა ბიბლიოთეკებს, აქედან 3000-ზე მეტი წიგნი — დიდი ლილის კულტურის სახლს, და სხვ.

სასტიკი ბრძოლა ჰქონდა და აქვს გამოცხადებული ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედმოხრის რეციდივებს. საგრძნობლად გამოცოცხლდა სტუდენტთა საზოგადოებრივი წრეების მუშაობა. ასე, მაგალითად, ფიზკულტურის სექციებში გაერთიანებულია 2113 სტუდენტი. ჩვენი ტანმოვარჯიშეთა გუნდი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლების 7-გზისი ჩემპიონია, მტანჯისტების გუნდი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლების ჩემპიონია და სხვ.

სამხატვრო წრეებში გაერთიანებულია 600-ზე მეტი სტუდენტი, რომელიც უმაღლეს სასწავლებლების ოლიმპიადაში პირველი ადგილი დაიკავეს, ჩვენი სტუდენტები ამით არ დაკმაყოფილდნენ და შექმნეს სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრი, რომელიც 60 სტუდენტს აერთიანებს. თავიანთი პირველი კონცერტი მათ უძღვნეს ჩვენი სახელობის კომკავშირის XVIII ყრილობას. პროფარმაში იყო პირველი და რუს კომპოზიტორთა სიმფონიები. ახალგაზრდა მწერლებმა გამოსცეს ალმანახი „პირველი სხივი“, რომელმაც ფართო საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. მეორე ტომი

ბეჭდვები და მიძღვნილია საბჭოთა საქართველოს
XXX წლისთავისადმი.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეში გაერთიანებულია 800-ზე მეტი სტუდენტი. შარშან სამეცნიერო წრეებში და საზოგადოებაში წაითხულია 600-ზე მეტი მოხსენება, 101 შრომა უკვე დაიბეჭდა. ამ შრომებიდან 90-ზე მეტი კვლევისა და ექსპერიმენტის შედეგია.

გაიზარდა პროფესორ-მასწავლებელთა აქტივობაც. მარტო „უნივერსიტეტის შრომებში“ 1950 წ. გამოქვეყნდა 431 შრომა. 1949 წ. და 1950 წ. დამუშავდა 781 სამეცნიერო თემა. უნივერსიტეტის გამოცემლობამ 1945 წლიდან დღემდე გამოსცა 101 სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნი (ორიგინალური 74 და ნათარგმნი 27), აქედან 1949 და 1950 წლებში—40-ზე მეტი წიგნი.


უმაღლესი სასწავლებელი და, კერძოდ, უნივერსიტეტი პირველ რიგში კადრების სამკვდლოა. ჩვენ უნაკლო სპეციალისტი უნდა გამოიზარდოს, სპეციალისტი, რომელიც კომუნისმის აქტიური მშენებელი იქნება. 1951 წ. უნივერსიტეტში შემოსული ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებს 1956 წელს. რა რიგ ზღაპრულად უნდა შეიცვალოს მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრება იმ ათეული წლების მანძილზე, როცა მოღვაწეობა მოუხდება 1956 წელს კურსდამთავრებულ სპეციალისტს! ის უნდა იდგეს იმ მოწოდებისა და მოთხოვნის წინაშე, რომლებსაც ცხოვრების ახალი პირობები წამოაყენებენ, მზად იყოს იმ უსაზღვრო შესაძლებლობათა გამოყენებისათვის, რომლებსაც სტალინური ეპოქა გვიქმნის. აი რისი გათვალისწინებით უნდა ვამზადდეთ ახალგაზრდა სპეციალისტები. ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივი ამას სერიოზულ ანგარიშს უწევს და ყოველდღიურად აუმჯობესებს მუშაობას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების ხარისხს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე მეცნიერული კადრების აღზრდას. უნივერსიტეტში 500-ზე მეტმა მისმა პირშომ დაიცვა დისერტაცია დოქტორისა და მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ბევრი მათგანი ახლა სახელმწიფო მეცნიერი, აკადემიკოსი, პროფესორი, მეცნიერების დოქტორია. მარტო 1946—50 წლებში უნივერსიტეტის 99 ასპირანტმა წარმოადგინა და დაიცვა დისერტაცია. ეს ცოტა არაა, მაგრამ ამ მხრივ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი.


საკიროა გავზარდოთ ლაბორატორიების, კაბინეტების, მუზეუმების, სტუდენტთა სამკითხვე-

ჩვენი წარმატებების ციფრები

ზიგალოვსკი



1921 წელს საქართველოში იყო 21 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, 1949 წელს—121.



1921 წელს საქართველოში იყო 5 უმაღლესი სასწავლებელი 8,800 სტუდენტით, 1950 წელს კი—19 უმაღლესი სასწავლებელი 24400 სტუდენტით.

ლოების რიცხვი. არა მარტო პროფესორ-მასწავლებელს, არამედ ყოველ სტუდენტს უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტში ადგილი თავისუფალ დროს სამუშაოდ. უნდა გავამდიდროთ ლაბორატორიები ახალი იარაღებით, აპარატებით, ავადოთ ახალი შენობები.

ჩვენ არ გვაკლია პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დახმარება, არ გვაკლია პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობა. კულტურის საქმეს დიდ ყურადღებას აქცევს ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი, იგი დაინტერესებულია უნივერსიტეტის ყოველდღიური მუშაობით, სისტემატურ დახმარებას უწევს მას და უნივერსიტეტის დიდი კოლექტივი ამ ყურადღებას გაამართლებს.





მეცნიერ მეცნიერებათა ბანკითაიება ჩვენში



რეზიდე პედაგ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლები მოწინააღმდეგე, რომ შორეულ წარსულში საქართველო ტექნიკურად მოწინავე ქვეყანა იყო. ტექნიკის ყველაზე განვითარებულ დარგებს წარმოადგენდნენ სამშენებლო საქმე (ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ტაძრები, ხიდეები), ჰიდროტექნიკა (დიდი წყალსადენები და სარწყავი არხები), სამთო საქმე, მეტალურგია, საფეიქრო წარმოება, საღებავებისა და კერამიკულ წაწარმოება წარმოება.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ბრძოლას მძლავრ მტაცებელ მეზობლებთან (ირანი, თურქეთი) შედეგად მიყვება საქართველოს მეურნეობისა და კულტურის დაცემა. საფრთხეში იყო ქართველი ხალხის თვით ფიზიკური არსებობა.

საქართველოს შეერთებამ რუსეთთან ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა და საქართველოს მშვიდობიანი არსებობის შესაძლებლობები შეუქმნა, მაგრამ რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკა ძლიერ აბრკოლებდა საქართველოს, ისე როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა განაპირა მხარეების, განვითარების პროცესს. ამიტომ საქართველოს სახალხო მეურნეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მეტად დაბალ დონეზე იმყოფებოდა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ლაპარაკი კი არ შეიძლებოდა საქართველოში ტექნიკური განათლების რაიმე სერიოზულ განვითარებაზე, — იგი განისაზღვრებოდა ოთხი-ხუთი დაბალი ტექნიკური სასწავლებლით, რომლებიც ოსტატებსა და მათ თანაშემწეებს ამზადებდნენ.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაგვიდგა ნაციონალური კულტურის აღორძინების, საქართველოში მოწინავე მრეწველობის შექმნისა და ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების ეპოქა.

ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის ფართოდ გაშლამ და ტრანსპორტის სწრაფმა განვითარებამ მოითხოვა სხვადასხვა კვალიფიკაციის მრავალრიცხოვანი ტექნიკური კადრების მომზადება. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე დაიწყო უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ორგანიზაცია ადგილობრივი კადრების მომზადებლად მშობლიურ ენაზე.

ეს საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე მხრებზე დაიწვა იმ დროს მცირერიცხოვან ტექნიკურ ინტელიგენციას, რომელმაც, პარტიისა და მთავრობის დაუღალავი დახმარებისა და ყოველდღიური ხელმძღვანელობის მეოხებით, შეძლო მის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით შექმნილი საქართველოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები — ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და ლ. პ. ბერიაის სახელობის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე შეუდგნენ სხვადასხვა ტექნიკური პრობლემების დამუშავებას. ამ მუშაობამ განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მის შემადგენლობაში ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზაციის შემდეგ. ტექნიკური განყოფილება თავის შემადგენლობაში აერთიანებს სამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს — ლითონისა და სამთო საქმის, სამშენებლო საქმისა და ენერგეტიკის ინსტიტუტებს.

ზემოთ დასახელებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები წარმოადგენენ საქართველოს სსრ ტექნიკური კადრების სამკვდლოს. ჩვენი მრეწველობა ყოველწლიურად ღებულობს ასობით კვალიფიციურ სპეციალისტს, მომზადებულს რესპუბლიკის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თავის სიტყვაში, რომელიც მან 1950 წ. 9 მარტს თბილისში წარმოთქვა, აღნიშნა, რომ საქართველოში „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური ინტელიგენციის მაღალკვალიფიციური კადრების აღ-



ზრდას“. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს ამჟამად.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში ტექნიკურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური ცოდნის გავრცელებისათვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად ადგილებზე სპეციალისტთა კადრების ფართო მომზადებასთან ერთად, მოსკოვის, ლენინგრადის და სსრ კავშირის სხვადასხვა დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრების უმაღლეს სასწავლებელში ყოველწლიურად იგზავნება საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში ამჟამად ხორციელდება როგორც აკადემიის ზემოთ დასახელებულ ინსტიტუტებისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მიერ, ისე დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების — ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მინერალური ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების, საქართველოს ჰიდროენერგეტიკისა და მელორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ, რომელთა ქსელი საქართველოში განუწყვეტლივ იზრდება.

განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე ტექნიკურმა მეცნიერებებმა საქართველოში განვითარების სერიოზული გზა გაიარეს და მნიშვნელოვანი შედეგები მისცეს სოციალისტურ მეურნეობას.

ტექნიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცალკე დარგებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ქვემოთ მოყვანილი მოკლე მიმოხილვაც კი წარმოდგენას იძლევა ჩვენში ტექნიკურ მეცნიერებათა მძლავრ განვითარებაზე.

ენერგეტიკა. ცნობილია, რომ საქართველოს მძლავრი ჰიდროენერგეტიკული რესურსები და ენერგეტიკული სათბობის მნიშვნელოვანი მარაგი გააჩნია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეს რესურსები თითქმის გამოუყენებელი იყო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ენერგომშენებლობის ფართოდ გაშლა. 1922 წელს დაიწყო რესპუბლიკაში პირველი და საბჭოთა კავშირში მეორე (ვოლხოვის ჰიდროელსადგურის შემდეგ) დიდი ჰიდროელსადგურის — ზაქსის მშენებლობა. სტალინური ხელწოდების განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი ენერგეტიკული სისტემა, რომელიც მსხვილ ჰიდრო და თბოელექტროსადგურებს მოიცავს.

სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების შესაბამისად ქართული მეცნიერ-ენერგეტიკოსები შეუდგნენ რესპუბლიკის ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების შესწავლას. მრავალრიცხოვანი გამოკვლევები მიეძღვნა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის საკითხებს. გამოკვლევებმა გამოყენებითი და თეორიული ელექტროტექნიკის დარგში დიდი როლი ითამაშეს ელსადგურებისა და მაღალი ძაბვის ქსელთა მშენებლობაში. აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტმა ჩაატარა გამოკვლევები სეზონური ჰიდროელსადგურებისა და მარეგულირებელი ელექტროსადგურების სიმძლავრეთა, აგრეთვე ისეთი რთული ენერგოსისტემების პრაქტიკების შესახებ, რომლებშიც ჰიდროელსადგურები სჭარბობენ.

შესწავლილია მდინარეთა კასკადური გამოყენება. დამუშავებულია საქართველოს მდინარეთა — ხრამის, რიონის, მტკვრის, ცხენისწყლის, ენგურის ენერგეტიკული და კომპლექსური გამოყენების რიგი კონკრეტული ქვეყნები. ელექტროტექნიკის დარგში შესრულებულია სამუშაოები ელექტრული წრედების გაანგარიშების საკითხზე. მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ენერგეტიკულ სისტემაში სიზოირისა და სიმძლავრის რეგულირებისათვის. ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩატარებულია საინტერესო გამოკვლევა ფეროშენადნობთა ლუმენებში ელექტრული რკალის სიმძლავრის თეორიის დარგში.

აკადემიის ენერგეტიკულმა ინსტიტუტმა და თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს ჰიდროტექნიკაში.

საყურადღებო სამუშაოები აქვთ შესრულებული თბოტექნიკის დარგში აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტს, ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის თბოტექნიკის კათედრებს, ლ. პ. ბერიაშ სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის კათედრას. შესწავლილია სახალხო მეურნეობაში ახალციხის მურა-ნახშირის რაციონალური გამოყენების საკითხი, ჩატარებულია მუშაობა მაღალქაროსნული ჰაერმათობის შესაქმნელად, აგრეთვე გამოკვლევები საქვამო დაღებულობათა მუშაობის ინტენსიფიკაციისა და მათი გადაყვანისათვის თხევადი სათბობიდან მყარ ადგილობრივ სათბობზე და ა. შ.

მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული აგრეთვე სოფლის მეურნეობის ენერგეტიკის დარგში, განსაკუთრებით საწვინარი მანქანების რა-

ციონალური კონსტრუქციების, ელექტროტრაქტორისა და სამთო ტრაქტორის ორიგინალური კონსტრუქციის დასამუშავებლად.

სამშენებლო საქმე. გრანდიოზული მშენებლობის გაშლამ სტალინური ხუთწლიანი მანძილზე მრავალრიცხოვანი ახალი პრობლემები დასვა სამშენებლო მექანიკის, სამშენებლო წარმოების, სხვადასხვა საინჟინრო ნაგებობათა მასალბისა და კონსტრუქციების დარგში. საქართველოს ტერიტორიის სექსმურობასთან დაკავშირებით აქტუალური მნიშვნელობა მოიპოვა ანტისეისმური მშენებლობის საკითხებმა. მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად შექმნილია სერისმოდგრადობის დინამიკური თეორია, რომლის პრიორიტეტი ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებს, და განვითარებულ იქნა ნაგებობათა დინამიკის რიგი საკითხები. დამუშავებულია ანტისეისმური მშენებლობის ნორმები და ტექნიკური პირობები.

მეცნიერება-მშენებლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარეს აგრეთვე ახალი, ნაკლებდევითი ტური სამენი მასალების გამოსაქმნად და მათი თვისებების შესასწავლად. დამუშავებულია ბეტონის შემადგენლობის შერჩევის ორიგინალური მეთოდი, რაც ცემენტის მინიმალური ხარჯვის პირობებში მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

დიდი მიღწევები მოპოვებული მსუბუქი ბეტონის გამოკვლევისა და გამოყენების დარგში. მსუბუქმა რკინა-ბეტონმა უკვე ფართო გამოყენება პპოვა თბილისის რიგ საპასუხისმგებლო ნაგებობებში.

მშენებელთა მეცნიერული აზრი მუშაობდა აგრეთვე ახალი ეკონომიური კონსტრუქციების გამოჩენის მიმართულებით. მათ რიცხვს ეკუთვნის აგურის გარსები, ბეტონის დამრეცი გარსები და ა. შ.

ასევე წარმატებით მუშავდებოდა სამშენებლო მექანიკის საკითხები, გრაფიკული და გრაფიკალიზური ხერხებით საყრდენი კედლების გაანგარიშებისა და კომუნალური მეურნეობის საკითხები (წყალმომარაგება, ქალაქის კეთილმოწყობა და სხვ.).

სამთო საქმე. სასარგებლო წიაღისეულის უმდიდრესი საბადოები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეტად პრიმიტიული ხერხებითა და უაღრესად შეზღუდულ ფარგლებში მუშავდებოდა.

ამჟამად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის წამყვან და ფართოდ მექანიზებულ დარგს წარმოადგენს.

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც სამთო საქმის განვითარებასთან დაკავშირებით ისმებოდა. ეს გა-

მოიხატა როგორც სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ექსპლოატაციის რაციონალური მეთოდების დამუშავებაში, ისე ახალი სამთო საქარმოების დაპროექტებაში, მოპოვების მოწინავე მეთოდების დანერგვაში და ა. შ. ამავდროს, საქართველოს მეცნიერები ამუშავებდნენ ზოგადი ხასიათის პრობლემებსაც, როგორიც არის, მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების მიწისქვეშა დამუშავების მეთოდების კლასიფიკაცია. განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ჭიათურის მანგანუმის საბადოს დამუშავების საკითხებს. მნიშვნელოვანი კვლევითი მუშაობაა ჩატარებული ჩვენი ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული პრობლემების დასამუშავებლად. ჩატარებულია ტყეხულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტების დეტალური დებრესიული გადაღება. დიდი ყურადღება ექცეოდა სასარგებლო წიაღისეულთა ექსპლოატაციის უშიშროების გადიდებას, კერძოდ, ქვანახშირის საბადოთა გაზიანობის გამოკვლევას, საშახტო გალივებისათვის დანიშნულ ჰიდრაულიკურ პარაშუტებს, ელექტრულ მუხრუჭებს და საშახტო ამწევი მანქანების ავტომატიზაციას. დამუშავებულია ნავთობის მოპოვების ახალი შახტური მეთოდი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ზოგიერთი ნავთობიანი რაიონებისათვის.

მეტალურგია, ლითონმცოდნეობა და მანქანათმშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლების

ჩვენი წარმატებების ციფრები



1921 წ. 1950 წ.

1921 წელს საქართველოში იყო 9 ტექნიკური 1000 სტულდენტი, 1951 წელს კი—119 ტექნიკური 23,400 სტულდენტი.



დამყარებამდე საქართველოში არ არსებობდა მეტალურგიული და სამანქანათმშენებლო ჩრფველობა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე მეტალურგია-სა და მანქანათმშენებლობაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ობიექტებს ძირითადად წარმოადგენდა ადგილობრივი მეტალურგიული ნედლეული, ამ ნედლეულის გადამუშავება, სუფთა ლითონებისა და მაღალხარისხიანი შენადნობების მიღება, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ახალი უფრო ნაყოფიერი პროცესების შემუშავება. ყველა ამ საკითხს აყენებდა რესპუბლიკის სწრაფად მზარდი მეტალურგიული და სამანქანათმშენებლო მრეწველობა.

რამდენადაც საქართველო უზრუნველყოფილია მაღალხარისხიანი მანგანუმის მადნით, ქართული მეტალურგიის განვითარების დაწყებისთანავე მოეწყო ფერომაგანუმის წარმოება. წინათ მეტალურგიული ნედლეული საქართველოში თითქმის არ ყოფილა შესწავლილი. საბჭოთა პერიოდში მეცნიერმა-მეტალურგებმა დაადგინეს, რომ მეტალურგიულ ქარხნებში შეიძლება გამოყენებულ იქნას ნედლეულის ისეთი სახეები, რომლებიც წინათ უვარგისად ითვლებოდა, მაგალითად, ადგილობრივი ქვანახშირისაგან დამზადებული კოქსი, ტყიბულის საწვი ფიქლები და სხვ., აღმოჩენილია ნედლეული მაღალცეცხლამძლე მასალების მისაღებად.

მეტალურგიის დარგში დიდ ექსპერიმენტულ სამუშაოთა დაწყება და მეტალურგიული მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის სისტემატური შესწავლა დაკავშირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტთან. ინსტიტუტში ჩატარებულია რიგი ნაყოფიერი გამოკვლევები მანგანუმისა და სხვა ლითონთა შენადნობების მიღების საკითხებზე. შესწავლილია და წარმატებით ინერგება წარმოებაში ჭიათურის საბადოს ღარიბი მანგანუმის მადნები, გადამჭრილია საქართველოს ლიბეტიბოლეთი ფიქლების კომპლექსური გამოყენების პრობლემა. შესწავლილია დაშქესანის მადნების აღდგენადობა.

ინსტიტუტმა რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა ლითონმცოდნეობის დარგში. მიღებულია ლეგირებული მაღალხარისხიანი თუჯების ახალი შემადგენლობანი, მათ შორის მაღალმანგანუმანი აუსტენიტური ჭედადი თუჯი. დამუშავებულია ღუმელების გაანგარიშების ორიგინალური მეთოდი და ტყიბულის ფიქლებიდან სილიკაალუმინის შენადნობთა ელექტროდნობის ტექნოლოგია.

მანქანათმშენებლობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შემდეგი მიმართულებით ვითარდებოდა: ლითონთა ჭრის თეორია, ლითონთა დამუშავება წნევით, სამთო ტრაქტორის თეორია,

მექანიზმების კინემატიკა, ჩარხმშენებლობის თეორია.

მეტალურგია

ქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარებს ქართველმა მეცნიერებმა ქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის დარგში. ეს მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში და აგრეთვე მინერალური ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებაში. გამოკვლევები არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის დარგში უმთავრესად წარმოებდა ადგილობრივი მინერალური ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების შესწავლისა და გამოყენების მიმართულებით. ამ მიზნით დიდი მუშაობა ჩატარდა მანგანუმის მადნებისა და მრეწველობის ნარჩენების შესასწავლად და გამოსაყენებლად. დამუშავებულია მანგანუმის მადნების კლასიფიკაცია და მანგანუმის მადნებიდან რიგი ახალი პროდუქტების მიღების ტექნოლოგია. ჩატარებულია გამოკვლევები მანგანუმის მადნების გამოტუტვის, ხსნარების გაფშენდისა და მანგანუმის ორჟანგის მიღების დარგში. დამუშავებულია კალიუმის, ნატრიუმისა და ბარიუმის პერმანგანატის მიღების მეთოდი, აგრეთვე მანგანუმის მადნების კომპლექსური გადამუშავების ორიგინალური სქემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ მადნების ყველა ძვირფასი კომპონენტის გამოყენებას. დამუშავებულია მეთოდი ბარიუმის ნეერთების მიღების კალსტიკური სოლასთან ერთად.

დადგენილია გუმბრინის, ახალციხის თიხის, აგრეთვე ხელოვნურად აქტივირებული ასკანის თიხის — ასკანტის მათეორიული თვისებები. სოფლის მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შესწავლილია სპილენძის მადნები და დამუშავებულია სპილენძის აჯაპის წარმოების რაციონალური მეთოდები. შესწავლილია აჯამეთის თიხები და კირქვები და გამოკვლეულია მათი ვარგისობა პორტლანდცემენტის წარმოებისათვის. დიდი მუშაობაა ჩატარებული ადგილობრივი გაჯის შესწავლისა და მისი გადამუშავების ტექნოლოგიის დადგენის დარგში.

ტრანსპორტი. რელიეფის ძლიერი დასერილობის გამო, საქართველოში რკინიგზებისა და გზატკეცილების დაპროექტების, აგებისა და ექსპლუატაციის პირობები მეტად სპეციფიკურია. მუშაობა ამ დარგში ძირითადად მიმდინარეობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. ტრანსპორტის იმ პრობლემებზე შორის, რომლებიც გადაჭრის ქართველმა მეცნიერებმა, ყველაზე მნიშვნელოვანია შავი ზღვის სანაპიროს რკინიგზის ვაკისის ჩამორეცხვისაგან დაცვის ხერხების შესწავლა. საზღვაო საყრდენი კედლების ფილტრაციის წინააღმდეგ მდგრადო-

ბის ახალი თეორიის, აგრეთვე ზეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა, დანგრეული რკინიგზის გვირაბების ხანმოკლე და დროებით აღდგენის მეთოდების დამუშავება, ქვის ხიდების მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის საკითხების შესწავლა და სხვა.

•
•


შემოთ მოყვანილი, მეტად არასრული აღწერა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რაც საქართველოში ტექნიკურ მეცნიერებათა და მრეწველობის დარგში შესრულდა, მოწმობს, რომ საბჭოთა საქართველოს ტექნიკური ინტელიგენცია ღირსეულად ასრულებდა და წყვეტდა იმ ამოცანებს, რომლებსაც მის წინაშე პარტია და მთავრობა აყენებდნენ.

საქართველოში ტექნიკური მეცნიერების დარგში მომუშავე ადამიანთა სიაში საბატო ადგილი უკავიათ განსვენებულ გ. ნ. ნიკოლაძეს, ა. მ. ბენაშვილს, გ. ა. წულუკიძეს, და ამჟამად წარმატებით მომუშავე ა. ი. დიდებულაძეს, კ. ს. ზაფრეიძეს, გ. კ. გედევანიშვილს, გ. მ. მუხაძეს, ნ. ლ. გვარამაძეს, ა. ა. გულისაშვილს, ლ. ნ. დიასამიძეს, ვ. მ. კაკაბაძეს, მ. ნ. მონტკოვს, ი. ა. ყიფშიძეს და მრავალ სხვას.


დიდი დახმარება გაუწიეს ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარებას და ტექნიკური ინტელიგენციის კადრების აღზრდას საქართველოს მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა — განსვენებულმა პ. გ. მელიქიშვილმა და ამჟამად ნაყოფიერად მომუშავე ნ. ი. მუსხელიშვილმა, ა. ი. ჯანელიძემ, ა. ა. თვალტრელიძემ და სხვებმა.

უდავოა, რომ საბჭოთა საქართველოს ტექნიკურ მეცნიერებათა როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობა, რომელიც თავის მუშაობაში პარ-

ჩვენ წარმატებების ციფრები
გზისმართვის



1921 წელს საქართველოში იყო 1596 დაწყებითი სკოლა, 1950 წელს კი — 2254.



1921 წელს საქართველოში იყო 98 საშუალო სკოლა 30.700 მოწაფით და 185 არასრული საშუალო სკოლა 32.300 მოწაფით; 1950 წელს კი — 714 საშუალო სკოლა 357.600 მოწაფით და 1321 არასრული საშუალო სკოლა 257.900 მოწაფით.

ტიისა და მთავრობის მუდმივი დახმარებითა და ყურადღებით სარგებლობს, ყველა ზომას მიიღებს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, გააძლიერებს მომთხოვნეობას თავის თავისადმი და მომავალშიც ღირსეულად გადაჭრის იმ ამოცანებს, რომლებსაც მის წინაშე დიდი სტალინური ეპოქა აყენებს.



ნაციონალური საინჟინრო კადრების სამშენებლო

პრიმორ ქომათიანი

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი

საბჭოთა საქართველო თავისი არსებობის 30 წლის განმავლობაში გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიისა და დიდად განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. წლითწლით იზრდება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის წარმატება, ფეხზე დგება საქართველოს მეტალურგია, შენდება რესპუბლიკის პირველი საავტომობილო ქარხნის ახალი კორპუსები, თანდათან მეტი მასშტაბით წარმოებს რესპუბლიკის წიაღისეული სიმდიდრეების და ენერგეტიკული რესურსების გამოყენება.

მშენებლობის ამ დიადი პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა მრავალრიცხოვანი ნაციონალური კვალიფიკაციური ტექნიკური კადრები, რომელთა ერთ-ერთ სამშენებლოს ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი წარმოადგენს.

საქართველოში პოლიტექნიკური სწავლება მხოლოდ სამჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მანამდე კი არა თუ უმაღლეს პოლიტექნიკურ, ზოგად უმაღლეს განათლებზეც კი მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა, რადგან რუსეთის ცარიზმი შეგნებულად აბრკოლებდა უმაღლესი სასწავლებლის გახსნას საქართველოში. ეს მტკიცდება თუნდაც კავკასიაში პოლიტექნიკუმი გახსნის სავალალო ისტორიის მთელი მსვლელობით.

ამ საკითხის ირგვლივ მწვავე და მრავალწლოვანი ბრძოლის შემდეგ, მხოლოდ 1912 წლის 20 ივლისს დაამტკიცა მეფის რუსეთის მინისტრთა სამკომ „უქრანალ“ თბილისში პოლიტექნიკუმის მოწყობის შესახებ, მაგრამ საკითხის გადაწყვეტასახელმწიფო სათათბიროში 1916 წლის ივნისამდე ვაჭიანურდა.

ფაქტურად პოლიტექნიკუმი გაიხსნა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის სექტემბერში. მეცადინეობა წარმოებდა მარტოდენ ერთი, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი. ერთი წლის შემდეგ გაიხსნა მეორე ფაკულტეტი — ეკონომიკური, ხოლო 1919 წლის ოქტომბერში მათ მიემატა პიდროლექტრიფიკაციური ფაკულტეტი. პირველ ხანებში აქ მეცადინეობა სპორადულ-

ლად წარმოებდა და ისიც მარტოდენ ლექციების სახით, რომლებსაც მხოლოდ რუსულ ენაზე კითხულობდნენ. პოლიტექნიკუმს საკუთარი შენობა არ გააჩნდა და მეცადინეობა ქალაქის ხუთ სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობდა. მენშევიკური მთავრობა არავითარ თანხებს არ იღებდა ინსტიტუტისათვის და უკანასკნელის სახსრები შედგებოდა სტუდენტთა მიერ შეტანილი სწავლის გადასახადისა და აგრეთვე კერძო პირთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შეწირულებებისაგან.

მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ. ამ საქმეში მნიშვნელოვანი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების კათედრასთან არსებულმა „ქართულმა სამეცნიერო წრემ“, რომელმაც თავისი მუშაობა 1911 წელს დაიწყო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მეცნიერთა ეს ჯგუფი ი. ჯავახიშვილის მეთაურობით ჩამოვიდა თბილისში და აქ განაგრძო თავისი მოღვაწეობა.

1918 წლის 8 თებერვალს მოხდა უნივერსიტეტის გახსნა თბილისის ყოფილ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, რომელიც თავის დროზე სწორედ ამ მიზნით შენდებოდა. უნივერსიტეტი თბილისში გაიხსნა მენშევიკური მთავრობის ყოველგვარი მონაწილეობისა და დახმარების გარეშე, მხოლოდ საზოგადოებრივი მორალური და მატერიალური მზრუნველობით. პირველად მარტოდენ ერთი ფაკულტეტი მუშაობდა. იმავე წლის შემოდგომაზე სამი ფაკულტეტი გაიხსნა — სამედიცინო, ფიზიკურ-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო-ისტორიული, ხოლო ერთი წლის შემდეგ — აგრონომიულიც.

1917 წელს თბილისში ინჟინრების ჯგუფმა შექმნა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში, ისე საშუალო და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მოწყობაში. საზოგადოებამ მეტად ცხოველი მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტთან პოლიტექნიკური ფაკულტეტის ორგანიზაციაში, სადაც ტექნიკური დისციპლინე-

ბის სწავლება პირველად მოეწყო ქართულ ენაზე. საქართველოს ტექნიკური საზოგადოებისა და უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გაერთიანებულ თათბირზე 1920 წლის დეკემბერში არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა შეესწავლა უნივერსიტეტთან ტექნიკური განყოფილების ანდა ფაკულტეტის დაარსების საკითხი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან უმაღლესი ტექნიკური განათლების საქმეს მკვიდრი და საიმედო საძირკველი ჩაეყარა. 1921 წლის მაისში განათლების სახალხო კომისიარატმა წინადადება მიიტანა უნივერსიტეტს გაეხსნა ტექნიკური ფაკულტეტი. სპეციალურად არჩეული კომისიის მიერ სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სათანადო მოსაზრადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა 1922 წლის იანვრიდან გახსნილიყო პოლიტექნიკური ფაკულტეტი მექანიკური, სამშენებლო და სამთო-ქიმიური განყოფილებებით.

1922 წლის იანვარში პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა პირველი კურსის მეორე სემესტრის პროგრამით. დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი ა. ი. დიდებულიძე. დაარსების მომენტისათვის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაში ითვლებოდა სულ 4 პროფესორი, 6 დოცენტი, 9 ლექტორი და 5 ასისტენტი.

მოუხედავად ყველა იმ სიძნელისა, რაც დაკავშირებული იყო ქართულ ენაზე სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოუმუშავებლობასა და მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების თითქმის სრულ უქონლობასთან, პოლიტექნიკური ფაკულტეტი ინტენსიურად იზრდებოდა. თუ 1923/24 სასწავლო წელს სტუდენტების რაოდენობა პოლიტექნიკური ფაკულტეტის სამივე კურსზე 352 კაცს უდრიდა, 1927/28 სასწავლო წელს ფაკულტეტის 5 კურსზე სტუდენტთა რაოდენობა უკვე 1187 კაცს შეადგენდა, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი 59 კაცამდე გაიზარდა.

1928 წლის ივნისში მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ინჟინერთა პირველი გამოშვება.

სტუდენტთა კონტიგენტის მნიშვნელოვანი გაზრდისა და პროფესორ-მასწავლებელთა როგორც კვალიფიკაციის, ისე რიცხოვნობის ზრდის გამო, უკვე 1927/28 სასწავლო წლის დასასრულისათვის მომწიფდა პოლიტექნიკური ფაკულტეტის დამოუკიდებელ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლად გამოყოფის საკითხი. 1928 წლის ზაფხულში მთავრობის დადგენილებით პოლიტექნიკური ფაკულტეტი გამოეყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ე. ი. ლენინის სახელობის სა-

ქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახით. ინსტიტუტის პირველი რექტორი იყო პროფესორი ნიკოლოზ ივანესიძე მუსხელიშვილი, რომელიც 1926 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დეკანად მუშაობდა და მისი ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო.

1930 წლის ზაფხულში პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაიყო 6 დარგობრივ ინსტიტუტად: საინჟინრო-სამშენებლო, ენერგეტიკულ, სამთო-მეტალურგიულ, ქიმიურ-ტექნოლოგიურ, სატრანსპორტო და საინჟინრო-მელიორაციულ ინსტიტუტებად.

1932 წლის დასასრულს სამთო-მეტალურგიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტები გაერთიანდნენ ამიერკავკასიის სამთო-ქიმიურ ინსტიტუტად, რომელსაც ერთი წლის შემდეგ შეუერთდა საინჟინრო-სამშენებლო და ენერგეტიკული ინსტიტუტები. გაერთიანებულ ინსტიტუტს ეწოდა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი, რომელიც 1936 წელს საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტად გადაკეთდა და რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის ს. მ. კიროვის სახელიწეინიჭა. ამ დროისათვის ინსტიტუტში იყო 4 ფაკულტეტი 16 სპეციალობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 24 იანვრის დადგენილებით ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტს ეწოდა ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

მრეწველობისათვის ინჟინერთა კადრების მომზადების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით, ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით; ორდენებითა და მედლებით იქნენ დაჯილდოებული აგრეთვე ინსტიტუტის რიგი მუშაკები.

ამჟამად ინსტიტუტს აქვს 7 ფაკულტეტი, რომლებიც 27 სპეციალობის ინჟინრებს ამზადებენ.

ინსტიტუტში სტაციონარზე დღეისათვის ირიცხება 3150 სტუდენტი.

თავისი არსებობის 29 წლის მანძილზე საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა გამოუშვა 9643 ახალგაზრდა სპეციალისტი, ამათგან: 3336 ინჟინერი-მშენებელი, 1698 ინჟინერი-მექანიკოსი, 1648 სამთო ინჟინერი, 1638 ინჟინერი-ელექტროტექნიკოსი, 1171 ქიმიკოსი-ტექნოლოგი და 162 ინჟინერი-მეტალურგი.

ინსტიტუტთან არსებობს დაუსრულებელი განყოფილება, სადაც, წარმოებისაგან მოუწყვეტლად, უმაღლეს ტექნიკურ განათლებას იღებს 2093 კაცი. მათთვის სისტემატური დახმარების აღმოსაჩე-



ნად ინსტიტუტს აქვს, გარდა თბილისისა, 5 სას-
წავლო-საკონსულტაციო პუნქტი საქართველოს
შემდეგ სამრეწველო ცენტრებში: ქუთაისში, ბა-
თუმში, ფოთში, ქიათურასა და ტყიბულში. სა-
ქართველოს კ. პ. (ბ) ც. კის მითითებით ახლახან
სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი მოეწყო სა-
ქართველოს შავი მეტალურგიის ცენტრში—რუს-
თაში.

ინსტიტუტი ყოველწლიურად უშვებს 600-650
ახალგაზრდა ინჟინერს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის
კურსდამთავრებულნი წარმატებით მუშაობენ
ჩვენი თვალწინ სამშობლოს ყველა კუთხეში.

მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებთან ერთად ინს-
ტიტუტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბ-
მულნი ფიზკულტურულ ცხოვრებაში და აბა-
ერთხელ უსახელებიათ მშობლიური ინსტიტუტი
სხვადასხვა სახის ფიზკულტურულ შეჯიბრებებზე.

სტუდენტთა რაოდენობრივ ზრდასთან ერთად
ზრდებოდა პროფესორ-მასწავლებელთა კვალი-
ფიკაცია და რიცხვი. ამჟამად ინსტიტუტში 356
პროფესორ-მასწავლებელი ირიცხება, რომელთა-
გან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორი
ნამდვილი წევრია და ორი წევრ-კორესპონდენტი,
18 მეცნიერებათა დოქტორი და 151 მეცნიერება-
თა კანდიდატი. სამეცნიერო წოდებათა მიხედვით
ინსტიტუტში ამჟამად 26 პროფესორი და 130 დო-
ცენტი.

1937 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიური კად-
რების მომზადება წარმოებს ინსტიტუტთან არ-
სებული ასპირანტურის მეშვეობით. ამჟამად ასპი-
რანტურაში ირიცხება 33 კაცი, რომლებიც ამუშა-
ვებენ სამეცნიერო თემებს 17 სხვადასხვა სპეცია-
ლობაში.

ინსტიტუტში 26 სპეციალობის ინჟინერთა მო-
სამზადებლად შვიდ ფაკულტეტზე არსებობს 49
კათედრა, 19 კაბინეტი, 28 ლაბორატორია, 3 სამ-
ხაზველო. ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში 320000
სხვადასხვა სახელწოდების წიგნი და ჟურნალია
თავმოყრილი.

ინსტიტუტის ზრდასთან დაკავშირებით, მის-
თვის შესაფერის სამეცნიერო-საწარმოო და ლაბო-
რატორიული ბაზის შესაქმნელად, ამჟამად მიმდი-
ნარეობს ინსტიტუტის ახალი კორპუსების მშენებ-
ლობა და მოწყობა სპეციალური აპარატურითა და
დანადგარებით. ეს მშენებლობა დაწყებულ იქნა
ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ლავრენტი
პაჭურაძე ბერაის ინიციატივითა და მითითებით.
შემდგომ განვითარებასა და ზრდაში ინსტი-
ტუტს დიდ მზრუნველობასა და დახმარე-
ბას უწევს საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი
ხელმძღვანელი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებს ძვირფასი
წვლილი შეეძქთ ჩვენი ტექნიკისა და მრეწველო-
ბის შემდგომი წინსვლის საქმეში. სამეცნიერო-

კვლევითი მუშაობაში ჩაბმულია დოქტორთა, მო-
ნაწილობას იღებს მოსწავლე პრაქტიკოსებიც,
რომელიც გაერთიანებულია სტუდენტთა სამეცნი-
ერო საზოგადოებაში. საზოგადოებას აქვს 6 სექ-
ცია: საზოგადოებრივ მეცნიერებათა, სამშენებლო,
ელექტროტექნიკური, სამთო, ქიმიურ-ტექნოლო-
გიური და მექანიკური. ამ სექციებში მუშაობს
40 წრე, რომლებშიაც 630 სტუდენტია გაერთი-
ანებული. საზოგადოების როგმა წევრებმა ჩაატა-
რეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელსაც
აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული
მნიშვნელობა, მაგალითად, ელექტროტექნიკური
ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა გ. ეხაკელმა
დაწერა შრომა „სიმძლავრის კოეფიციენტის გაზარ-
დის მეთოდები ტაგანროგის მეტალურგიულ ქარ-
ხანაში“, სამთო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტ-
მა გ. ქართველიშვილმა — „ჩათახის რკინის საბა-
დო“. სტუდენტთა ნაშრომების ნაწილი უკვე და-
ნერგულია წარმოებაში.

ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის
დამახასიათებელ მიმართულებებს წარმოადგენენ:
საქართველოს გეოლოგიური აღწარმოებისა და
მადნეულის საბადოების შესწავლა, საქართველოს
მადნეულის საბადოთა ექსპლოატაციის რაციონა-
ლური ხერხების დამუშავება და მათი მექანიზა-
ცია, სამშენებლო მექანიკის პრობლემათა დამუშა-
ვება, მთიან ადგილებში საინჟინრო ნაგებობათა
მშენებლობის საკითხებისა და ძველი საქართვე-
ლოს სამშენებლო ნაგებობათა შესწავლა, ადგი-
ლობრივი ნედლეულის გამოყენება ქიმიური
მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, ენერგო-
სისტემათა მუშაობის ეფექტიანობისა და ენერ-
გიის ხარისხის გადიდებათან დაკავშირებულ სა-
კითხოთა გამოკვლევა, ელექტრომაგნიტურ მოვ-
ლენათა გამოკვლევა არახაზოვანი ელექტრული
პარამეტრების მქონე დანადგარებსა და ჯაჭვებში,
ლითონთა ტექნოლოგიისა და მანქანათმშენებლო-
ბის პრობლემების დამუშავება, მთაგორიან პირო-
ბებში სატრანსპორტო და საწვები მანქანების მუ-
შაობის შესწავლა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში შესრულე-
ბულ სამუშაოთაგან თავისი აქტუალობითა და მი-
ზანდასახულობით გამოირჩევა თემები:

1. „საქართველოს მიწისქვეშა წყლები“ — ავ-
ტორი გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერება-
თა დოქტორი დოცენტი ი. მ. ბუაჩიძე (გამოყენე-
ბითი გეოლოგიის კათედრა). ამ თემის დიდი მნიშ-
ვნელობა აქვს საქართველოს უწყლო რაიონების
წყლით მომარაგების საქმეში; 2. „გადასატანი ხის
ბიგების სხვადასხვა კონსტრუქციების შექმნა და
დანერგვა ქიათურის მარგანეცის საბადოზე“, რაც
შესრულებულია პროფესორ გ. ა. წუ-
ლუკიძის ხელმძღვანელობით. თემას უდიდესი სა-
ხალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, იგი იძლევა
სამაგრი ხე-ტყის დიდ ეკონომიას; 3. „ახალი



კონსტრუქციის ბურღების გამოყენებით საბურღი მანქანების მარგი ქმედების კოეფიციენტისა და წარმადობის გადიდება. თემა დამუშავებულია მაღაროს ტრანსპორტისა და სამთო მანქანების კათედრის მიერ დოც. ე. ვ. ალექსანდროვისა და დოც. ნ. მ. ტყემალაძის ხელმძღვანელობით.

აღსანიშნავია აგრეთვე პროფესორ ფ. ნ. თავაძის ხელმძღვანელობით წარმოებული მუშაობა ლითონთა სხმის ახალი ხერხების დარგში და სხვ.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ინსტიტუტის თანამშრომლები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან წარმოებასთან შემოქმედებითი თანამეგობრობის სახით. ისინი დახმარებას უწევენ წარმოების მუშაკებს კვალიფიკაციის ამაღლებასა და რთული ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში. ამ მუშაობის ორგანიზაციის საქმეში ინსტიტუტს დიდი დახმარება გაუწია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა, რომელმაც დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ამ დარგში მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ინსტიტუტს შემოქმედებითი თანამეგობრობა აქვს დამყარებული მიუღო რიგ წარმოება-დაწესებულებებთან, როგორიცაა — „ქუთაისის მარგანტრესტი“, „ტყეულ-ნახშირი“, „ახალციხნახშირი“, ქუთაისის ავტოქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა, ს. მ. კიროვის სახელობის დაზღაომუნებელი ქარხანა, ქარხანა „დაზგა“, „ცენტროლიტი“ და სხვ.

გასულ წელს ინსტიტუტის კათედრებმა რამდენიმე სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია ჩაატარეს წარმოების მუშაკთა მონაწილეობით (კიროვის სახელობის დაზღაომუნებელ ქარხანაში, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, კასპის ცემენტის ქარხანაში და სხვ.). მეცნიერ-მუშაკები სისტემატურად ატარებენ ლექციებს, საუბრებსა და კონსულტაციებს სხვადასხვა საწარმოებში. ორჯონიკიძის სახელობის, 26 კომისიის სახელობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხნებთან მოეწყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სამეცნიერო-საკვლეო თემატიკის დამუშავებაში მონაწილეობას იღებენ წარმოების მუშაკებიც.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს სასწავლო და

დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა ქართულ ენაზე. ინსტიტუტი საშუალოდ ყოველწლიურად უშვებს 10 სახელწოდების ორიგინალურ და ნათარგმნ სახელმძღვანელოს.

გარდა სახელმძღვანელოებისა, სისტემატურად ქვეყნდება „ინსტიტუტის შრომები“, სადაც იბეჭდება პროფესორ-მასწავლებელთა გამოკვლევები და წერილები მეცნიერებისა და წარმოების სხვადასხვა საკითხებზე.


ინსტიტუტში წარმოებულ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შეჯამება ხდება პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებზე, რომლებიც სისტემატურად ეწყობა.


გასული წლის ნოემბერში ამიერკავკასიის სამომხმე რესპუბლიკის პოლიტექნიკური ინსტიტუტების წარმომადგენლები პირველად შეიკრიბნენ თბილისში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამეცნიერო-კონფერენციაზე, რათა განემტკიცებინათ შემოქმედებითი კავშირი და ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტისას დაგროვილი გამოცდილება.

ინსტიტუტის დაარსებიდან 29 წლის განმავლობაში ჩატარებულია დიდი და ნაყოფიერი მუშაობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისათვის ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საბჭოთა ხელისუფლების პირში, მნიშვნელოვანი წარმატებებით ეგებება. მან გამოზარდა საინჟინრო დარგის რამდენიმე ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი, მოამზადა ასობით მაღალკვალიფიკირებული მეცნიერი მუშაკი, შექმნა მრავალი ღირსშესანიშნავი მეცნიერული შრომა.


ასეთი ნაყოფიერი მუშაობის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში, იმ ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის პირობებში, რომელიც საბჭოთა ხალხის გენიალური წინამძღოლის, საბჭოთა მეცნიერების უდიდესი კორიფეს — დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ტარდება.

ინსტიტუტი ყოველგვარ ღონესა და ძალას იხმარს, რათა მომავალშიც პირნათლად შეასრულოს მის წინაშე მდგარი მეთად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანები.





ახალი თბილისი. სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ახალი შენობა.



წყალტუბო. საქართველოს კურორტოლოგიისა და მკურნალობის ფიზიკური მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი.

კადრების მომზადება სოფლის მეურნეობისათვის



ბიოგრაფიკული

დ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემიის დირექტორი

საქართველოს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტთან. 1919 წლის 18 მაისს უნივერსიტეტის პრეფესორთა საბჭომ გადაწყვიტა იმავ შემოდგომიდან სახუნებისმეტყველო ფაკულტეტთან „სააგრონომიო“ განყოფილების დაარსება. 1919 წლის შემოდგომიდან დაიწყო სწავლება სააგრონომიო განყოფილებაზე, ხოლო განყოფილების საბოლოო ჩამოყალიბება 1920-21 სასწავლო წლის განმავლობაში დამთავრდა.

1921 წელი გარდატეხის წელია ქართველი ერის ცხოვრებაში. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა. საქართველოს მშრომელმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით სამუდამოდ დაამხეს მენშევიკების ბატონობა.

ახალ ამოცანებთან დაკავშირებით საჭირო იყო ეპოქის შესაფერისი ახალი, საბჭოთა ინტელგენცია, ახალი სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში.

1921 წლის 25 ივლისს თბილისის უნივერსიტეტმა მიიღო საბჭოთა მთავრობის დადგენილება უნივერსიტეტის სტრუქტურის შეცვლისა და მის სისტემაში აგრნომიული ფაკულტეტის ჩამოყალიბების შესახებ.

1921 წლის 30 სექტემბერს შედგა აგრნომიული ფაკულტეტის 1-ლი სხდომა. ეს თარიღი ითვლება აგრნომიული ფაკულტეტის ფაქტობრივი ჩამოყალიბების დღედ.

1924 წლამდე ფაკულტეტთან არსებობდა ორი განყოფილება: აგრნომიული და სატყეო. 1924-25 სასწავლო წლიდან უკვე სამი განყოფილება შეიქმნა: სოფლის მეურნეობის (იგულისხმებოდა მემინდერეობა-მესაქონლეობა), მეხალხობა-მევენახეობისა და ტყის მეურნეობის.

საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით, აგრნომიული ფაკულტეტი სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა. ჯერ კიდევ 1923 წელს ლიკანის სასახლიდან (ბორჯომი) მას გადაეცა სატყეო მუხეუმი. 1924 წელს საქართველოს მიწსახომა აგრნომიული ფაკულტეტს გადასცა საცხოვროდ მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორია. 1925 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა აგრნომიული ფაკულტეტისათვის შეიძინა ყოფილი „ჩრდილოეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ (ლენინგრადში) მთელი ქონება, ბაბლითეა და სხვ. 1929 წლიდან უკვე მომზადდა ნიადაგი აგრნომიული ფაკულტეტის ცალკე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახით გამოყოფისათვის.

1929 წლის დამლევს აგრნომიული ფაკულტეტის ბაზაზე დაარსებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომმა აღმავლობამ, სოფლის სოციალისტური მშენებლობის ფართოდ გაშლამ, კომუნურებათა ჩამოყალიბებამ, საბჭოთა მეურნეობისა და მანქანატრატორთა სადგურების ქსელის გაფართოებამ, სუბტროპიკული კულტურების არსებული ტემპებით განვითარებამ, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი განათლების წინაშე ახალი ამოცანები დასახა. ახალმა ვითარებამ მოთხოვა ახალი პროფესიების დაარსება და ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბება. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამოყოფა და ცალკე ინსტიტუტებად განაწილება ერთგვარ კოორდინაციას და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფრო მეტად დარგობრივი ინსტიტუტად, გარდა ზოგადეკონომიკური ინსტიტუტისა. ისინება ახალი ფაკულტეტები და, 1930 წელს არსებული ხუთი ფაკულტეტის ნაცვლად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ყალიბდება 8 ფაკულტეტი. ამჟამად კი ფაკულტეტთა რაოდენობა 10-ს აღწევს.

ინსტიტუტი გადაიქცა სასოფლო-სამეურნეო განათლების ერთ-ერთ უმსოფრეს კერად საბჭოთა კავშირში და მას სამართლიანად უძირავს მეორე ადგილი ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს შორის.

1938 წლის 16 ნოემბერი ღირსშესანიშნავი თარიღია ინსტიტუტისათვის: ამ დღიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ქართველი ხალხის სამაგიერ შეიქმნა ლავრენტი ბავუსაძე ბერას სახელს ატარებს.

საქართველოს კ. პ. ბერიას მოხსენებამ: „ლინისტიკური საქართველოს კომუნურებათა შემდგომი განმტკიცებისათვის“ ახალი ამოცანები წამოაყენა ჩვენი ინსტიტუტის წინაშე. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე 1937 წელს ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ მიცემული მითითება ინსტიტუტის შემდგომი მუშაობის პროგრამად გადაიქცა, რომელსაც მთელი კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით და სრული პასუხისმგებლობით შეხვდა.

საკავშირო მთავრობამ ინსტიტუტის მუშაობას მაღალი შეფასება მისცა და 1946 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულებით მას მიანიჭა უმაღლესი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა აგრეთვე ინსტიტუტის 32 თანამშრომელი. სამშულო ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრების შემდეგ მუშაობა ინსტიტუტში ახალი ძალით გაიშალა. სტუდენტთა საწარმოო სწავლების სათანადოდ წარმართვისა და მათ მიერ პრაქტიკული მუშაობის ჩვეულებისა და გამოცდილების მიღების მიზნით, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ანდრე ნესტორის-ძე ჩარკიანის ინიციატივით ინსტიტუტის საწარმოო სწავლებისა და საკვლეო-სამეურნეო მუშაობის ბაზად გადაეცა ეშერის საბჭოთა მეურნეობა (1948) და მუხრანის საბჭოთა მეურნეობა (1950).

ინსტიტუტის ზრდა-განვითარების საილუსტრაციოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუ 1921 წელს ინსტიტუტის სულ 1200 კვ მეტრი ფართობი ეკავა, 1950 წელს ეს ფართობი 10000 კვ მეტრს შეადგენდა, საიდანაც დაახლოებით 6000 კვ მეტრი აბიზენ-ლაბორატორიების წილად მოდიოდა. 1921



წელს აგრონომიულ ფაქულტეტს მხოლოდ სამი კაბინეტი გაჩნდა, 1950 წელს კი 43 კაბინეტი და 28 ლაბორატორია ჰქონდა.

1930 წლიდან სასწავლო-მედიკოვრო და მნიშვნელოვან — სამეცნიერო-საკლავო მუშაობასაც აშკარა აღმავლობა დაეკარგა. ჩამოყალიბდა ფუნდამენტალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, დაიწყო ინსტიტუტის საეცოლო ორგანოს „მომავალს“ გამოცემა, მოეწყო სტამბა-ლითოგრაფია, დაიწყო ენის გამოყენება და ინსტიტუტის მიერ კულტურული სახე. ინსტიტუტის გამოყენების საქმეში მერტად დიდი მუშაობა ჩატარა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, დარგულია 1900 ძირის სხვადასხვა ზემოქმედება და ბუნებრივი, გაყვანილია გზები, შენგდა დენდრო-პარკი და სხვა. კაბინეტ-ლაბორატორიებიდან ერთად, სასწავლო და სამეცნიერო ამოცანების შესრულებას წარმატებით ემსახურება ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნების ფონდი ხუთასი ათასი აღემატება. ეს ბიბლიოთეკა ამჟამად ერთადერთი ბიბლიოთეკა საქართველოში, სადაც მთელი სისრულაა თავმოყრილი სასწავლო-სამეცნიერო და საცნობარო სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. ბიბლიოთეკა დიდ დახმარებას უწევს ჩვენს სტუდენტობას.

ინსტიტუტის არსებობის პირველ დღეებიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა სასწავლო-საქარმო პრაქტიკას, რომელსაც ყველა ფაქულტეტის სტუდენტები, გარდა სუბტროპიკული, სატყეოსა და, ნაწილობრივ, ტექნოლოგიურისა, გადიან მუხრანის სასწავლო-კომპლექსურ მეურნეობაში, სუბტროპიკული მეურნეობის ფაქულტეტისა და, ნაწილობრივ, მეცნარეთა დაცვის ფაქულტეტის სტუდენტები — ემეგრის სასწავლო მეურნეობაში, ხოლო სატყეო ფაქულტეტისა — ბორჯომის სატყეოში. საქარმო პრაქტიკას ყველა ფაქულტეტის სტუდენტი გადის საბჭოთა მეურნეობებში, კომუნურებში, მტს-ში, ჩაის ქარხნებში, ღვინის ქარხნებში და საცდელ-საგამოცდო დამუშავებებში. ამაჟამად ინსტიტუტი საკმაოდ უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრებით. მედიკოვრო კადრები მაღალმა კვალიფიკაციამ დაწესებულების საფუძვლისა და ფუნქციის გადის შედეგად, და ასპირანტურის საშუალებით. ასპირანტურის კურსი უყვე დათმობა 110 კაცს, რომელთაგან 54 დაიცვა დისერტაცია და მიიღო კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა რიცხობრივ და თვისებრივ ზრდის გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ტაბულა.

წელი	აღმ. მეცნიერ-მუშაკები		პროფესორები		დოცენტი		ასისტენტი და მასწავლებელი	
	საქ. მეცნიერ-მუშაკები	წინამდებარე წლებში	სულ	მ. შ. ტორი	სულ	მ. შ. კანდი	სულ	მ. შ. კანდი
1921	—	—	3	1	—	—	12	6
1925	—	—	3	1	2	—	16	8
1930	—	—	10	1	30	—	8	39
1945	3	3	22	14	113	71	32	73
1950	4	3	25	24	115	102	22	146

ტაბულა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდებოდა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა. ისიც ჩანს ნათლად, რომ ეს მაღლვა საკმაოდ საბჭოთა ეპოქის მიეკუთვნება: საბჭოთა წყობილებაში ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა უზრუნველყო არა მარტო მრავალრიცხოვანი საეცოლო სტუდენტთა, არამედ მაღალკვალიფიციური მეცნიერული ძალებისათვის.

ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებიდან 22 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 147 — საკანდიდატო.

ინსტიტუტის კოლექტივი სამეცნიერო-საკლავო მუშაობის ინსტიტუტის დაარსებიდანვე ეწევა, მატერიალურ-მეცნიერულ ამ მუშაობის შემთხვევითი ხასიათის გამოცემა, კულტურული კათედრებისა და მეცნიერ-მუშაკების ინიციატივის შედეგად იყო. შემდგომ პერიოდში — 1930/31 სასწავლო წლიდან საკლავო მუშაობა თანდათანობით განვითარდა: განსაკუთრებით გაძლიერდა საკლავო-სამეცნიერო მუშაობა 1937/38 სასწავლო წლიდან და მისი გეგმაშეწონილი ხასიათი მიეცა. თუ პირველ პერიოდში საკლავო-სამეცნიერო მუშაობა მრავალმხრივობით ხასიათდებოდა, შემდეგ პერიოდში მის კომპლექსურობა ასახიათება და მთლიანად სახალხო-სამეურნეო ამოცანებს ექვემდებარება.

დამუშავებულ თემების დიდი უმრავლესობა დანერგულია წარმოებაში. დავასახლებთ ზოგიერთ მაგაჟს:

1. დიფერენცირებული აგროტექნიკა (აკადემიკოსი ტ. ყ. ცხარაძე): სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების საწარმოო პირობების ღრმად შესწავლის საფუძველზე შრომაში მოცემულია დიფერენცირებული აგროტექნიკა, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიურ პირობათა ნაირსახეობას ცალკე მუშურობებში.

2. საქართველოს ხორბლეულის ეკოტიპების და ფორმების შესწავლა და სელექციური დამუშავება (საქ. მეცნ. აკად. წყ. ლ. ლ. დეკანოზი): აღნიშნული შრომით დადასტურებულია, რომ საქართველო ხორბლის წარმოების ერთ-ერთი კერაა, რომ საქართველოს ხორბლები წარმოადგენს საუკეთესო მასალას სელექციისათვის. გამოყვანილია ხორბლის ახალი ზეხები და ჯიშები, რომლებიც გადაეცა წარმოებაში. ინდივიდუალური შერჩევის გზით ღმინის დოლის პერიოდს გამოყვანილია „დეტა“, თანეთის დოლის პერიოდს კი — „ხვანდაც“, რომლებსაც მოსავლიანობის მაღალი მაჩვენებლები ასახიათება. თავთუხებიდან გამოყვანილია „ნოსტელი № 3“. ეს ჯიშები გადაეცა ჯიშთა გამოცდის პუნქტებს. მუშაობა დოლის პერიოდს გრძელდება.

3. მეცენარეობის კათედრის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. ი. ლომოურის ხელმძღვანელობით) ცემების შედეგად დადგენილია და სახალხო მეურნეობაში დასაწერად გადაცემულია საწარმოო კულტურები — სიმინდი, სოია და მესუსუმბრა (ცალკე რაიონების მიხედვით). იმავე კათედრის თანამშრომლები მიერ აგროტიკის კათედრისთან ერთად დამუშავებულია: საკვები ბალახების დარბაზება, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება მარცვლეული კულტურებისათვის და დადგენილია დოზები ცალკე კულტურებისა და რაიონების მიხედვით.

4. მეტად დიდი მუშაობა ჩატარა ნიადაგმცოდნეობის კათედრამ (პროფ. დ. გელვენიშვილის ხელმძღვანელობით) საქართველოს ნიადაგების შესასწავლად. ასე, მაგალითად, შესწავლილია საქართველოს ჩაის რაიონების დაბალი ზონის ნიადაგები, ალაზნის მარჯვენა ნაპირის და კოლხეთის დაბლობის საეკოლოგიური ფართობები, ელდარის ველის, ქართლის ბარისა და სოფალდის ნიადაგები, შივა კატეხისა და ივრის ხეობის, აღმოსავლეთ საქართველოს მთის ზონის და დასავლეთ საქართველოს მაღლობის ზონის ნიადაგები და სხვ.

5. შესწავლილია ალუბრი, სუბალპური და ტყის ზონის ნიადაგების ფიზიკური თვისებები და მათი პირობათა მნიშვნელობა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი ნ. ნ. ნიკოლი) წევრი პროფ. ვ. გულისაშვილი), რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება აქვს.

6. აგროქიმიის კათედრის მიერ (პროფ. ი. სარიშვილი და პროფ. ა. მენდარიშვილი) შესწავლილია წითელმიწა ნიადაგების ქიმიური მელორაცია და ტორფის მარბე საქართველოში. შემუშავებულია ტორფეკულური სასუქების მომზადების ახალი წესი და მისი გამოყენება სუბტროპიკული კულტურებისათვის. შედგება დანერგულია სახალხო მეურნეობაში, დასავლეთ საქართველოში აგებულა საეცოლო-ქარბნები სასუქების დასამზადებლად.



სოციალისტური შრომის გზისკენ აბრეშენ ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებს.

7. მევენახეობის კათედრის ხაზით დამუშავებულია თეორიულად და პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობის საკითხები: „ვაზის ქირურგიის თეორია და პრაქტიკა“, „ვაზის მუწოს წარმოების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები“ და სხვა.

მეტად დიდი მუშაობა ჩატარეს ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებმა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პრობლემის, კერძოდ, ფერდობების დამუშავების მექანიზაციის დარგში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული.

მნიშვნელოვანი საკითხებია დამუშავებული კონტინენტურ მგზილობაში, მებოსტნეობაში, მეცნარეთა დაცვის და სხვა დარგში. ინსტიტუტს დამუშავებული აქვს 2500-ზე მეტი თემა, ბევრი მათგანი დანერგულია წარმოებაში და გამოქვეყნებული ცალკე შრომების სახით. საკვლევ-სამეცნიერო მუშაობამ ხელი შეუწყო ორიგინალური სახელმძღვანელოების დამუშავებას.

ინსტიტუტის კოლექტივმა შეძლო დაემზადებინა და გამოცა ქართულ ენაზე 148 სახელწოდების სახელმძღვანელო. თითქმის ყველა საპროფილო დისციპლინა უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით.

გამოცემულია აგრეთვე დიდი მნიშვნელობის სპეციალური შრომები: „საქართველოს ხილი“ (I და II ნაწილი), „გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები“ და სხვ. ყოველწლიურად 2-3 ტომად გამოდის ინსტიტუტის „შრომები“. აქამდე ინსტიტუტმა შეძლო „შრომების“ 46 ტომის გამოცემა, მათში მოთავსებულია 412 შრომა.

საკვლევ-სამეცნიერო მუშაობაში ფართოდ არის ჩამყვანი სტუდენტობა, რომელიც გაერთიანებულია სტუდენტთა ს.მეცნიერო წრეებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში თათო-ორილა აგრძნობი მუშაობდა.

1922 წელს მოხდა აგრძნობილი ფაქულტეტის კურს-დამთავრებულ 23 კაცის გამოშვება. შემდეგ წლებში გამოშვებულ სპეციალისტთა რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა. არსებული ცნობების მიხედვით, 1922-დან 1951 წლამდე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხაზით მომზადებულ იქნა 10 სხვადასხვა სპეციალისტის 10566 სპეციალისტი.

ამჟამად ინსტიტუტში 2500 სტუდენტი სწავლობს. მკარამ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესაბამისად მათი რიცხვი ახლო ბანში 4000-ს მიაღწევს. საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობასთან დაკავშირებით საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა აშხანავამ, კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამოცანად დასახა აგრძნობების და ინჟინერ-მექანიზატორების მომზადების გადიდება და ახალი პროფილების მიხედვით აგრძნობის ნიადაგმოდინების და ბუხმალტერ-გეონომისტების მომზადება. ინსტიტუტთან არსებობს დაუსრულებელი სწავლების განყოფილება, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობს 1000 კაცი.

ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი უშუალოდ მონაწილეობას იღებს მთავრობისა და პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებებთან განხორციელების საქმეში.

მოწინავე მიზნობრივი მეცნიერებით შეიარაღებულ პრაქტიკოს მიზნობრივად, სოციალისტური შრომის გმირთა მუშაობის მეთოდების გაგნობის, მათთან კავშირის დამყარებისა და დახმარების აღმოჩენის მიზნით ინსტიტუტის კოლექტივი ატარებს მეცნიერ-მუშაკთა და სოციალისტური შრომის გმირთა შეხვედრებს მიზნობრივ კითხვის პლენარული სხდომების ჩატარებით; უკანასკნელ ორი წლის მანძილზე ჩატარდა ოთხი პლენარული სხდომა, რომლებზედაც მოსმენილი იქნა 20 მოსყენება, ამ სხდომების მუშაობაში მონაწილეობდნენ 17 სოციალისტური შრომის გმირი და მიზნობრივად პრაქტიკოსები.

სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის საწარმოო დახმარების გაწევის მიზნით პარტია უკანასკნელ ორი წლის მანძილზე ჩატარებულია:

1. 589 ლექცია და მოხსენება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მტს-ებში, 2. 480 სხვადასხვა კონსულტაცია, 3. დამუშავებულია 16 აგრძნობის ცალკე ქულტურების მიხედვით და 8 ინსტრუქცია, 4. დაშნადებული და გამოცემულია 21 ბროშურა და სხვ. მეცხოველეობის კათედრა კონსულტაციასა და დახმარებას უწევდა სელექციონერ-ზოოტექნიკოს ბაძიშვილს ახალი ნაშაყულიანი ჯიშის



საქართველოს
ენციკლოპედია

ჩვენი წარმატების ციფრები

ჩამოყვანის საქმეში, ჯიშის აპრობაციისთვის მთელი მასა-
ლა დამუშავებულია და ელდარის საბჭოთა მეურნეობაში
ამჟამად არის ახალი ჯიშის 12000 ცხვარი. ცხვრის ჯიშის
ვაუმჯობესების მიზნით პროფ. დ. აგლაძე და დოც. ი. მოსა-
შვილი წელთა მანძილზე მუშაობენ არხილოსკალოს კოლ-
მეურნეობაში.


მევენახეობის ხაზით შესწავლილია ვაზის ბაღები დიღომ-
ში, მუხრანში, ატენის ხეობაში, ორჯონიკიძის რაიონში.
მევენახე მიეცა მითითება ყინვისაგან დაზიანებული ვაზის
გასხვლავს წესის შესახებ. კათედრის თანამშრომლის ქ. გეგე-
შიძის მიერ დადგენილია და წარმოებაში (მუხრანისა და
ილაიანის საბჭოთა მეურნეობაში) დანერგულია ვაზის გასხვი-
ლის საუკეთესო დრო (მარტის ბოლო). პროფ. რამიშვილი
მიმდგრებულა მიჩურინელ ბესტავაშვილის საკეთხე და
სისტემატურ კონსულტაციასა და პრაქტიკულ დახმარებას
უწევს მას.

ჩაისა და სუბტროპიკული მეხილეობის, აგრეთვე სუბ-
ტროპიკული ტექნიკური კულტურების ხაზით არ გადაჭრი-
ლა არც ერთი საკითხი, რომ ინსტიტუტის კოლექტივს აქ-
ტიური მონაწილეობა არ მიეღოს.


1950 წლის ორი თვის განმავლობაში დოც. გ. ცერეშვი-
ლის ხელმძღვანელობით სუბტროპიკულ რაიონებში მივიღი-
ნებულ იყო ექსპედიცია 7 მეცნიერ-მუშაკის შემადგენლო-
ბით სუბტროპიკულ კულტურათა მდგომარეობის შესასწავ-
ლად და საჭირო ღონისძიებათა დასასახად.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საგრძნობი ადგილი
უკრავს კონტინენტურ მეხილეობას. ამ მიმართულებით
შესწავლილია და გამოვლინებულია ქლიავის, კაკლისა და
კომშის საუკეთესო ჯიშები და რეკომენდებულია გასავრცე-
ლებლად.

სხვადასხვა გამოვლენათა და ღონისძიებათა პრაქტიკუ-
ლად დანერგვის მიზნით ჩამოყალიბებულია სპეციალური
ბიურო, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს ამ საქმეს.
ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი მუშაობა აქვს ჩა-
ტარებული მეჩინაუბის ფაკულტეტზე მომუშავე მეცნიერ
მუშაკებს: დოც. გ. შვხაძეაიამ და ასისტ. დოლოძემ შე-
ქმნეს ახალი კონსტრუქციის მანქანა სასუქის შესატანად
ნიადაგში; დოც. გ. შვხაძეაიამ გამოიგონა დინამოგრაფი;
წარმოებაში დანერგულია დოც. ვ. ლეყავის მიერ გამოგონე-
ბული ტუნგოს საწმენდი მანქანა; დოც. ლეყავამ და აფხაი-
ძემ გაუმჯობესეს ბალახების სათვის მანქანა „ბ-23“, დოც.
ციციშვილისა და ასისტ. ოსტაშვილის მიერ კონსტრუირე-
ბული მთის ორიგინალურა გუთანი; დოც. ჩოჩიაშვილმა შექმნა
მანქანა სიმინდისა და სიოას ბუდობრივად თესვისათვის, შე-
ქმნილია ორი ზელსაწყო ქარის მოძრაობისა და მოქმედების
სწრაფი განსაზღვრისათვის, რაც საჭიროა მინდორსაცდო
ტყის ზოლების დაპროექტებისათვის (დოც. კ. კელეჯერძე)
და სხვ.




1921 წელს მასობრივი ბიბლიოთეკები იყო 129, 1949 წელს
კი—უკვე 2010



1921 წელს მუშ.თა და სასოფლო კულტების რიცხვი უდრიდა
209-ს, 1949 წელს—1884-ს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ყველა
ღონეს ხმარობს ღირსეულად შესარულოს თავისი საპატიო
ამოცანა: მაღალკვალიფიციური კადრები მოუმზადოს ჩვენს
სოციალისტურ სოფლის მეურნეობას და ამავე დროს პრაქ-
ტიკული ქმედით დახმარება აღმოუჩინოს მას.





ინჟინერი გიორგი ბაქანიშვილი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბ. ოს. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

1921 წლის 25 თებერვალი საქართველოს აღდგენისა და განახლების დასაწყისის თარიღია.

ამ ისტორიულ დღეს თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე თავისუფლების წითელი დროშები აფრიალდა. ეს თარიღი ქართველ ხალხს უდიდეს შემოქმედებით, მამოძრავებელ ძალად მოეცლინა, ჩვენი სამშობლოს განვითარების უშრეტ წყაროდ იქცა.

1921 წლის 6 ივლისს ამხანაგი სტალინი ქ. თბილისში პლენარის სახელობის კლუბში დიდი მოხსენებით გამოვიდა ა/კ. და საქართველოს კომუნისტების მორიგი ამოცანების შესახებ.

ამხანაგი სტალინის მითითებანი ყოველდღიური მუშაობის პროგრამად გადაიქცნენ და გზის მაჩვენებელი იქნებიან შემდგომ მუშაობაშიც.

ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელი დასახლებები ჩააბეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

სტალინურმა ხელისუფლებამ მკვეთრად შეცვალეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ეკონომიური პირობები, აამაღლეს მასების კულტურული დონე და მოუპოვეს მათ ბედნიერი, საამური ცხოვრება.

თბილისის ბოლშევიკებმა უდიდესი შემოქმედებითი ამოცანები გადაჭრეს დედაქალაქის რეკონსტრუქციის დარგში.

ამ შემოქმედებით მუშაობას საძირკველი ჩაუყარა და ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის საყვარელი შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია.

თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წლის 22 სექტემბერს ამხანაგმა ბერიამ დასაბ. თბილისის საქალაქო მეურნეობის გარდაქმნის კონკრეტული გეგმა. ამ გეგმამ, რომელშიც მკაფიოდ იყო მოცემული საქართველოს დედაქალაქის სანიმუშო, კეთილმოწყობილ საბჭოთა ქალაქად გადაქცევის გზა, განსაზღვრა თბილისის ბოლშევიკების მთელი შემდგომი მუშაობა საქალაქო მეურნეობის ყოველმხრივ აღმავლობისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით შესრულდა უდიდესი სამუშაოები თბილისის საქალაქო მეურნეობის ძირფესვიანად გარდაქმნის დარგში.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოსკოვში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ თბილისის რეკონსტრუქციას ყოველდღიურ და სისტემატურ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს ბოლშევიკების მეთაურა ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

თბილისის ბოლშევიკების შემოქმედებითი ენერგია, პირველყოფისა, მიმართული იყო მუშათა რაიონების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. ქალაქის განაპირა უბნებმა უმაღალითოდ იცვალა სახე, აღიმართა ფაბრიკა-ქარხნების კორპუსები, აშენდა ახალი დიდი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაგები და სხვა ნაგებობები. გაყვანილია ქუჩები, მოწყობილია პარკები და ბაღები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 30 წელი შესრულდა. ამ ხნის განმავლობაში თბილისში შეიქმნა მაღალი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი მრეწველობა.


ვითარდება ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა.

დედაქალაქის მცხოვრებნი ჩვენს მიღწევებს ყველაზე ნათლად მშობლიური ქალაქის მაგალითზე ხედავენ. მართლაც, ველარ იცნობთ ლენინის სახელობის რაიონს, რომლის მთავარ, ძველ ნაწილს, წარსულში ავღუბულად „ნაძალადეს“ უწოდებდნენ... პატარა სახლები და ქოხნახები, რომელთაც აშენებდნენ ქაოსურად, სრულიად უგეგმოვ, ნაძალადევად, ვიწრო ქუჩები, რომლებიც ღამით გაუჩინებელი იყო, — ასე გამოიყურებოდა წარსულში მოწინავე მუშებით დასახლებული ქალაქის ეს უბანი.

ახლა ეს რაიონი, სადაც უმთავრესად რკინიგზელები ცხოვრობენ, სრულიად შეიცვალა. საგრძნობლად გაფართოვდა მისი ტერიტორია, მუშები-სათვის აშენდა სანიმუშო სახლები, მისი ქუჩები



საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



ახალი თბილისი. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ზევით—პარკის მთავარი შენობა).

გაგანიერდა, მოასფალტდა, მოირთო მწვანე ნარ-
გავებით, მისი კვარტალები ცენტრთან დაკავში-
რებულია ტრამვით, ავტობუსებით. რაიონის ტე-
რიტორიაზე მდებარეობს სტალინის სახელობის
თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხა-
ნა, დაზგათმშენებელი ქარხანა, შამპანურის კომ-
ბინატი, ჩაის გადამწონი ფაბრიკა და მთელი რი-
გი სხვა ახალი წარმოებები.

დიღუბე — მუშათა რაიონი, რომლის, ოდეს-
ლაც ოკრობოკრო, მოუკირწყლავი ქუჩები ტალა-
ხით იყო სავსე, — საბჭოთა ხელისუფლების
დროს გარდაიქმნა და ქალაქის კეთილმოწყობილი
უბანი გახდა. დიდუბეში არსებული მალდის ქარ-
ხანა „საბჭოთა საქართველო“ ცნობილია მთელ
საბჭოთა კავშირში.

ველარ იცნობთ დღეს საბჭოთა ხელისუფლე-
ბამდე მეორე მიყრუებულ განაპირა უბანს — ვა-
კეს. აქ გაყვანილია ფართო, მოასფალტებული,
ნარგავებით გაშვენიერებული უნივერსიტეტის
ქუჩა, რომლის ორივე მხარეს წარმოიშვა საცხოვ-
რებელი სახლების მთელი კვარტალები, აგებუ-
ლია საავადმყოფოს დიდი კორპუსი და მთელ რიგ
სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა შე-
ნობები. ქუჩის ანსამბლი დღითი-დღე მშვენიერ-
დება.

ამ ქუჩის სიამაყეს წარმოადგენს ვაკის ახალი
პარკი მთელი რიგი საინჟინრო ფიზკულტურული


ნაგებობებით. ეს პარკი გაშლილია 180 ჰექტარზე
და მისი სახე ზიბლავს მნახველს.

მელიქიშვილის ქუჩა 13 მეტრიდან, გაფართოვ-
ებულია 30 მეტრამდე. რეკონსტრუირებულ ქუ-
ჩაზე აგებულია მთელი რიგი ახალი, არქიტექტუ-
რულად ლამაზად გაფორმებული შენობები.

ვაკის მომიჯნავე რაიონი — საბურთალო, რო-
ნელიც სულ ცოტა ხნის წინათ დაუბოებულ, გა-
უშენებელ მიდამოს წარმოადგენდა, აქა-იქ გაფარ-
ტულ ერთსართულიანი ქოხმახებით, დაიგვიშა და
დამშვენდა დიდი საცხოვრებელი სახლებით, სკო-
ლებისა და სხვა დაწესებულებათა შენობებით,
რომელთა შორის გამოირჩევა ვ. ი. ლენინის სა-
ხელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა
ინსტიტუტის ახალი შენობა.

ამჟამად საბურთალოში წარმოებს საქართვე-
ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, კიროვის სა-
ხელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა
სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა კორ-
პუსების მშენებლობა, რაც ახლო მომავალში ძირ-
ფესვიანად შეცვლის საბურთალოს რაიონის გა-
რეგნობას. საბურთალოს ის ნაწილი, სადაც სა-
ჭოთა გმირების მოედანია, ასბინიანი საცხოვრე-
ბელი სახლით, ცირკის შენობით, ზოოპარკითა და
სხვ. — ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა.

წარსულს ჩაბარდა თბილისისათვის რევოლუ-
ციამდე დამახასიათებელი უბნები მის ორ უძვე-



ახალი თბილისი. რეკონსტრუირებული მელიქიშვილის ქუჩა.



ახალი თბილისი. პირველი ხუთსართულიანი სახლი რეკონსტრუირებულ მელიქიშვილის ქუჩაზე.

ლეს რაიონში — მაიდანსა და ავლაბარში, მათი ვიწრო ოკრობოკრო ქუჩებით, ურიცხვი შესახვევებითა და ჩიხებით.

წყაროსუნის სიამაყეს უძველეს დროიდანვე წარმოადგენდა გოგირდის ცხელი სამყურნალო წყაროები (აქედან მიიღო ქალაქმა თავისი სახელწოდება „თბილისი“). ამ უბნის შუაგულში 1937 წლის ნოემბერში მწყობარში ჩადა თანამედროვე ტიპის პირველადი დიდი სააბაზანო შენობა, რომელიც ყურადღებას იპყრობს როგორც თავისი გარეგნული სახით, ისე შიდა მოწყობილობით, რაც თანამედროვე მედიცინის ყველა მოთხოვნას შეესაბამება.

ამ უბნის რეკონსტრუქციის სამუშაოები მარტო ბალნეოლოგიური სააბაზანოთი როდი განისაზღვრება. გაშენდა 300 არაგველის სახელობის ლამაზი პარკი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გაუკეთდა ბეტონის საყრდენი კედელი, მეტეხის ძირში (ორ ძველ ხიდს შორის) მიმდინარეობს ახალი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობა და ირგვლივ მდებარე მიდამოების რეკონსტრუქცია. ეს სამუშაოები წელს უნდა დამთავრდეს. ამ ხიდის აგების შემდეგ ვიწრო კლდოვანი მტკვრის კალაპოტი გაფართოვდება.

სამასი არაგველის ხიდის მახლობლად, ორთაქალაში, სტალინის ეპოქის მუშები და ინჟინერ-

ტექნიკოსები მტკვარზე აშენებენ ახალ კომუნალურ ჰიდროელექტროსადგურს.

თბილისისათვის ეს ჰიდროელექტროსადგური ღირსშესანიშნავი იქნება. ორთაქალის ჰესი ქალაქს მისცემს დამატებით იაფ ელექტროენერგიას. კახალის აგებით მდინარის დონე თერთმეტი მეტრით აიწევს, რაც შესაძლებელს გახდის შიდასაქალაქო ნაოსნობის მოწყობას ორთაქალიდან ელბაჭიძის ხიდამდე.

გარდა ამისა, ჰიდროელექტროსადგურის აგებასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს ახალი სანაპიროს მოწყობა, მიწისქვეშა ნაგებობათა რეკონსტრუქცია, საკანალიზაციო კოლექტორების მშენებლობა და მათი საშუალებით საკანალიზაციო წყლების ქალაქგარეთ გაყვანა.

იქ, სადაც 1795 წელს არაგვის ხეობის სამასმა გლეხმა ერეკლე II წინამძღოლობით თავი შესწირა სამშობლოს ალა-შაჰმად-ხანის ურდოებთან ბრძოლაში, 1952 წლის ბოლოს ჰიდროსადგურის პირველი რიგის ელექტროდინამოები უნდა ამუშავდნენ და ქალაქს დენი მისცენ. შემდგომ წელს სადგური სრული სიმძლავრით უნდა ამუშავდეს. ეს სადგური საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით შენდება.

ჰესის აშენებით სრულად იცვლის სახეს ქალაქის ეს უძველესი უბანი. არქიტექტურულად გა-



ღირმებული შენობები, მწვანე გაზონები და ყვავილნარები აქ დიდი წარსულის ღირსეული ძეგლი იქნება.

ფართოვდება და ხელახლა იგეგმება ავლაბრის და ნავთულის მთელი ტერიტორია. ახალი სამარეწველო კორპუსები და საბინაო მშენებლობის გაშლა მოწმობს ქალაქის ამ ნაწილის სწრაფ ზრდა-გამშენიერებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ფართო აღმართის საშუალებით ნავთულ-ავლაბრის მოსახლეობა ქალაქის ცენტრთან დაკავშირებულია სხვადასხვა სახის გაუმჯობესებული ტრანსპორტით.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი სწრაფად იზრდება და ლამაზდება.

მთაწმინდიდან მოჩანს უგანახლებული ქალაქის წარმტაცი პანორამა.

თვით მთაწმინდის პლატო, არც ისე დიდი ხნის წინათ უდაბური და უწყლო ადგილი, გადაიქცა თბილისის მშრომელთა ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ კუთხედს — სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკად.

მუშაობა ამ პარკის შესაქმნელად, ისევე როგორც მთელი მუშაობა თბილისის სოციალისტური გარდაქმნისათვის, წარმოებდა ამხანაგ ლავრენტი პავლესძე ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით.

პარკს ამშვენებს მთავარი შენობა, რომელიც მორთულია მარმარილოთი და გრანიტით. მის არქიტექტურაში მოცემული ნაციონალური ქართული მოტივები პარმონიულად გამოხატავენ სიხარულის გრძნობებს, მშვენიერ ნაგებობაში აღბეჭდილია ჩვენი ეპოქის დიდი შემოქმედებითი გაქანება.

საბჭოთა ხელისუფლების 30 წლის მანძილზე განაპირა უბნების ზრდა-განვითარებასთან ერთად გალამაჟდა და ძირფესვიანად შეიცვალა ქალაქის მთავარი ნაწილიც.


სტალინის სახელობის პარკის მთავარი შენობის აივნებიდან, როგორც ხელისგულზე, მოჩანს თბილისში ჩატარებული დიდი სამუშაოები.

ქალაქის ცენტრში ბერიას სახელობის მოედანია. ეს არის საყოველთაო-სახალხო ზეიმების ად-


გილი. ბერის ჯერ კიდევ ახსოვს მოედნის უძნო წინანდელი სახე, როცა მის ცენტრში იდგა ქარვასლის შენობა, რაც ზღუდავდა მოძრაობას და ამახინჯებდა მთლიან ანსამბლს.

ბერიას მოედნიდან უშუალოდ იწყება რუსთაველის პროსპექტი. ეს პროსპექტი ერთი ულამაზესთაგანია საბჭოთა ქალაქების საუკეთესო ქუჩებს შორის. მას ამშვენებს მთელი რიგი არქიტექტურულად გაფორმებული შენობები, მდიდარი მწვანე ნარგავობა. ყველაფერი ეს საბჭოთა ადამიანების ხელთაა შექმნილი.

ყველაზე გრანდიოზული, რაც კი თბილისში სოციალისტური რეკონსტრუქციის წლებში შეიქმნა — ეს არის სტალინის სახელობის სანაპირო. მისი აგება მოასწავებდა სერიოზული ტექნიკური



თბილისი, რუსთაველის ძეგლი.



თბილისი. ახალი პარკი ვაკეში. პარკის შესავალი.

პრობლემის გადაჭრას, რასაც ქალაქისათვის უდიდესი ეკონომიური და საგეგმარო მნიშვნელობა ჰქონდა.

ამჟამად ასეთივე გრანდიოზული მუშაობა წარმოებს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოსაწყობად.

სანაპიროს აგების საკითხი წარსულშიაც ბევრჯერ ყოფილა განხილვის საგნად მეფის მოხელეებთან და ქალაქის თვითმმართველობის სხდომებზე, მაგრამ ამ დიდი ამოცანის დაძლევა აშკარად არ შეეძლოთ ბურჟუაზიულ „ქალაქის მამებს“, სანამ მას ხელი არ მოჰყავდეს საბჭოთა ეპოქის აღამიანებმა.

სტალინის სახელობის სანაპიროს მშენებლობასთან ერთად, ბოლო მოეღო ეგრეთ წოდებულ „მაღათოვის კუნძულის“ არსებობას, რომელიც უსუფთაობის კერას წარმოადგენდა. ამჟამად აქ მშენიერი პარკია გაშენებული. ამ პარკის ზემონაწილში აღმართულია ამხანაგ სტალინის მონუმენტი, გამოკვეთილი თეთრი ქვისაგან. მონუმენტის ოფიციალური გახსნა 1939 წლის 21 დეკემბერს მოხდა.

რეკონსტრუქციის შედეგად უკანასკნელ წლებში დიდად გაუმჯობესდა ვაგზლის მოედანი, ჩელუსკინელების ქუჩა, პლუხანოვის პროსპექტი, აბასთუმნის ქუჩა და სხვ.

ბერეას სახელობის „დინამოს“ სტადიონის აგებასთან დაკავშირებით გაფართოვდა და საფუძ-

ვლიანად გადაკეთდა ტელმანის ქუჩა, რომელზედაც სტადიონი თავისი მთავარი ფასადით გამოდის. ეს ნაგებობა ერთ-ერთი ყველაზე დამაბასიათებელი შენობაა სოციალისტურ თბილისში.

ქალაქის ზრდასთან ერთად, დღითი-დღე იზრდება და უმჯობესდება ქალაქის კომუნალური მეურნეობის სხვა დარგებიც, როგორიც არის წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროგანათება, ტრანსპორტი, გაშენება, საცხოვრებელი ბინები და სხვ.

თუ ომის შემდგომი მეოთხე სტალინური ხუთწლედის სამუშაოთა პროგრამის განხორციელებამ საგრძნობი კვალი დასტოვა ქალაქის მშენებლობაში, ნათელი წარმოსადგენია, რა მიღწევების ნოწმე გახდება ჩვენი ქალაქის მოსახლეობა, როდესაც იხილავს სანაპიროების დამთავრებას, ორთაქალის პეისს ამუშავებას, ახალ ხილებს მტკვარსა და ვერაზე, ქალაქის მთის ფერდობების გამწვანებას, ბულაჩაურის წყალსადენის ექსპლოატაციაში გადაცემას, სამგორის არხის დამთავრებას და მრავალ განახლებულ ქუჩას, შენობას მწვანე ნარგავებს და სხვ.!

თბილისის მშენებლების წინაშე საპატიო ამოცანებია დასმული — ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოლონ ქალაქის შემდგომი აყვავებისათვის, მოსახლეობის კულტურული და სააღური ცხოვრების განუხრელი ზრდისათვის.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

გეოგრაფიული
ზონა 4-ბ

ქმედითი დახმარება სოფლის მეურნეობას

ნიდაგამცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სეზონკასპში

ა/წ 19 იანვარს დაბა კასპში ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიდაგამცოდნეობის, აგროქიმიისა და მელორაციის ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელიც მიძღვნილი იყო მარცვლეულისა და სხვა კულტურებისათვის სასუქების გამოყენების საკითხებისადმი.

სესიაზე მოსმენილ იქნა ინსტიტუტის დირექტორის პროფ. მ. საბაშვილის შესავალი სიტყვა, პროფ. ა. მენაღარიშვილის მოხსენება — „სასუქების როლი კასპის რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღების საქმეში“, მეცნიერებათა კანდიდატის გ. ახვლედიანის მოხსენება — „კასპის რაიონის ნიდაგებები და მათი საწარმოო თვისებები“, მეცნ. კანდ. ვ. ლეჟავას მოხსენება — „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიდაგამცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ქვემო ხნდაკის კოლმეურნეობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგები“.

პროფ. მ. საბაშვილი შეეხო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წ. ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენების საფუძველზე მარცვლეულის პრობლემის საკითხს, მის გადასაწყვეტად სასუქების გამოყენების მნიშვნელობას, ამასთან დაკავშირებით — სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ამოცანებს და მოკლედ შეჩერდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიდაგამცოდნეობის, აგროქიმიისა და მელორაციის ინსტიტუტის მუშაობაზე ამ მიმართულებით.

პროფ. ა. მენაღარიშვილმა ძირითადი ყურადღება შეაჩერა სასუქების შენახვის და შეტანის წესებზე და მათ ეფექტიანობაზე მარცვლეულისა და შაქრის ჭარხლისათვის კასპის რაიონში მიღებული მონაცემების მიხედვით.

მომხსენებელი შეეხო სამეომოდგომო და საგზაო ხორბლის ნათესებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასახული სა-

სუქების დოზებს. სიმინდისათვის, მისი დასკვნით, მისაღები დოზები უნდა იყოს: 60-90 კგ აზოტი, 70-100 კგ ფოსფორი და 30-40 კგ კალიუმი.

სასუქების მაღალი ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ვადაში და რა წესით შეიტანება ის მარცვლეული კულტურების ქვეშ.

შაქრის ჭარხლის ძირითადი განოყიერებისათვის მიღებულია სასუქების შემდეგი დოზები: აზოტი — ჰექტარზე 90-120 კგ (ურწყავ ზონისათვის 60-120 კგ), ფოსფორი — 90-120 კგ (ურწყავზე 60-90 კგ) და კალიუმი — 60 კგ. დამატებითი კვება ტარდება: აზოტის სასუქით სამჯერ, სულ ჰექტარზე 40-55 კგ რაოდენობით, ფოსფორის სასუქით 4-ჯერ — 60-110 კგ P_2O_5 ანგარიშით, კალიუმის სასუქითაც 4-ჯერ — 55-110 კგ K_2O ანგარიშით.

მინერალური სასუქების გარდა, განოყიერება ტარდება აგრეთვე ორგანული სასუქებით (ნაველი, კომპოსტი, ტორფის სასუქები და სხვ.) და ადგილობრივი სასუქებითაც (კირის სასუქები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ორგანული და მინერალური ნარჩენები და სხვ.), რომლებიც მცენარისათვის სასარგებლო ნვითიერებებს შეიცავენ.

გ. კ. ახვლედიანი ვრცლად შეეხო კასპის რაიონში მორწყვის საკითხს და სარწყავი ობიექტების ნიდაგურ პრობლემს. რაიონში ამჟამად საირიგაციოდ მომზადებულია 14.892 ჰექტარი ფართობი, მომავალ 5-6 წელში მორწყული იქნება დაახლოებით იმდენივე ფართობი თემის სარწყავი სისტემით, კასპის არხით, აშურიანის დასავლეთ ნაწილში, ლეზურის მიწებზე და სხვ. ამჟამად წარმოებს თეზი-ოკამის არხის მშენებლობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონისათვის ნიდაგის ეროზიის საკითხებს. ეროზიით მეტად დაზიანებულია შავი-ტყის, თოხათის მთის, ილევისა და თრიალეთის ქედის ფერდობები. ეროზიის შესა-



ჩერებლად საჭიროა დარჩენილი ტყე-ბუჩქნარის დაცვა და ხელოვნურად ტყის გაშენება; ნიადაგის დამუშავება უნდა წარმოებდეს არა დახრწხლის მიმართულებით, არამედ მის გარდა-გარდმოდ.

ვ. ლეჟავამ ძირითადი ყურადღება შეაჩერა მიკროსასუქების ეფექტიანობაზე და გრანულირებული სასუქების დამზადებისა და გამოყენების საკითხებზე. მიკროელემენტებიდან შაქრის ჰარხლის, სიმინდისა და ხორბლის ნათესებზე გამოცდილი იყო ბორის (2 კგ ბორის მკაცის სახით) და მარგანეცის (6 კგ ჰიათურის შავიქვის შლამის სახით) ეფექტიანობა. ამ სასუქების ზემოქმედებით შაქრის ჰარხლის ძირითადად მოსავალი გადიდა ჰექტარზე 15,1-29,7 ცენტნერით, სიმინდისა—5,3-6,4 ცენტნერით, ხორბლისა კი 2,1-3,2 ცენტნერით. ნაკელისა და სუპერფოსფატისაგან დამზადებული გრანულირებული ორგანულ-მინერალური სასუქების ზეგავლენით სიმინდის ტაროს მოსავალი გადიდა 17,5-22,2 ცენტნერით ჰექტარზე, ხოლო კომპოსტოს მოსავალი — 8,9-24,5 ცენტნერით.

დიდი ეფექტი მიღებულია დეფეკაციური ტალახის გამოყენებით და მწვანე სასუქების (სიდერაციის) საშუალებით. კასპის რაიონისათვის მწვანე მასის მოსავლიანობით და ეფექტიანობით უფრო პერსპექტიულია სანაწვერალო სიდერატები—ახალქალაქის ბარდა და ცულისპირა.

სამეცნიერო სესიას დაესწრნენ: კასპის რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მოწინავე კოლმეურნეები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები და სხვ., სულ ესწრებოდა 230 კაცამდე. სესია საქმიანად და დამსწრეთა აქტიური მონაწილეობით ჩატარდა.

მომხსენებლებს მრავალი შეკითხვა შეეპყრო სასუქთარებით მარცვლეულებისათვის სასუქების გამოყენებისა და მორწყვის საკითხებთან დაკავშირებით.

მომხსენებების ირგვლივ სიტყვით გამოვიდნენ რაიონის ცნობილი მექარხლეები—სოციალისტური შრომის გმირი ს. მარიაშვილი და ლ. კონიაშვილი; იგოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ჩაღუნელი, აგრონომები — ა. ტლაშაძე, მ. მუხიგულაშვილი და სხვები.

ამხ. ს. მარიამშვილი დამსწრეთა გაუზიარა თავისი გამოცდილება შაქრის ჰარხლის მაღალი მოსავლის მოყვანის საქმეში და განსაკუთრებით აღნიშნა ამ მხრივ მინერალური და ორგანული სასუქების მნიშვნელობა. გასულ წელს მისმა რგოლმა თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 577 ცენტნერი ჰარხალი.

ამხ. მ. ჩაღუნელმა აგრეთვე ილაპარაკა შაქრის ჰარხლისა და სხვა კულტურების მაღალი მოსავლის მიღების ხერხებზე, სასუქების როლზე და აღნიშნა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო სესიის მნიშვნელობა სასუქების სწორი გამოყენების საქმეში დახმარების მხრივ. მ. ჩაღუნელმა სათხოვა ინსტიტუტის დირექციას სასუქების საკითხზე კოლმეურნეობაში ლექციის ჩატარება.

სასუქების გამოყენების საკითხზე და სესიაზე მოსმენილი მომხსენებების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ილაპარაკეს აგრეთვე აგრონომებმა ა. ტლაშაძემ და მ. მუხიგულაშვილმა.

სესიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა დამსწრე სპეციალისტთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის.

გეოფიზიკის ინსტიტუტის 1950 წლის ექსპედიციები

დედაშოის ელემენტური დენების შესწავლა

დედაშოის რეგიონალური ელემენტური დენების ფიზიკურა ბუნების შესწავლისა და ამ დენების სხვა გეოფიზიკურ მოვლენებთან კავშირის დადგენის მიზნით გეოფიზიკის ინსტიტუტმა დოქ. ვ. ქაბულაძის ხელმძღვანელობით მოაწყო ელემენტარული ექსპედიცია ციხისჯვარის მთა-მოთბო. რამდენიმე თვის განმავლობაში შესრულებულია დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევები, აგებულ იქნა თვითმწერი ხელსაწყო და სოფ. ციხისჯვარში მოეწყო სტაციონარული დანადგარი, რომელზედაც აგვისტოს პირველი რიცხვებიდან მიმდინარეობს აღნიშნული დენების დედამიწური ვარიაციების ფოტორეგისტრაცია. ადგილზე მუშაობის დროს ექსპედიციამ ჩაატარა დაკვირვებები ევროპულ ფოლადულ სისიმოლქტრული ეფექტისა და დედამიწის რეგიონალური ელემენტური დენების მოკლედპერიოდული ვარიაციების შესწავლის მიზნით.

ექსპედიციის თანამშრომლებმა დოქ. ვ. ქაბულაძემ, დოქ. ა. ბუნციაშვილმა და უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ა. ლაშმაძემ მოკლე დროის განმავლობაში შეაგროვეს დიდი მნიშვნელობის ექსპერიმენტული მასალა, რომელიც გამოყენებული იქნება ერთი მხრივ დედამიწის რეგიონალური ელემენტური დენების ბუნებისა და მეორე მხრივ მეტად აქტუალური პრობლემის — მიწისძვრების წინასწარმეტყველების საკითხების შესწავლისათვის დაკავშირებით.

ციხისჯვარის სინიზური მსხვედრის

საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება ეთმობა მიწისძვრების წინასწარმეტყველების საკითხებს და აგრეთვე ამ სტრუქტურის მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა გამოძიებას.

სხვა გეოფიზიკურ ექსპედიციებთან ერთად გასული წლის ზაფხულში ციხისჯვარის მთა-მოთბო. დაკვირვებებს ატარებდა სინიზური ექსპედიცია დოქ. ვ. თვალთაძის ხელ-

მძლავრებით, ექსპედიციის მიზანს შეადგენდა დედამიწის წიაღიდან მომდინარე მეტად სუსტ რკევათა რგვისტარია დალი მგრძნობიარობის მქონე სისხმური ზელსაწყობების საშუალებით.

არსებობს მოსაზრება, რომ დედამიწის წიაღში მიმდინარე სისტემატური და არანატენსური ბიძგები, რომელთა არსებობა მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს იქნა შემჩნეული მგრძნობიარე ზელსაწყობების შემწეობით, გარკვეულ კანონზომიერ დაპოვებულუბაში იმყოფება მიწისძვრებთან. ამჟამად წარმოებას ექსპედიციის მიერ მიღებული ჩანაწერების დამუშავება.

ჯავახეთის კომპლექსური გეოგნოზ-გეოგნოზური- შუბლი მსხვერპლი

ქავახეთის ტერიტორიაზე ჩატარებული კომპლექსური გეოგნოზ-გეოგნოზური ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ამ ნაქვებზე შესწავლილი მხარის და მისი მეზობელი რაიონების ტერიტორიის გეოგნოზური და გეოგრაფიული ველის სტრუქტურის შესწავლა.

ექსპედიცია ჩატარდა პროფ. მ. ნოდისა და დოც. ბ. ბა-
ლაჯიას ზელმძლავრებით და უმცროს მეცნიერ-თანა-
შრომლების გ. მუდლიშვილისა და ვ. გაბუნიას მონაწილეო-
ბით.

საველე სამუშაოები, რომლებიც ორთვენახევარს გაგ-
რძელდა, ძირითადად მაღალმთიან რაიონებში მიმდინარეობ-
და.

მუშაობის პროცესში გამოყვანილი რაიონის ზოგიერთ
უბნებზე გამოვლინებულია მძლავრი ანომალიური ცენტრ-
ები, რომელთა შემდგომი დეტალური შესწავლა გარკვეულ
მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს.

ამჟამად მიმდინარეობს საველე დაკვირვებათა მასალის
კამერალური დამუშავება.

ნატახტარის სინიზომეტრიული მსხვერპლი

ხელმძღვანელი ორგანოების დავალებით გასული წლის
ზაფხულში დოც. გ. თვალთაძის ზელმძლავრებითა და
უმცროსი მეცნიერ-თანაშრომლის გ. მურუსიძის მონაწი-
ლეობით მოეწყო ნატახტარის სინიზომეტრიული ექსპედი-
ცია.

ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ნატახტარი-მოსაქცილი-
ბიწმინდის ზოლზე დედამიწის ქერქის სინიზომეტრიული
აგებულების შესწავლა, რისთვისაც ჩატარებულ იქნა ორმა
სისხმური ზონდირება.

მიღებულია მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც დედამი-
წის ქერქის პერიფერიული ნაწილის ანუ სედიმენტური ფე-
ნის აღნაგობისა და დრეკადი თვისებების შესწავლის საშუა-
ლებებს იძლევა.

გარდატეხილი და არაკველი ტალღების ანალიზის სა-
ფუძველზე სედიმენტურ ფენაში გამოყოფილია რამდენიმე
შრე, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რაოდენ-
ობით, ისე თვითნებურად დრეკადი თვისებებით. მიღებუ-
ლია არაკველები 8-9 კმ სიღრმეიდან, რაც საშუალებას გვაძ-
ლევს შევისწავლოთ დედამიწის ქერქი კრისტალურ საყრდ-
ნამდე, რომელსაც პირობით გრანიტის ფენა ეყოლათ.

დაკვირვებები ღრუში სინიზომეტრიული მსხვერპლი- მთიანი მარიატის უმსხვერპლი

გეოლოგიური მიზნებით გამოწვეული სინიზომეტრიული
გეოლოგიის შესწავლა ღრუში ჩვენში პირველად კავასიში

დაიწყო 1935 წელს საქანაინი ზელსაწყობის შემწეობით.
დაკვირვებებს მამინ აწარმოებდნენ სსრკ მეცნიერებათა აკ-
ადემიის მოსკოვის სინიზომეტრიული (ამჟამად გეოგნოზური)
და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის
თბილისის გეოფიზიკური (ამჟამად საქართველოს სსრ მეც-
ნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის) ინსტიტუტები (ნ. პა-
რისიკი, ა. ბულანე და მ. აბაქელი), ამ გამოკვლევებს მა-
შინ საერთო მეცნიერულ მეთვალყურეობას უწევდნენ აკ-
ადემიის წევრ-კორესპონდენტები პ. ნიფიფოროვი და ა. მი-
ხაილოვი.

1950 წელს ამავე ინსტიტუტების საერთო ძალეობით და
სახსრებით გაგრძელდა 15 წლის წინათ დაწყებული ზუსტ-
გრაფიკური გამოკვლევები და მოეწყო დიდი ექსპედი-
ცია, რომელშიც ამჟამად თავის სამუშაო ობიექტად გაიხადა
არა მარტო კავასი, არამედ სამუშაო კავშირის ტერიტო-
რიის უმეტესი ნაწილი. სამუშაო ზელსაწყობად გამოყენ-
ებული აუო ნორკარის სისხმების ექვსი გრაფიკური, რომ-
ელთაგან ორი ეკუთვნის გეოფიზიკის ინსტიტუტს, ერთი—
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტს, ხოლო დანარჩენი — მოსკოვის გეოფიზიკურ
ინსტიტუტს.

1950 წლის ექსპედიციის მიერ შემწეობა გრაფიკური-
თა პოლიგონის შემდგომი ბუნებრივი მიხედვით: მოსკო-
პოლიტექ- თბილისი - აშხაბადი - ალმატა-თსუკა-ჯანა-მოსკო-
ვი. ამ ქალაქებში და მათ შორის მთელ რიგ
ბუნებრივ სიმაღლის ძალის მნიშვნელობა განსაზღვრულია—
0.1-0.2 მილიგრამის სიზუსტით. დაკვირვებები წარმოებდა
უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ი. ბულანეცა და უფროს
მეცნიერ-თანამშრომელ მ. აბაქელის უშუალო მონაწილეო-
ბითა და ხელმძღვანელობით, ხოლო ექსპედიციის საერთო
მეცნიერულ მეთვალყურეობას უწევდნენ აკადემიის ს. გა-
ვრილოვი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. მოლოდენსკი
და პრპოფ. ე. პარისიკი.

საექსპედიციო გამოკვლევების პროცესში ი. ბულანემ
შეადგინა სათანადო ცხრილები, რომლებიც შრომატევად გა-
მოთვლებებს ხუთჯერ ამცირებენ. დოკუმენტი მ. აბაქელამ გა-
ნახორცილა დაკვირვებათა ახალი მეთოდი, რაც მდგომარე-
ობს განხილვის ჩატარებაში ერთობოლად ორ ინდუსტრია-
ლურ საშუალებას უფრო სიზუსტით და უშუალოდ დავა-
ხასიათოვდა დაკვირვებების სიზუსტე და განხილვისათვის
მათი კონტროლი, აუცილებელი ყოველი მაღალი სიზუსტის
განხილვის შემთხვევაში.

მოპოვებული მასალების კამერალური დამუშავება და
ხელსაწყობის ლაბორატორიული გამოკვლევა 1951 წელს
დამთავრდება, მაგრამ უკვე მიღებული ზოგიერთი წინასწარ
შედეგის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გრაფიკური-
თა პოლიგონის სამხრეთ ბუნებრივ, მის ჩრდილო ნაწილ-
თან შედარებით, უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში
ადგილი ჰქონდა სიმაღლის ძალის შემცირებას, რაც, სავარაუ-
დოდ, კავასისა და შუა აზიის ზონის მიწისძვრებისა უნდა
მიეწეროს. ამასთან ერთად, არც ის გარემოება გამორიცხე-
ლი, რომ აღნიშნული შემცირება დაკვირვებული იყოს ძვე-
ლი საქანაინი ან ახალი (1950 წლის) გრაფიკური გამო-
კვლევების სისტემატური და შემთხვევითი ხასიათის შეცდო-
მებთან, რაც სათანადო ანალიზის მოთხოვნას და ნაფულისხმე-
ვად არის მასალების კამერალური დამუშავებასთან და გეო-
ლოგიური ინტერპრეტაციასთან ერთად.

მასალების კამერალური დამუშავებას მეცნიერული კონსულ-
ტაციისა და მეთვალყურეობის თბილისში გაუწივენი აკად-
ემიის ა. ჯანელიძე და აგრეთვე პროფ. მ. ნოდია.

საქალაქმაცხოვრის ს. ი. ვაგილოვის

25 იანვარს საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე სერგი ივანეს-კი ვაგილოვი.

ს. ი. ვაგილოვი დაიბადა 1891 წელს მოსკოვში. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა და მუშაობდა შესანიშნავი რუსი ფიზიკოსის პ. ნ. ლებედევის ხელმძღვანელობით.

1914-1918 წლებში ს. ი. ვაგილოვი იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში. ამ წლების მანძილზე მან რიგი გამოკვლევები შეასრულა რადიოფიზიკის დარგში.

დიდმა ოტკომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოღვაწეობის ფართო ასპარეზი გაუხსნა ს. ი. ვაგილოვს. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობასთან ერთად ის ეწევა ფართო პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი მუშაობა მჭიდროდა დაკავშირებული იხსოვს სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან, როგორცაა მოსკოვის უნივერსიტეტი, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, ფიზიკისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტი, სახელმწიფო ობტაქური ინსტიტუტი, მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი.

ს. ი. ვაგილოვის კალამს ეკუთვნის ასამდე სამეცნიერო შრომა, უმთავრესად ფიზიკური ობტაქის დარგში.

მისი დიდი თეორიული გამოკვლევების საფუძველზე და უშუალო ხელმძღვანელობით დაამუშავებულია დიდი ანუ ცივი სინათლის ნათურების წარმოების ტექნოლოგია.



განსაკუთრებით დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ს. ი. ვაგილოვისა და მისი მოწაფეების აღმოჩენას, რომელიც შეეხება ელექტრონის მოძრაობას გარემოში იმაზე მეტი სისწრაფით, ვიდრე სინათლე გრცელდება ამ გარემოში. ამ შესანიშნავი შრომებისათვის ს. ი. ვაგილოვს ორჯერ მიეცათ სტალინური პრემია.

ს. ი. ვაგილოვის მეცნიერული ღვაწლის მაღალ შეფასებას წარმოადგენდა არჩევა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად 1931 წელს და ნამდვილ წევრად—1932 წელს.

დიდი სამამულო ომის წლებში ს. ი. ვაგილოვი მთელ თავის დიდ ცოდნას ახმარდა გერმანიის მტრის განადგურების აზოცანებას.

1945 წლის დამლევს ს. ი. ვაგილოვი არჩეული იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად და თავდადებით ემსახურებოდა მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეს.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ს. ი. ვაგილოვი ეწეოდა დიდ სახელმწიფო და

საზოგადოებრივ მუშაობას როგორც სსრკ და რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ახალი გამოცემის მთავარი რედაქტორი, მეცნიერების პოპულარიზატორი.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ს. ი. ვაგილოვის ღვაწლს სამშობლოსა და მეცნიერების წინაშე: ის ორჯერ აიყო დაჯილდოებული ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და საბჭოთა კავშირის მელდებით.

(აკად. ნ. ზელინსკის დაბადების 90 წლისთავის გამო)

ქრისტიანული პარტია

ქიშინის მემორიალური კანდიდატი

1951 წლის 6 თებერვალს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა რუსეთის გამოჩენილ მეცნიერს, მოსკოვის ლენინის ორდენისანი ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, სოციალისტური შრომის გმირს, აკადემიკოს ნიკოლოზ დიმიტრის ძე ზელინსკის.

იგი 1861 წ. დაიბადა ქ. ტირასპოლში, ადრე დაობლდა და მისი გაზრდა იკისრა მისმა დიდებამ მ. ვასილიევამ.

პირველდაწყებითი განათლება ნ. ზელინსკიმ მიიღო ჯერ ოჯახში, შემდეგ — ტირასპოლის სამაზრო სასწავლებელში და ოდესის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო-ისტორიულ განყოფილებაზე. ნ. ზელინსკი თავის მოღვაწეობის სფეროდ ირჩევს ქიმიას. ამ დარგში იმ დროს ნოვოროსიის უნივერსიტეტს ამშვენებდნენ ისეთი სახელმწიფო მეცნიერები, როგორც:

ივანე ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი და ა. ვერიგო, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ნ. ზელინსკის, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებას, რისთვისაც იგი მათ დღესაც მაღლობისა და პატივისცემის გრძნობით იხსენიებს. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ნ. ზელინსკი პ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით ასრულებს პირველ სამეცნიერო შრომას თემაზე: „ბეტა-მეთილგლიცილის შეჯავსთან მეთილამინის მიერთების პროდუქტის შესახებ“. მოხერხებულად გააზრებულმა და შესრულებულმა ამ შრომამ ნ. ზელინსკის ყურადღება მიაპყრო ამინომჟავებს და, კერძოდ, ოქსი-



ამინომჟავებს. წკვლევაძიების გაგრძელებამ ამ მიმართულებით ნ. ზელინსკი შემდეგში მიიყვანა მნიშვნელოვან აღმოჩენამდე ცილების ქიმიკში, რაც 1948 წელს სტალინური პრემიის მინიჭებით დაგვირგვინდა.

ნ. ზელინსკი ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება საზღვარგარეთ ჯერ ვისლიცენსთან და შემდეგ ვ. მეიერთან. ვ. მეიერის ლაბორატორია იმ დროს გატაცებული იყო თიოფენისა და მის ნაწარმთა სინთეზით. ნ. ზელინსკის დაავალეს ტერაპიდროთიოფენის სინთეზი. ამ მიზნით ეთილენქლორიდინზე კალიუმის სულფიდის მოქმედებით უნდა მიეღოთ თიოდილიკოლი, ამ

უკანასკნელზე ხუთქლორიანი ფოსფორის მოქმედებით თიოდილიკოლის ორივე ჰიდროქსილი ქლორით უნდა ჩაენაცვლებინათ და, ბოლოს, ჰალოიდის წართმევით დაეხურათ ჯაჭვი სამიზნო პროდუქტ ტერაპიდროთიოფენისა.

რეაქციის უკანასკნელი საფეხური, ე. ი. ჰალოიდის წართმევა და ჯაჭვის დახურვა, ვეღარ შესრულდა, რადგან ნ. ზელინსკიმ მუშაობის პროცესში საშინელი წყალუღები მიიღო. ნივთიერებას, რომელსაც ასეთი ცბიერი თვისება აღმოაჩნდა, შემდეგში იპირტი ეწოდა. ამგვარად, ნ. ზელინსკი პირველი მსხვერპლი იყო იმ მომწაველი ნივთიერებისა, რომელმაც 1914-1918 წ. წ. იმპერიალისტური ომის დროს უამრავი ხალხი დასხვევლა. ორგანული ქიმიის ლიტერატურაში იპირტის მიღებას დღემდე არასწორად მიაწერენ ვ. მეიერს, მაგრამ იგი მიღებულია არა ვ. მეიერის, არამედ ნ. ზელინსკის მიერ.



საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ნ. ზელისკიმ ჩააბარა სამავისტრო გამოცემა და ნოვო-როსიის უნივერსიტეტში პრიატ-დოცენტად იქნა წარიჭეული. 1889 წელს იგი იმავე უნივერსიტეტში იცავს სამავისტრო დისერტაციას, ხოლო 1891 წ. — სადოქტორო დისერტაციას.

1893 წელს ნ. ზელისკი დანიშნულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორად. მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მოსკოვის უნივერსიტეტში, თუ არ ჩავთვლით იმ ხუთ წელს (1911-1917), როდესაც მან მეფის რუსეთის განათლების მინისტრის კასოს რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, დიდ მეცნიერ-რევოლუციონერ კ. ტიმირიაზევიჩთან და გამოჩენილ მეცნიერ ს. ჩაპლიგინთან ერთად 1911 წელს დემონსტრაციულად დატოვა მოსკოვის უნივერსიტეტი.

1911 წლიდან 1917 წლამდე ნ. ზელისკი პეტროგრადში მუშაობს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური ლაბორატორიის დირექტორად. 1915 წელს მან ინე. კუპანთან ერთად შექმნა აირწინალი, რომელშიც მომწამლავ ნივთიერებების შთანთქმელად აქტივირებული ნახშირი იყო გამოყენებული. ამ აირწინალმა მრავალ ჯარისკაცსა და ოფიცერს შეუნარჩუნა სიცოცხლე პირველი იმპერიალისტური ომის დროს, რაც მისი შემქმნელისათვის უმაღლეს მორალურ ჯილდოს წარმოადგენდა. 1917 წელს ნ. ზელისკი შესაძლებლობას ღებულობს დაუბრუნდეს მოსკოვის უნივერსიტეტს, სადაც იგი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, დღემდე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

თავისი შინაარსიანი ცხოვრების 67 წელი მცირეა, მაგრამ მეცნიერება-პატრიოტმა და შესანიშნავმა ადამიანმა აკად. ნ. ზელისკიმ მოახმარა იმ ჰუმანიტარული მეცნიერების გაფორმებას, რომელიც ხალხს ეხმარება და ემსახურება.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე, 1936 წ. დეკემბერს, აკად. ნ. ზელისკიმ აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებშივე, მოსკოვის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, ჩვენ იმ საქმის კეთებას შევუდგეთ, რომელიც საჭირო იყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის. მართლაც, 1918 წელს, როდესაც საბჭოთა რუსეთი კონტრრევოლუციის მიერ მოწყვეტილი იყო ნავთობის საბადოებს და ბენზინის დიდ ნაკლებობას განიცდიდა, აკად. ზელისკი თავის მოწვევასთან — აკად. ბ. ჰაზანსკისთან ერთად ამ საკითხს დადებითად წყვეტს და ნავთობის ზედა ფრაქციების კრეკინგით (ალუმინის ქლორიდის თანდასწრებით) ღებულობს ბენზინს ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

აკად. ნ. ზელისკიმ ქიმიკულ-ტექნოლოგიურად მოღვაწი სკოლა შექმნა, რომელმაც ცნობილია არა მარტო ჩვენს კავშირში, არამედ მის გარეთაც. მის მოწოდებებთან მრავალი სახელმწიფოებრივი მეცნიერ-ია. ასეთებია აკად. ა. ნესმენოვი, აკად. ბ. ჰაზანსკი, განსვენებული აკად. ს. ნამიოტკინი და სხვანი.

აკად. ნ. ზელისკის მეცნიერული იდეების გავლენით მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი აღიზარდა და მომავალშიც აღიზარდება.

საერთაშორისო სტატიის ფარგლებში შეუძლებელია აკად. ნ. ზელისკის მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე შრომების რამდენიმედ სრულად განხილვა (მათი რიცხვი 500-ზე მეტია), ამიტომ მოკლედ შევჩერდებით იმ შრომებზე, რომლებიც ნახშირწყალბადითა კონტაქტურ-კატალიზურ გარდაქმნებს ეხება.

დეჰიდროგენული კატალიზის გამოყენებით ბაქტოს ბენზინების არომატული ნახშირწყალბადებით გადლიდრების საკითხი შესწავლილია აკადემიკოს ნ. ზელისკისა და მისი მოწოდების პროფ. ნ. შუიკინის მიერ. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად გამოჩვენდა, რომ სურსათისა და ბალახანის ბენზინების ვიწრო ფრაქციებისათვის არომატული ნახშირწყალბადების შემცველობა ამ მეთოდის გამოყენებისას იზრდება 51,6-58%-ით.

აკად. ნ. ზელისკის მიერ შემუშავებული დეჰიდროგენული კატალიზი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ნავთობის ქიმიური ბუნება, რასაც თეორიულ ინტერესთან ერთად უღირესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ერთ-ერთ ძირითად საკითხს მეცნიერებისა ნავთობის შესახებ წარმოადგენს მისი რაციონალური გამოყენება. ჯერ კიდევ მეტყარამეტრ საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის გამოჩენილი მეცნიერი დ. მენდელეევი მიუთითებდა, რომ მიზანშეუწონელია ნავთობის გამოყენება მხოლოდ თხევადი საწვავის სახით.

ნავთობის გადლიდრება არომატული ნახშირწყალბადებით არის ის გზა, რომლითაც ნავთობიდან შეიძლება გადავიდეთ საღებავებზე, ფარმაცევტულ პრეპარატებზე, ფეიქებად ნივთიერებებზე და სხვა ძვირფას პროდუქტებზე.

აკად. ნ. ზელისკის აღმოჩენების მეშვეობით ნავთობის არომატიზაციამ მტკიცე მეცნიერული საფუძველი მიიღო.

ამ მეთოდით შესწავლილია და მომავალშიც შესწავლება ნავთობის ქიმიური ბუნება.

როგორც ცნობილია, ნავთობის გადამუშავების საქმეში ბენზინი ამ 40-50 წლის წინათ თითქმის ბალახის წარმოადგენდა. შიდა წყის ძირების გაუმჯობესებამ და მათი გამოყენების სფეროს გაფართოებამ სულ სხვაგვარად დააყენა ნავთობის პროდუქტების, კერძოდ, ბენზინის საკითხი.

ნავთობიდან მიღებული ბენზინი ამჟამად მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს ვერც ოდენობრივად და ვერც თვისებრივად. ამიტომ ნავთობის ქიმიური მომუშავე ქიმიკოსთა წინაშე დისკვა ამ საკითხის დადებითად გადაჭრის ამოცანა.

აქად. ნ. ზელინსკის და მისი მოწაფეების -- აქად. ბ. კაზანსკის და პროფ. ა. პლატეს მიერ აღმოჩენილმა რეაქციებმა მტკიცე მეცნიერული საფუძველი ჩაუყარეს ბენზინის თვისების გაუმჯობესების საქმეს.

დიდი აქად. ნ. ზელინსკის დამსახურება არა მარტო დეჰიდროგენული კატალიზის, არამედ ჰიდროგენული კატალიზის დარგშია. ამ დარგში აღიარებული ავტორიტეტი საბატიე აღნიშნავდა, რომ პლატინისა და პალადიუმის კატალიზატორები უპარგისია არომატულ ნაერთთა ჰიდრირებისათვის.

აქად. ნ. ზელინსკიმ დამატიცა, რომ საბატიე ცდებოდა ამ კატალიზატორების შეფასებაში. აქად. ჰიმიკოს ნ. ზელინსკის შრომებით გამოჩვეულია, რომ პლატინისა და პალადიუმის კატალიზატორებით არომატულ ნაერთთა ჰიდრირება ბრწყინვალედ მიმდინარეობს.

1934 წელს მსოფლიო ქიმიური საზოგადოებრიობა პირველად გაეცნო იმ ფაქტს, რომ კატალიზატორად პლატინის გამოყენებისას ციკლოპენტანური ნახშირწყალბადების რგოლის გაზობით შეიძლება გადასვლა პარაფინულ ნახშირწყალბადებზე ნახშირბადის ატომთა იმავე რიცხვით, რამდენიც სარეაქციოდ აღებულ ციკლოპენტანურ ნახშირწყალბადს ჰქონდა. ეს აღმოჩენა აქად. ნ. ზელინსკის ლაბორატორიიდან გამოვიდა.

ამ კლასიკური შრომის ავტორებმა — აქად. ნ. ზელინსკიმ, აქად. ბ. კაზანსკიმ და პროფ. ა. პლატემ დამატიცეს, რომ ციკლოპენტანურ ნახშირწყალბადების რგოლი არც თუ ისე მტკიცეა, როგორც ეს გერმანელ ქიმიკოს ბაიერს ეგონა. ამ აღმოჩენით საფუძველი ეყრება ციკლოპენტანურ ნახშირწყალბადთა რგოლის აგებულების ახალ თეორიას. ამ ნახშირწყალბადთა რგოლის გაზობას არა მარტო თეორიული ინტერესი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. გროზნოს ბენზინებში შემავალ ციკლოპენტანურ ნახშირწყალბადთა რგოლის გაზობით ამ ბენზინის თვისებრივი მხარე უმჯობესდება.

ციკლოპენტანურ ნახშირწყალბადთა რგოლის გაზობის რეაქციის მექანიზმის ასახსნელად ჩატარებულმა ცდებმა აქად. ნ. ზელინსკის მოწაფეები — აქად. ბ. კაზანსკი და პროფ. ა. პლატე მნიშვნელოვან აღმოჩენამდე მიიყვანა. ამ აღმოჩენამ — პარაფინულ ნახშირწყალბადთა კატალიზატორმა არომატიზაციამ უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია მთელ მსოფლიოში, რაც ამ აღმოჩენის დიდი თეორიული ინტერესის და პრაქტიკული მნიშვნელობის დამამტკიცებელია.

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდად დააფასა აქად. ნ. ზელინსკის მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1926 წელს იგი არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1929 წელს — ნამდვილ წევრად.

1934, 1941 და 1946 წლებში დიდი ზემოთ აღინიშნა აქად. ნ. ზელინსკის დაბადების, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესაბამისი თარიღები. მადლიერმა საბჭოთა ხალხმა ასეთივე ზემოთ აღნიშნა ნ. ზელინსკის დაბადების 90 წლისთავი. ეს თარიღი განსაკუთრებით სასიხარულოა კიდევ იმით, რომ მას იუბილარის შეხება თავის საყვარელ საგუშაგოზე — სამეცნიერო ფრონტზე, რომლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელიც ის არის.

აქად. ნ. ზელინსკის მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, იგი არის სტალინური პრემიის სამჯგის ლაურეატი და ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის მეცნიერებათა განყოფილების „მოამბის“ 1950 წლის დეკემბრის ნომერში აქად. ნ. ზელინსკის მიერ გამოქვეყნებულ შრომიდან ჩანს, რომ მის მძლავრ შემოქმედებით ენთუზიაზმს, ფართო აზროვნებას და ნათელ გონებას ღრმა მოხუცებულობაშიც შერჩენია დიდი ძალა.

როდესაც ვეცნობით ამ მსცოვანი მეცნიერის, რუსეთის მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო ტრადიციების მატარებელ აქად. ნ. ზელინსკის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, უდიდეს კმაყოფილების გრძნობას გვიორკეცებს არა მარტო მისი დიდი მეცნიერული ერუდიცია, არამედ ის შემოქმედებითი ენთუზიაზმიც, რომელიც მან ღრმა მოხუცებულობაშიც შეინარჩუნა.





ბ. ბაღდასაშვილი

კომინატი „საქნახშირის“ უფროსი ინჟინერი, მეორე რანგის სამთო-დირექტორი

მიმე ინდუსტრიის სხვა დარგებთან ერთად სა-
ქართველოში სწრაფად ვითარდება ქვანახშირის
მრეწველობა. ახალ სოციალისტურ შახტებში,
რომლებიც აშენებულია სამთო ტექნიკის უკანას-
კნელი სიტყვის მიხედვით, განუწყვეტელ ნაკადად
მოდის და ინერგება სხვადასხვა მანქანე-
ბი და დანადგარები, ისინი მიწის ქვეშ მომუშავე
მუშებს შრომის ნაყოფიერების გადაღების ყველა
პირობას უქმნიან. ამ ახალ ტექნიკას დაეუფლნენ
და ეუფლებიან მუშახტეთა ახალი კადრები, რომ-
ლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სარგებ-
ლობით გამოიყენონ საბჭოთა კონსტრუქტორების
მიერ შექმნილი, მსოფლიოში ყველაზე უფრო
სრულყოფილი და სანდო მანქანები.

„ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის სტალინის
სახელობის შახტში გამყვანათ მუშაობს სპატიო
მუშახტე ნიკოლოზ ხაჭიპერაძე. იგი
ყოველდღიურად 3-4 ნორმას ასრულებს. როგორ
აღწევს ამხ. ნ. ხაჭიპერაძე ამ წარმატებებს? უკა-
ნასკნელ დრომდე ის მუშაობდა ახალი სამთო გა-
მონამუშევრების გაყვანაზე. ყველა საწარმოო
ოპერაციის ზუსტი გაანგარიშებით მან თავის შემ-
ცვლელთან ერთად შეძლო სამუშაოების სრული
ციკლის შესრულება, სანგრევის ყოველდღიური
წინსვლა აღწევდა 1,5 გრძივ მეტრამდე. შახტის
მთავარ ინჟინერთან ამხ. გ. მიქაშვიძესთან მო-
თათბირების შედეგად გამყვანზე ნ. ხაჭიპერაძემ
გადაწყვიტა გადასულიყო სპეციალური დანიშ-
ნულების სამთო გამონამუშევრების — საყორე
შტრეკების ბურღვაზე, რომელთაც შახტისათვის
გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. თანდათანობით
მან უფრო დააზუსტა და კონკრეტული ფორმა
მისცა თითოეული ერთ-ერთი რთულ ოპერაციას შე-
ადგენდა ბურღვის პროცესი. მდიდარმა გამოციდი-
ლებამ და სტახანოვურმა გამჭრიახობამ ნ. ხაჭი-
პერაძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭიროა
შეიქმნას ისეთი მოწყობილობა, რომლის საშუა-
ლებითაც ელექტრობურღვის გადაადგილება მოხ-
დებდა არა ხელით, არამედ სპეციალური დაზგის
საშუალებით. მის წინადადებას მხარი დაუჭი-

რეს გამოციდილმა სპეციალისტებმა — შახტის
მთავარმა მექანიკოსმა ინჟინერმა კრამარენკომ
მექანიკური სახელოსნოს უფროსმა ლაზარენკომ.
სპეციალისტების დახმარებით მან შეადგინა მომა-
ვალი დაზგის ნახაზები, რომელთა მიხედვით შახ-
ტის მექანიკურ სახელოსნოში დამზადებულ იქნა
ახალი კონსტრუქციის დაზგა. ამ დაზგის მეოხე-
ბით საქმად მძიმე ელექტრობურღვი, რომელიც
ჭერში შპურების ბურღვის დროს ნ. ხაჭიპერაძეს
ხელში ეკავა, ახლა სპეციალური დაზგის ბუდე-
შია მოთავსებული, მისი გადაადგილება ხდება
სპეციალური საჭის მეშვეობით.

ამრიგად სტახანოველმა ამხ. ნ. ხაჭიპერაძემ მო-
ახდინა ერთ-ერთი წარმატებადი სამუშაოს მექა-
ნიზაცია, ამიერიდან ყველა მუშახტეს შეუძლია ამ
სამუშაოს შესრულება. შპურების ბურღვის დრო
საგრძნობლად შემცირდა, მბურღავების შრომის
ნაყოფიერება გაიზარდა.

„ტყბულქვანახშირის“ ლენინის სახელობის
შახტში 22 წელია მუშაობს გამოცილი კადრის
მუშახტე აკაკი გიორგაძე. ქვანახშირის
შტრეკების გაყვანაზე იგი გამოიმუშავების ნორმას
350-380 პროცენტით ასრულებს. მის წარმატება-
ში დიდ როლს თამაშობს სამუშაო იარაღის სანი-
შუშოდ მოვლა-პატრონობა. ყოველგვარი შეფერ-
ხების თვლიდან ასაცილებლად მას აქვს ფოლადის
გვირგვინების საკმარისი მარაგი.

ამხ. ა. გიორგაძეს ზუსტად აქვს გაანგარიშებუ-
ლი და განაწილებული სამუშაო დრო. მრავალი
წლის პრაქტიკული მუშაობის პროცესში მან გა-
მოიმუშავა სანგრევეში შპურების განლაგების
საკუთარი მეთოდი. ის ყოველთვის ცდილობს
ზღუდოს უფრო მაგარი ქვანახშირი, რომელიც
აფეთქების დროს მეტ ეფექტს იძლევა. აუცილებ-
ლად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შპურე-
ბის მჭიდროდ დატენას. ამიტომ არის, რომ ამხ.
ა. გიორგაძის მიერ დატენილი შპურების აფეთქე-
ბისას ბევრი ქვანახშირი მოინგრევა. ის ემსახუ-
რება რამდენიმე სანგრესს. როდესაც პარველ
სანგრევეში დაამთავრებს შპურების ბურღვას
აფეთქებას, გადადის მეორე სანგრევეში და ახლა



იქ იწყებს ბურღვას. ამ ხნის განმავლობაში პირველი სანგრევი ეწმინდება მონგრეული ქვანახშირისაგან, რითაც ა. გიორგაძე აღწევს განუწყვეტელ მუშაობას. 1950 წლის განმავლობაში მან შეასრულა 3,5 წლის ნორმა და შტრეკების ჩქაროსნული მეთოდით გაყვანის ოსტატის სახელი მოიხვეჭა.

„ტყვარჩელქვანახშირის“ ბერიას სახელობის შახტის პრიგაიდრის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვასილ პეტრესძე, ეიტნიკოვის საწარმოო მიღწევები ფართოდ არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და მეცნიერების მუშაკებისათვის. მრავალი წლების მანძილზე ის სისტემატურად დიდი გადაპარებებით ასრულებდა თავის დავალებებს, მეოთხე ხუთწლედის განმავლობაში მან 16 წლის ნორმა შეასრულა და ამჟამად 1962 წლის ანგარიშში მუშაობს.

ამხ. ეიტნიკოვის მუშაობაში, ისე როგორც სხვა მოწინავე მუშაობაში, მთავარია დროის სწორად და ნაყოფიერად გამოყენება. იგი ყოველთვის ცდილობს შექმნას საკმარისი სამუშაო ფორმები. საკუთარი კონსტრუქციის მარტივი ხელსაწყო — ლომჩანგალი საშუალებას აძლევს მას მარტო აწარმოოს მესერისებური გამაგრება იმ დროს, როდესაც სხვა უბნებში იგივე სამუშაოს ორ-ორი კაცი ასრულებს.

მეშახტე-ნოვატორი ჯარგვალური გამაგრების დროს ფართოდ იყენებს ძველ სამაგრ მასალას, რითაც ხე-ტყის დიდ ეკონომიას აღწევს. მარტო 1950 წელს მან დაზოგა 800 კუბური მეტრი ხე-ტყე. როდესაც მის მიერ გასაყვანი შტრეკების სანგრევებში ფუჭი ქანის ჩანართები შეხვდებოდა, ის შპურებს სწორედ ამ ჩანართებში ბურღავს, რაც უფრო კარგ შედეგებს იძლევა. ეს იმით აიხსნება, რომ ქვანახშირი ფუჭ ქანზე უფრო რბილია, აფეთქების შედეგად წარმოშობილ წვის პროდუქტებს არ შეუძლიათ სათანადო ეფექტის მიცემა ქვანახშირის ფენის საგებ და სახურავ გვერდებში გაწვავებულ ფუჭი ქანის ჩანართების გასაფხვიერებად. ფუჭ ქანში შპურების აფეთქების დროს პირველადი მოქმედი ძალა გადაეცემა მაგარ ქანებს, რის შემდეგ გრცელდება უფრო რბილი ნახშირის ფენაზე. ამ მეთოდით ბურღვის დროს ბურღვის პროცესი თითქმის ძნელდება, მაგრამ ამხ. ე. ეიტნიკოვმა გამოიყენა ტყვარჩელელ მუშა-გამომგონებლის ამხ. პრიტულას კონსტრუქციის ელბურღის გვირგვინი, რომლის საშუალებითაც ბურღვა დაჩქარდა. ამით აიხსნება ამხ. ეიტნიკოვის შრომის მაღალნაყოფიერება.

ფართო გამოიხმურება პოვა საქართველოს საუკეთესო უბნის უფროსი, ტყბიულის ძველი მეშახტის, სამაგალითო ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის პახუ მ ნანიკაშვილის ინიციატივამ. მან პირველმა კომბინატ „საქნახშირის“

სისტემაში დაიწყო მუშაობა ინჟინერ-ნოვატორის თ. კოვალის მეთოდით.

ინჟ. ს. კუტუღასთან და ინჟ. ლ. კვანაძესთან ერთად მან ხრონომეტრული დაკვირვებები ჩატარა წამყვანი კვალიფიკაციის საუკეთესო მეშახტეების შრომის ხერხებზე. მიღებული მდიდარი მასალა დეტალურად განიხილეს პროფესიების მიხედვით მოწვეული საუბრო საწარმოო ტექნიკურ თათბირებზე. ინჟინერის დახმარებით თუმცა მოკლე დროში ათიჯერ მოწინავე ადამიანების — სტახანოველების მუშაობის მეთოდები. ამხ. ნანიკაშვილმა მიზნად დაისახა მეშახტეთა შრომის ნაყოფიერებისა და ციკლების რიცხვის გადიდება. ამ მუშაობის წარმატებით დამთავრებას კიდევ იმეტომ ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა, რომ უბანს უზღებოდა ახალი მეთოდით — გამომუშავებული სივრცის ჰიდრაულიკური ვსების მეთოდით მუშაობა. ეს მეთოდი საბჭოთა კავშირში პირველად სანიმუშოდ ათიჯერ ტყბიულის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა. ჰიდრაულიკური ვსების ლავეზში ციკლი შესრულებულად ითვლება, თუ სანგრევის ხაზი 70 სანტიმეტრით წაიწევს წინ და იგი გამაგრებულ იქნება. უკანასკნელ დრომდე მეხუთე უბნის ლავეზში ასრულებდნენ ცვლაში ერთი, უკეთეს შემთხვევაში — 1,25 ციკლის შესრულებას. იმ მიზნით, რომ გადიდებინა ციკლების რაოდენობა, ამხ. ნანიკაშვილმა ახლებურად გარდაქმნა უბნის მუშაობა: ლავეზში წინასწარ, ცვლის მუშაობის დაწყებამდე, მოზიდვენ სამაგრი და სხვა მასალების მარაგს, რითაც ცვლას საშუალება ეძლევა ერთბაშად დაიწყოს ბურღვა ლავაში, გამაგრება და სხვა ოპერაციები. წინათ კი — ცვლის პირველი ნახევარი უნდებოდა ლავაში სამაგრი და სხვა მასალების მოტანას. ამჟამად ერთი ცვლა მეორე ცვლას უშაბდებს საკმარის მასალების მარაგს. შექმნილია საწარმოო პროცესების ერთგვარი განუწყვეტელი ნაკადი. ყოველივე ამის შედეგად ლავის წინსვლა ერთიორად დაჩქარდა და სათანადოდ გაიზარდა ქვანახშირის ამოღებაც.

ამხ. ნანიკაშვილის უბნის კოლექტივი რამდენიმე თვეა, რაც ჰიდრაულიკური ვსების მეთოდით მუშაობაზე გადავიდა და საესებით ათიჯერ ახალ პირობებში მუშაობა. უბნის კოლექტივმა დიდ წარმატებებს მიაღწია. უკვე წარსულ წლის 20 ოქტომბერს შესრულებული იყო ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმა, რის შემდეგ უბანი ქვანახშირის 1951 წლის ანგარიშში იძლეოდა.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის შახტებსა და საწარმოებში კიდევ მრავალ მოიპოვებთან მოწინავე ადამიანები — ნოვატორები, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით, დანერგვისებითა და მდიდარი საბჭოთა ტექნიკის ათვისებით განუწყვეტელი ზრდიან ქვანახშირის ამოღებას.

ჩათქმული თარიღის გამოცნობა

გავაცნობთ მკითხველს ჩათქმული თარიღის გამოცნობის ერთ ზერხს, რომელიც, შეიძლება, ითქვას, ყველაზე მეტ გაცნობას იწვევს. იგი წარსული საუკუნის დამლევს გამოქვეყნდა ფრანგულ ჟურნალ „ბუნებაში“, მაგრამ თითქმის შეუმჩნეველი დარჩა... ჩვენ მოგვყავს აქ ეს საინტერესო არითმეტიკული ფოკუსი რამდენიმე შეცვლილი სახით (XX საუკუნის შესაბამისად).

„ჩათქვით, — ამბობს გამომცნობი, — რომელიც გნებავთ კალენდარული თარიღი, სულ ერთია რომელიც — გენვლილი, თუ მომავალი. ჩაიწერეთ ქალაქზე ჩათქმული წელიწადი, ჩათქმული თვისა და თვის რიცხვის რიგობრივი ნომერი“ (თუ ჩათქმულია, მაგალითად, 1948 წლის 7 ნოემბერი, უნდა ჩაიწეროს: 1948, 11, 7).

„ჩაწერეთ, — განაგრძობს გამომცნობი, — გარდა ამისა, თქვენი დაბადების წელი.

ახლა ჩაატარეთ შემდეგი გამოანგარიშები: ჩათქმული თარიღის წელი გაამრავლეთ თქვენი დაბადების წელზე;

გაორკეცეთ თქვენი დაბადების წელი;

რიცხვი, რომელიც გამოხატულია ამ გაორკეცებული წლის პირველი ორი ციფრით, გაამრავლეთ ჩათქმული თარიღის თვის ნომერზე და შედეგი მიუმატეთ წლების წინათ მიღებულ ნამრავლს;

რიცხვი, აღნიშნული დაბადების წლის (გაუორკეცებელი) ორი უკანასკნელი ციფრით, გაამრავლეთ ჩათქმული თარიღის წელიწადზე და შედეგი გამოაყვლით წინა ჯამს;

შედეგს მიუმატეთ ჩათქმული თარიღის თვის რიცხვი.

მთელი ამ გამოანგარიშების უკანასკნელ შედეგს, — ამთავრებს გამომცნობი, — მაცნობებთ მე“.

მისთვის უცნობი რიცხვის რიგ გამოარელება, თუ, შეკრებათა და მათზე სხვა მოქმედების მრავალნიშნაინი შედეგის მიღების შემდეგ, გამომცნობი შეუცდომლად პოულობს მასში ჩათქმულ თარიღს.

განმარტოთ ეს მაგალითი.

ვთქვათ, ჩათქმული თარიღია 1948 წლის 7 ნოემბერი, ჩათქმულის დაბადების წელი კი არის 1905. ჩამოქმელი იწერს: 1948, 11, 7 და შემდეგ ატარებს ასეთ გაანგარიშებებს:

$$\begin{aligned} 1948 \times 1905 &= 3\,710\,940, \\ 1905 \times 2 &= 3810, \\ 38 \times 11 &= 418, \\ 3\,710\,940 + 418 &= 3\,711\,358, \\ 5 \times 1948 &= 9740, \\ 3\,711\,358 - 9740 &= 3\,701\,618, \\ 3\,701\,618 + 7 &= 3\,701\,625. \end{aligned}$$

საკმაოა აცნობოთ გამომცნობს უკანასკნელი რიცხვი 3 701 625, რომ ჩათქმული თარიღი, თითქმის საუკუნისგულოდ დამალული, წარმატებით იქნას აღმოჩენილი.

რას აკეთებს გამომცნობი? — ის იწყებს იმით, რომ ციფრს, რომელიც მას აცნობის, ყოფს 1900-ზე.

$$3701625 : 1900 = 1948; \text{ ნაშთი } 425.$$

ჩათქმული თარიღის წელიწადი 1948, როგორც ვხედავთ, ერთბაშად მიიღება. თვისა და რიცხვის განსასაზღვრავად ნაშთი 425 უნდა გავყოთ 38-ზე:

$$425 : 38 = 11, \text{ ნაშთი } 7.$$

ვლებულობთ: მე-11 თვე, მე-7 რიცხვი.

ახლა ავხსნათ, თუ რაზეა დამყარებული ეს გამოცნობა. ჩათქმული თარიღის წელიწადი აღენიშნოთ წ-თი, თვის ნომერი—თ-თი, თვის რიცხვი (დღე)—დ-თი, მთელი გამოანგარიშების საბოლოო შედეგი S მაშინ ასე გამოისახება:

$$S = 1905 \text{ წ} + 38 \text{ თ} - 5 \text{ წ} + \text{დ} = 1900 \text{ წ} + 38 \text{ თ} + \text{დ}.$$

თუ გამომცნობმა იცის, რომ ჩამოქმელი ახლაგაზრდა კაცია, დაბადებული XX საუკუნეში, მისთვის ცნობილია მამრავლი წ (უკანასკნელ გამოისახულებაში): იგი ყველა შემთხვევაში უდრის 1900. მამრავლი თ ყველა ამგვარ შემთხვევაში შეადგენს 38-ს. გარდა ამისა, ადვილად შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ჯამი $38\text{თ} + \text{დ}$ ვერასოდეს ვერ გადაჭარბებს 1900-ს, ვინაიდან უდიდესი სიდიდე 38თ+დ შეადგენს $38 \times 12 + 31$, ე. ი. 487-ს. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ გამოისახულებას $1900\text{წ} + 38\text{თ} + \text{დ}$ გავყოფთ 1900-ზე, განყოფში უნდა მივიღოთ წ, ნაშთში კი— $38\text{თ} + \text{დ}$. შემდეგ, დ—თვის რიცხვი — არ შეიძლება აღემატებოდეს 31-ს, ე. ი. ყოველთვის 38-ზე ნაკლებია, ამიტომ განყოფში უნდა მივიღოთ თ, ნაშთში კი—დ.

ჩვენ ვხედავთ, რომ გამოცნობა ამ ფოკუსში ემყარება ელემენტარულ არითმეტიკულ მოსახ-



რებებს. ერთადერთი, რაც გამოცნობა წინასწარ უნდა იცოდეს, ეს რომელ საუკუნეში დაიბა-
და ჩამოქმედი: თუ XX საუკუნეში, გაყოფა ხდე-
ბა 1900-ზე და 38-ზე, თუ — XIX, მაშინ — 1800-
ზე და 37-ზე.

(ი. პერელმანი
„გასართობი ლეგერა“)

მათემატიკური გასართობები მაგნიციის „არიტმეტიკიდან“

ლ. ფ. მაგნიციის მათემატიკის პირველ რუ-
სულ სახელმძღვანელოში, რომელიც 1703 წელს
გამოვიდა, როგორც ავტორი წერს, „გასართობად
და მოსწავლეთა გონების გასამახვილებლად“ მო-
თავსებულია სპეციალური „გასართობი განყო-
ფილება“. მოგვყავს ზოგიერთი ამ გასართობები-
დან.

I. სულ თამაშობაში მონაწილეობას იღებს
ათი კაცი. ერთი „გამომცნობა“, მეორე — მო-
თამაშეთა არჩევანით — მისი თანაშემწე. დანარ-
ჩენი რვა კაციდან ვინმე იღებს ბეჭედს და
იკეთებს ერთ-ერთი თითის რომელიმე სახსარზე.
საჭიროა გამოცნობილ იქნას — ვის, რომელ თით-
ზე და რომელ სახსარზე აქვს გაკეთებული ბეჭე-
დი.

ვთქვათ, ბეჭედი აქვს თამაშის მეოთხე მონა-
წილეს მეხუთე თითის მეორე სახსარზე (საჭი-
როა შეთანხმება, რომ სახსრები იანგარიშება, მა-
გალითად, ქვევიდან).

გამომცნობი თხოვს ვინმეს კომპანიიდან (არ-
ჩეულ თანაშემწეს — რე დ.) შეასრულოს შემდე-
გი მოქმედებანი, მაგრამ შედეგებს ნუ იტყვის:

1. იმ პირის ნომერი, რომელსაც ბეჭედი აქვს,
გამარავლოს ორზე. თანაშემწე ზეპირად ან ქა-
ღალზე ანგარიშობს:

$$4 \times 2 = 8;$$

2. მიღებულ ნამრავლს მიუმატოს 5:
 $8 + 5 = 13;$

3. მიღებული ჯამი გაამრავლოს 5-ზე:
 $13 \times 5 = 65;$

4. ნამრავლს მიუმატოს იმ თითის ნომერი,
რომელზედაც წამოცმულია ბეჭედი:
 $65 + 5 = 70;$

5. ჯამი გაამრავლოს 10-ზე:
 $70 \times 10 = 700;$

6. ნამრავლს მიუმატოს იმ სახსრის ნომერი,
სადაც წამოცმულია ბეჭედი:
 $700 + 2 = 702$

ამ შედეგს აცნობებენ გამომცნობს.

უკანასკნელი მიღებულ რიცხვს აკლებს 250-ს
და ლებულობს: $702 - 250 = 452$.

პირველი ციფრი (მარცხნიდან მარჯვნივ) იძ-
ლევა თამაშის მონაწილის ნომერს, მეორე ციფ-
რი — თითის ნომერს, მესამე — სახსრის ნომერს,

ბეჭედი ჰქონებია მეოთხე მონაწილეს მეხუთე
თითის მეორე სახსარზე.

II. ვნობრავთ კვირის ღლეგსა და მუყებულ
კვირით: პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. მეშვი-
დე (შაბათი).

ვინმემ ჩაიფიქრა ღლე. საჭიროა გამოცნობილ
იქნას რომელი ღლე ჩაიფიქრა მან.

ვთქვათ, რომ ჩაიფიქრა პარასკევი — მეექვსე
ღლე.

გამომცნობი წინადადებას აძლევს მას შეს-
რულოს თავისთვის შემდეგი მოქმედებანი:

1. ჩათქმული ღლის ნომერი გაამრავლოს 2-ზე:
 $6 \times 2 = 12;$

2. ნამრავლს მიუმატოს 5:
 $12 + 5 = 17;$

3. ჯამი გაამრავლოს 5-ზე:
 $17 \times 5 = 85;$

4. ნამრავლს ბოლოში მიუწეროს ნული: 850.
გამომცნობი ამ რიცხვს აკლებს 250 და ღლეუ-
ლობს:

$$850 - 250 = 600.$$

ჩათქმული იყო კვირის მეექვსე ღლე — პარას-
კევი.

მ. ი. ლერმონტოვის მათემატიკური გასართობი

როგორც ცნობილია, მ. ი. ლერმონტოვი მათემატიკის დიდი მოყვარული იყო და, სამსახუ-
რის ერთ აღვლიდან მეორეში ნებისმიერ თუ
უნებურ მოვალეობისას, ყოველთვის თან ატა-
რებდა მათემატიკის სახელმძღვანელოს...

...1841 წლის დასაწყისში თენგის პოლკი ანა-
პაში იდგა. მოწყენილი ოფიცრები, მათ შორის
ლერმონტოვი, ერთმანეთთან იკრიბებოდნენ.
ერთხელ სიტყვა ჩამოვარდა რომელიმე სწავ-
ლულ კარდინალზე, რომელსაც გონებაში შეეძ-
ლო ურთულესი მათემატიკური ამოცანების გადა-
წყვეტა.

— რას იტყვით თქვენ ამაზე, ლერმონტოვ? —
მიმართა მას ერთ-ერთმა პატივცემულმა ბატა-
ლიონერმა, გიორგის ჯვრით დაჯილდოებულმა
მოხელმა, — ამბობენ, რომ თქვენც კარგი მათემა-
ტიკოსი ხართ?

— გასაკვირი აქ არაფერია, — უპასუხა პოეტ-
მა. — თუ გსურთ, მეც შემიძლია წარმოგიდგი-
ნოთ მათემატიკურ გამოანგარიშებათა ფრიად შე-
სანიშნავი ცდა.

— ინებეთ.

— ჩაიფიქრეთ რა რიცხვიც გსურთ, მე უბრა-
ლო არითმეტიკული მოქმედების საშუალებით ამ
რიცხვს გამოვარკვევ.

— აბა, ერთი, ცადეთ, — გაიცინა მოხუცმა,
რომელიც, როგორც ჩანს, ეჭვობდა, — რა რიც-
ხი უნდა იყოს ჩასათქმელი რიცხვი?

— ეს სულ ერთია. ამჯერად, გამოანგარიშების საიდგომისათვის, დაემაყოფილეთ ორნიშნა რიცხვით.

— კარგი, მე მოვიფიქრე, — თქვა ბატალიონერმა, თვალი გადაუტრა გარშემო მდგომ ოფიცრებს და იმ მიზნით, რომ შემდეგში, გამოანგარიშების მცდარობის შემთხვევაში, მოწმე ჰყოლოდა, ჩათქმული რიცხვი გვერდით მჯდომ მანდილოსანს გააცნო.

— ინებეთ და მიუმატეთ მას, — დაიწყო ლერმონტოვმა, — კიდეც 25 და იანგარიშეთ გონებაში ან წერილობით.

მოხუცმა ითხოვა ფანქარი და იწყო წერა ქაღალდზე.

— ახლა ინებეთ და მიუმატეთ კიდეც 125.

მოხუცმა მიუმატა.

— ახლა გამოაკელით 37.

მოხუცმა გამოაკლო.

— გამოაკელით კიდეც ის რიცხვი, რომელიც თქვენ ჩაუთქვით.

მოხუცმა გამოაკლო.

— ახლა ნაშთი გაამრავლეთ 5-ზე.

მოხუცმა გაამრავლა.

— ახლა მიღებული რიცხვი გაყავით 2-ზე.

მოხუცმა გაყო.

— ახლა ვნახოთ, თუ რა უნდა გამოგვსვლოს თქვენ... მგონი, თუ არ ვცდები, 2821½?

გაოცებული ბატალიონერი ადგილიდან წამოხტა, — ისე გააკვირვა იგი გამოანგარიშების სიზუსტეში.

— დიხ, სავსებით სწორია: 2821½. მე ჩავიფიქრე 50. — მან კვლავ შეამოწმა გამოანგარიშება. — მართლაც 2821½ გამოდის. დალახვროს ღმერთმა! თქვენ კუდიანი ხომ არ ხართ?...

— კუდიანი არა, მაგრამ მათემატიკა მისწავლია, — ღიმილით მიუგო ლერმონტოვმა.

— მაგრამ ნება მიბოძეთ... მოხუცი როგორც ჩანს, ეჭვობდა: ხომ არ მოკრა ლერმონტოვმა თვალი ციფრებს, როცა მე ვანგარიშობდიო, — თუ შეიძლება გავიმეოროთ.

მოხუცმა ჩაიწერა ჩათქმული რიცხვი, არავის უჩვენა, შანდალის ქვეშ ამოღდა და დაიწყო პოეტის მიერ მოცემული რიცხვების ანგარიში თავისთვის. ამჯერადაც შედეგი სწორი აღმოჩნდა.

ყველა დაინტერესდა. მოხუცი მხოლოდ ხელებს შლიდა. დიასახლისმა ლერმონტოს თხოვა ცდის გამეორება და იგი ამჯერადაც გამართლდა.

ციხე-სიმაგრეში ლერმონტოვზე ალაპარაკდნენ. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო პოეტი, მას მიმართავდნენ თხოვნით — გამოეცნო ჩათქმული რიცხვი. რამდენჯერმე მან შესარულა ამგვარი თხოვნა, მაგრამ, დაბოლოს, მობეზრდა და რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ ერთ-ერთ შეკრებიას, ახსნა თავისი საიდუმლოება, რაც იმაში

მდგომარეობდა, რომ ჩათქმული და ზოგიერთი, მის მიერ ნაკარნახევი რიცხვების გამოანგარიშება გამოაკლეს ჩათქმული რიცხვი. ამჯერად ნაკარნახისათვის შედეგი ადვილი გამოსაანგარიშებელია. მაგალითად:

$$[(x+100+206+310-500-x):2] \times 3 = 174.$$

მთელი რიცხვების ზოგერთი თვისებანი

დაწყებით არითმეტიკაში შეისწავლება მარტივი რიცხვების ზოგიერთი თვისებანი. მარტივი — ეს ის რიცხვებია, რომლებიც იყოფა მხოლოდ ერთზე და თავის თავზე. შედგენილი — ის რიცხვებია, რომლებიც, ერთისა და საკუთარი თავის გარდა, იყოფა თუნდაც ერთ რომელიმე სხვა რიცხვზე და მარტივ რიცხვთა ნამრავლად იშლება ერთადერთი გზით.

ამგვარად, მარტივი რიცხვები თითქმის წარმოადგენენ იმ აგურაკებს (ატომებს), რომლებსგანაც დგება ყველა რიცხვი. აქედან გასაგებია ინტერესი მარტივი რიცხვებისადმი.

ამასთან ერთად აღვნიშნავთ, რომ ერთი არც მარტივი რიცხვია და არც შედგენილი, ვინაიდან, მას მხოლოდ ერთი გამყოფი აქვს.

ბერძენმა მათემატიკოსმა ევკლიდემ (დაახლოებით 300 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დაამტკიცა, რომ მარტივი რიცხვები უსაზღვროდ მრავალია, რომ არ არსებობს უდიდესი მარტივი რიცხვი. ამის შემდეგ დაახლოებით ასი წელი გავიდა და მეორე ბერძენმა მათემატიკოსმა ერასტოსენმა შეიმუშავა ხერხი („ერასტოსენის ცხრილი“), რომლის საშუალებითაც ნატურალური მწკრივის რიცხვთაგან შეიძლება გამოიყოს მარტივი რიცხვები. ევკლიდეს დამტკიცება და „ერასტოსენის ცხრილის“ აღწერაც მოცემულია სახელმძღვანელოებში.

„ერასტოსენის ცხრილი“ ამჟამად აყვანილია 10 მილიონამდე და არსებობს ყველა მარტივი რიცხვის ტაბულები 1-სა და 10.000.000 შორის.

ამ ტაბულის ფარგლებს იქით ცნობილია მარტივი რიცხვები, მაგრამ ესენია განსაზღვრული სახის რიცხვები, მაგალითად, $2^n - 1$ ან $2^n + 1$ სახის რიცხვები. ასე, მაგალითად, თვითნასწავლმა მათემატიკოსმა ი. მ. პერეუშინმა (1883) დაამტკიცა, რომ რიცხვი

$2^{61} - 1 = 2\ 305\ 843\ 009\ 213\ 693\ 951$ — მარტივი რიცხვია.

ამჟამად ცნობილი უდიდესი მარტივი რიცხვია $2^{127} - 1 = 170\ 141\ 183\ 460\ 469\ 231\ 731\ 687\ 303\ 715\ 884\ 105\ 727$.

გარდა ამისა, ი. მ. პერეუშინმა დაამტკიცა (1878), რომ შედგენილია რიცხვი $2^{25} + 1$, ვინაიდან იყოფა $167\ 772\ 161$ -ზე.



რიცხვი $2^{25} + 1$ შეიცავს 2525 223 ციფრს. იგი რომ ჩვეულებრივი შრიფტით აიწყოს, საჭირო იქნებოდა 5 კმ სიგრძის სტრიქონი ანდა 1000 გვერდიანი ჩვეულებრივი ფორმატის წიგნი. პერვეშინის მიერ მიღებული შედეგები შეამოწმეს პეტერბურგისა და პარიზის აკადემიებში და დადასტურეს...


1-სა და 10 000 000 შორის მარტივი რიცხვების ტაბულა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო შორს არიან მარტივი რიცხვები ნატურალური მწკრივის დასაწყისიდან, სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდებიან ისინი მასში, მაგრამ ტაბულის დეტალების ყურადღებით განხილვა გვიჩვენებს მარტივი რიცხვების განაწილების არაწესიერებას...

უაღრესად თვალსაჩინო მათემატიკოსები ცდილობდნენ გამოეცნოთ მარტივი რიცხვების განაწილების საიდუმლოება. ისინი ეძებდნენ ფორმულებს, რომელთა დახმარებითაც თუნდაც მიახლოებით მოხერხდებოდა განსაზღვრა იმ მარტივი რიცხვებისა, რომლებიც არ ჰარბობენ გარკვეულ ნატურალურ რიცხვს. სხვა სიტყვებით, ისინი ეძებდნენ ფორმულებს იმისათვის, რომ გადაეჭრათ კითხვა: რამდენი მარტივი რიცხვია ნა-

ტურალურ მწკრივში 1-დან 1000-მდე და 1-დან 1 000 000-მდე. ნელესი კითხვის გადაჭრაში ერთადერთი მნიშვნელოვანი შედეგი ეკუთვნის პანფუტი ლევის-მეჩეხიშვილს, ერთ-ერთ ყველაზე გენიალურ მათემატიკოსს არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში...

1850 წელს პ. ლ. ჩეზიშევიმა გამოიყენა ფორმულა, რომელსაც ამაოდ ეძებდნენ უაღრესად გამოჩენილი მათემატიკოსები იმ პაზნით, რომ დიდი სიზუსტით განესაზღვრათ 1-სა და ნებისმიერ x რიცხვს შორის მოქცეული მარტივი რიცხვების რაოდენობა... რიცხვები, რომლებიც ჩეზიშევის ფორმულით 10 000 000-ის ფარგლებში მიიღება, ყოველთვის რამდენიმედ აღემატება მარტივი რიცხვების ნამდვილ რაოდენობას, მაგრამ ეს გადახრა 500 000-სათვის შეადგენს სულ 0,16%, 10 000 000-სათვის კი—მხოლოდ 0,05%. ჩეზიშევის ფორმულის სიზუსტე მეტად დიდია და იზრდება რიცხვის ზრდის შესაბამისად.

(ი. ღებმანის წიგნიდან: „Из истории математики“, 1950 г.)



ახალი თბილისი. წიგნის სასახლე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის საუბარი „პრავდის“ კორესპონდენტთან	83-
მეცნიერების აყვავება საბჭოთა საქართველოში—აკადემიკოსი ნიკო მუსხელი- შვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი	2
ჩვენი კულტურის დიდი კერა—ნიკო კეცხოველი, სტალინის სახელობის თბილისის სა- ხელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი	6
ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარება ჩვენში—რაფიელ აგლაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი	12
ნაციონალური საინჟინრო კადრების სამკედლო—გრიგოლ ქომეთიანი, ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი	15
კადრების მომზადება სოფლის მეურნეობისათვის—გიორგი ურუშაძე, პ. ბერია სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი	20
ახალი თბილისი—ინჟინერი გიორგი ბეჟანიშვილი, მშრთმელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარის მოადგილე	25
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში: ა) ქმედითი დახმარება სოფლის მეურ- ნეობას	29
ბ) გეოფიზიკის ინსტიტუტის 1950 წლის ექსპედიციები	35
აკადემიკოსი ს. ი. ვაგილოვი	36
გამოჩენილი საბჭოთა ჰიმეოსი (აკად. ნ. დ. ზელინსკის დაბადების 90 წლისთავის გამო) —ქრისტეფორე არეშიძე, ჰიმის მეცნიერებათა კანდიდატი	38
ქვანაშვირის მრეწველობის ნოვატორები—გ. ბაღდასაროვი, კომბინატ „საქნა- შირის“ უფროსი ინჟინერი, მეორე რანგის სამთო დირექტორი	39
სხვადასხვა	42
	44

პასუხისმგებელი რედაქტორი—რ. აბლაძე

სარედაქციო კოლეგია:

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. აბლაძე, საქ. სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი გ. კუპრაძე, პროფესორი გ. კახაბაძე, დოცენტი გ. მიკინა-
შვილი, ინჟინერი კ. გუზარნიძე, ინჟინერი ზ. ჯაბუა, ე. ფულაძე (რედაქციის პასუ-
ხისმგებელი მდივანი).

ქალაქის ზომა 60×92, 3 საბ. ფ., 1 ფურცელზე 73000 სასტამბო ნიშანი.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 9-3-51 წ., შუკ. № 00063. შეკვ. № 235. ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის ქ. №7.
Типография Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. Ак. Церетели № 7.

18.1/101.
ტსსს 5 236.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛ

„МЕЦНИЕРЕБА და ТЕХНИКА“,

издаваемый Академией Наук

Грузинской ССР

(на грузинском языке)

Тбилиси

1951